



JK 1134  
2024

საქართველოს-ლიტერატურული ჟურნალი  
ქვეყნის  
ბიბლიოთეკა



# სერილი

ფასი 3 ლარი

13



2024  
**3** (319)

**ლევანთი არღაზიანის  
თბილისი**  
*ქუჩა, ინტერვიუ, ხასიათები*

# სარჩევი

საზოგადოებრივი არილი	1	არილი საზოგადოებრივ-ლიტერატურული
თარგმანი	3	მარკ სტრენდი   შვიდი უკანასკნელი სიტყვა ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა
	8	ტრუმენ კაპოტი   შობის მოგონება ინგლისურიდან თარგმნა ია ჯეჯელავამ
თბილისური ტექსტი	15	მალხაზ ხარბედია   ლავრენტი არდაზიანის თბილისი - ქუჩა, ინტერიერი, ხასიათები
პროზა	25	ილია გველესიანი   მე, ჩემი მე
ესე	36	ბლეიკ მორისონი   მე არ ვარ ის, ვინც ხედავს ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
	41	დიკ დევიზისი   „ბიძაჩემი ნაპოლეონი“: იუმორი, თარგმანი და კულტურათა შეთანხმება ინგლისურიდან თარგმნა თეა შურღაიამ
რეცენზია	49	გურამ ჯურხაძე   „ფიქციები“ - ამბები ამბებზე

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია  
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

ნომრის რედაქტორები  
მალხაზ ხარბედია  
ლექსო დორეული

სარედაქციო საბჭო

რატი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,  
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,  
ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი,  
ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე,  
გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური,  
ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია,  
ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინთონდითა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის  
მბარილი

ხალხური

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე  
პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

ელექტრონული ფოსტა: [info@arilimag.ge](mailto:info@arilimag.ge)

ვებგვერდი: [arilimag.ge](http://arilimag.ge)



გამოდის 1994 წლიდან

© ყურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება  
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

# არლი

## სამოგადოებრივ-ლიბერატორული

2024 წელს 30 ნელი სრულდება „არლის“ დაბადებიდან.

30 წელია, რაც არლი, ასე თუ ისე, თავისი გამარჯვებითა და პრობლემებით, სირთულეებითა და ძიებებით, შემოქმედებითი წარმატებებითა და კრიზისებით, აღმოჩენებითა და ძალისხმევებით, მანინც არსებობს. უფრო სწორად, უკვე მერამდენეჯერ, ცდილობს არსებობას. კარგად გვემის, არც ისე მარტივი ამბავია ბექდური ლიტერატურული პერიოდული გამოცემის შენარჩუნება, მითუმეტეს თანამედროვე საქართველოში. არლის, როგორც ლიტერატურული გამოცემის, ისტორია (30 ნელი გვაძლევს უფლებას, ეს სიტყვა თამამად გამოვიყენოთ) ყოველთვის აირეკლავდა იმ სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესებს, რაც ქვეყანაში ვითარდებოდა. არსადროს გავტყვევართ ამ თანხვედრას, რადგან „არლის“ ერთ-ერთი მიზანია ეს იყო - რელიჯიოზი, რომელიც ცხოვრობთ, აუცილებლად ხელმეორედ უნდა დაიბადოს ყოფიერების ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ფორმაში - ლიტერატურაში.

ბევრნაირი „არლი“ არსებობს - ზოგიერთი მათგანი დაბალი სოციალური მგრძობელობითა და რელიჯიოზი ქედმღვლიანი გულგრილობით გამოირჩევა, მთლიანად ტექსტშია ჩაძირული, ზოგიერთი „არლი“, პირიქით, ცდილობს, ცხოვრებას ცხელ კვალზე სდიოს და ყველას დაასწროს მისი ასახვა... შეგვხვდებოდა ისეთი „არლიც“, რომელიც ისტორიის და ლიტერატურის ყველაზე მარგინალურ და მივინყებულ თემებს თუ ჟანრებს უკირკიტებს და ისეთიც, მთელი თავდავიწყებითა და სერიოზულობით რომ ცდილობს, თანამედროვე ხელოვნების კიტურ აკეთებებში გარკვევას... ზოგიერთი „არლი“ პაციფისტია, ზოგიერთი - რელიჯიურ თემებში ჩაღრმავებული, გვაქვს ათეისტი ცინიკოსი და ერეტიკოსი არლიც, მოთამაშე და მეღანქოლიკი, ურბანული და ბუკოლიკური „არლიები“, არინ უკომპრომისო ფემინისტი „არლიებიც“, გენდერულად ნეიტრალურიც, ზოგიერთი „არლი“ რესპუბლიკური და ზოგიც - დემოკრატი. ყველა მკითხველს თავისი „არლი“ ჰყავს, მიუხედავად რასობრივი, ეთნიკური, რელიჯიური, ესთეტიკური, სოციალური და თუნდაც პოლიტიკური განსხვავებებისა. ასე, ძიებებში გაიარა 30-მა წელმა და დადგა 2024 წელიც, როცა სახელმწიფომ „არლის“ გამოუცხადა, რომ მას (სახელმწიფომ) საერთო არაფერი აქვს თავისუფალ ლიტერატურასთან; რომ აღარ დააფინანსებს... რომ „არლი“ აღარ არის საჭირო.

ასეთ დროს რეჟიმებს რატომღაც ბრიყვული ცინიზმი ახასიათებთ ხოლმე და გამონაკლისი არც ჩვენი შემთხვევა აღმოჩნდა - როგორც გითხარით, სახელმწიფომ „არლისს“ „გაუქმების“ გადაწყვეტილება სიმბოლურად ჩვენს დაბედების დღეზე მიიღო. ჯერ შესაბამის კონკურსში მონაწილეობა ვცხოვეს, შედეგე კი აღმოჩნდა, რომ „არლი“ დაფინანსების გარეშე დარჩა.

გულით სიღრმეში, ჩვენ ალბათ დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს დრო დადგებოდა... ის მეთოდური ნეხი და მტკიცეობა, რასაც ბოლო წლებში სახელმწიფო კულტურაში დაწინაურებული თეა წულუკიანის ხელით თავისუფალ ხელოვნებაზე ახორციელებდა, აუცილებლად მოაღწევდა ჩვენამდე. იყვნენ ისეთებიც, ვისაც ამის დაჯერება არ სურდათ ან არ შეეძლოთ. ჩვენი ოპტიმისტი მეგობრები და მკითხველები გვაშეშებდნენ, მაგრამ „არლის“ პოზიციებმა, მისი რედაქტორების, თანამშრომლების თუ ავტორების, მკითხველების წინააღმდეგობამ არსებული კონსერვატივის მიმართ, მათმა ინდივიდუალურმა მონაწილეობამ „რუსული კანონის“ საწინააღმდეგო ერთგულ მოძრაობაში, შედეგი, ცხადია, მოიტანა - სახელმწიფო ყველა ჩვენგანის ვაჟუმებას შეეცადა.

„არლიდან“ მიმართებით კიდევ ერთხელ, ხსიტად და მტკიცუნულად დაირღვა დემოკრატიულ საზოგადოებებში კულტურის დაფინანსების უმთავრესი პრინციპი და ღირებულება - სახელმწიფო ავინანსებს კულტურას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის ავტონომიურობასა და თავისუფლებასი არ ერევა. და რა აზრი აქვს „არლის“ არსებობას, თუ ის თავისუფალი და ავტონომიური არ იქნება? თუ ის კონსერვატიურია ან კიდევ უარესი - ცენზურას დაექვემდებარება და თავის ჭკუაზე ვერ გააგრძელებს ცხოვრებას? არც არანაირი! მსგავს კომპრომისზე არც არასდროს დაფიქრებულვართ, არაცნობიერის სიღრმეშიც კი. ერთი ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზს რომ მივმართოთ, სჯობს საერთოდ არ არსებობდე, ვიდრე არსებობდე საკუთარი თავის წინააღმდეგ, ვიდრე ჯინაზე. თანაც... სასჯელი, რომელსაც თავისუფლების გამო მოგივლენენ - ასეთი რამ სასიამოვნო თუ არა, ჟანრის კანონის თუ სიუჟეტური ალგორითმის თვალსაზრისით, ბუნებრივიც კია და სრულად პასუხობს „არლისს“ და, ზოგადად, ლიტერატურის რომანტიკულ და ესთეტიკურ იდეალებს...

„არლი“ თავისი არსებობის მანძილზე უმთავრეს მიზნად იმ დასავლური ღირებულებების, აღქმების ლიტერატურის ენაზე თარგმნას ისახავდა, რომლებსაც ბოლო პერიოდში საფრთხე შეექმნა საქართველოში. ჯოუტად გვწამდა და ახლაც გვწამს - არ არსებობს ლიტერატურაზე, პოეზიაზე უფრო სანდო და სამიედო მედიუმი, პარტნიორი იდეების გავრცელებაში. აქედან გამომდინარე, გასაჭერია, რომ „არლი“ ხელისუფლებისთვის პრობლემად იქცა. პრობლემად, რომელიც თავისებურად გადაწყვიტეს.

„არლისთვის“ დაფინანსების შეწყვეტის შესახებ მკითხველებმა პირველად ჩვენგან გაიგეს. გამოხმაურებების, თანაგრძობისა და მხარდაჭერის პირველმა ტალღამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოხდა ის, რაც ვერც ჩვენ წარმოვიდგენდით - ურთულეს პოლიტიკურ კრიზისში, დებატებსა და ბატალიებში ჩაფულვამა, ნაციონალური იდენტობისთვის, შეიძლება პირდაპირ ითქვას, გადარ-

42830



ჩენისთვის მობრძოლბა საზოგადოებამ თავის თავ-ში გამონახა მწვავე პროტესტის, დიდი თანაგრძნო-ბის და „არილისთვის“ ბოლომდე ბრძოლის შეუძ-ლებელი ენერჯია, ემოციური და ფინანსური რე-სურსი. „არილის გარეშე რა ვქნათ? რა ნაჯიკითხით?“ - კითხულობდნენ ადამიანები... ითხოვდნენ „არი-ლის“ მხარდამჭერთა ფონდის შექმნას და გვთავა-ზობდნენ ფინანსურ დახმარებას. სკოლის მოსწავ-ლეები, სტუდენტები, ავტორები, ერთგული უცნო-ბი თუ ნაცნობი მკითხველები... უეცრად აღმოვაჩი-ნეთ უზარმაზარი რაოდენობა ადამიანებისა, ვის-თვისაც „არილის“ არსებობა ეგზისტენციალური მნიშვნელობის საკითხი იყო. სოლიდარობისა და მხარდაჭერის ამ მასშტაბებმა, თამამად ვიტყვი, ჩვენც, „არილის“ რედაქტორებსაც, ხელახლა და სრულიად განსაკუთრებულად გავგვაზრდისა იმ საკლის მნიშვნელობა და ღირებულება, რასაც ამ-დენი ხნის მანძილზე ვემსახურებოდით; შეიძლება ითქვას, ჩვენც ხელახლა აღმოგვაჩენინა და შეგვაყ-ვარა „არილი“. მივხვდით, რომ „არილისთვის“ ბრძო-ლა ჩვენი ეროვნული იდენტობისთვის ბრძოლის შე-მაღვენილი ნაწილი იყო.

სულ მალე „არილის“ მხარდამჭერთა ჯგუფიც შეიქმნა და მოხდა უპრეტენდენტო რამ - დაახლოე-ბით, 10 დღეში, განსაკუთრებული ძალისხმევით გა-რეშე, ვითომც არაფერიო, შეგროვდა პირველი ნომ-რის გამოცემისთვის საჭირო თანხა!

ასე რომ, თქვენ წინაშეა საზოგადოებრივი, სა-მოქალაქო „არილი“, რომლის მეორედ დაბადებაც მთლიანად მკითხველების დამსახურებაა. მკითხვე-ლების, რომლებიც წლების მანძილზე ჩვენთან ერ-თად ქმნიდნენ და აწრთობდნენ იდეას, ღირებულე-ბას, სახელად „არილი“ და, როცა ამის აუცილებ-ლობა დადგა, გადაარჩინეს კიდევ ის!

კი არ გვეჯერა, ზუსტად ვიცით, რომ ეს გაღებუ-ლი ძალიხმევა არ იქნება ერთჯერადი ხასიათის და ამიტომაც უკვე ვმუშაობთ „არილის“ შემდეგ ნომერ-ზე, რომელიც მთლიანად მიეძღვნება პროტესტის თემას. ვეცდებით, მოგიყვებ პროტესტის ისტორია, შევისწავლოთ და აღვზეროთ მისი ენა, სიუჟეტები, მეტაფორები და, რაც მთავარია, გავაძლიეროთ ის! გავაძლიეროთ ლიტერატურის მეშვეობით!

**მალხაზ ხარბელია**  
**ლექსო დორეული**

**არილის ამ ნომრის შემომწირველები არიან:**

მანანა გეგეშიძე  
ანა ჯაფარიძე  
სოფიო შამანიდი  
მანანა გაგვა  
თათია მთვარელიძე  
ლაშა ბულაძე  
ანინა გოგობია  
ნანა ტოხვაძე  
ნინო ფიფია  
ლენის კლუბი  
ელენე აგლაძე  
ქეთევან ცინცაძე  
ანი უძილაური  
თეა გამრეკელი  
ი/მ მარიანა ჭყონია  
ნატალია ინგოროყვა  
შორენა შავაძე  
ი/მ ირაკლი გაფრინდაშვილი  
ნანა კობაიძე  
ი/მ მიხეილ მღებრიშვილი  
პაატა სირბილაძე  
ჯიმშერ რეზიაშვილი  
გიორგი ჭანიშვილი  
ლელა სამნიაშვილი  
დავით გაბელაია  
გიკა ზედანია  
ლევან დადიანი  
ი/მ თამარ ქაფანიძე  
ნიკოლოზ ფაჩუაშვილი  
მიხეილ დოლიძე  
მაჭარაშვილი გიორგი  
გიორგაძე მარინე  
თეა შურლაია  
ნატა ცინცაძე  
კიკოლაიშვილი დარეჯან  
ალექსიძე ნიკოლოზ


ლელა ინკირველი  
ი/მ ქეთევან გრძელიძე  
კვირიკველია მანანა  
რამაზ გიგაური  
ი/მ ნესტან რატიანი  
შანშე ქენჭაძე  
თამარ ჭინჭარაული  
თამარ ბოჭორიძე  
მეია ცირამუა  
ანა ჟორჟიკაშვილი  
ი/მ მზია გომელაური  
ლაშა კალანდაძე  
ქეთევან კოკოზაშვილი  
ი/მ ანზორ კიკნაველიძე  
ანა დარსაველიძე  
ი/მ გიორგი ბერიძე  
თამარ რაზმაძე  
ნინო ბიგვაია  
სტეფანაძე მათა  
მღებრიშვილი თამარ  
გიორგაძე ნიკო  
ბენიძე სალომე  
თამარ ტატიშვილი  
ქეთევან ქარჩავა  
თამარ არაბული  
მარეხი მამალაშვილი  
ცოტნე გუჩუა  
ქეთევან დედარიანი  
ნაბახტველი ელენე  
ეკატერინე ქვეანიშვილი  
ჯანჯიბუხაშვილი მარინა  
ნატო ახმეტელი  
დავით ჯინჭარაძე  
ჩიტაური ვახტანგ  
სოფიო როინიშვილი  
ეკა ორაგველიძე

ხათუნა აბულაძე  
ანა გაბიტაშვილი  
მეია სიგუა  
ელისო ფანცხავა  
ი/მ შალვა ალელიშვილი  
გვანცა გუგავა  
ნათია სუხიტაშვილი  
დავით შერგელაშვილი  
მარიამ ჯალიაშვილი  
თეა მიქელაძე  
ლიონა აკობია  
ბადრი მესხი  
კოტე ლომიძე  
ი/მ დავით ჩიჩუა  
შოთა გუჯაბიძე  
ბიჩინაშვილი ია  
დავით რეხვიაშვილი  
ლალი ბიჭიკაშვილი  
ი/მ ხათუნა სიდამონიძე  
მარიანა ალავეძე  
ნიკა პირველაშვილი  
დემიტრი გუგუნავა  
სოფიო ნასარაია  
გიორგი გირკელიძე  
შიო ხიდაშელი  
მევი რუსია  
ნიკოლოზ აგლაძე  
ი/მ ალექსანდრე ცქიტოშვილი  
მარიამ გუნია  
ხოსრუაშვილი თამარ  
ქილარჯიანი ნინო  
ობოლაძე გვანცა  
ი/მ ალექსანდრე ქავთარაძე  
ნინო ჭაფოძე  
ლელა კურტანიძე  
ზუზა პარუნაშვილი

მარკ სტრენდი

# შვიდი უკანასკნელი სიტყვა

და სხვა ლექსები



**მარკ სტრენდი** (1934-2014) - კანადელ-ამერიკელი პოეტი, ესეისტი და მთარგმნელი, ოცდაათამდე წიგნის ავტორი, პულიტცერის, უოლეს სტივენსის, ბოლინგენისა და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, ამერიკის შეერთებულ შტატების პოეტი-ლაურეატი 1990-1992 წლებში.

მინიშნებების, ბოლომდე ართქმის პოეზია, რომელიც ყოველთვის ზღვარზეა - ტრაგიზმის და ირონიის, სიზმრისა და ცხადის ზღვარზე, და ეს ზღვარი კიდევ უფრო მოუხელთებელი ხდება მეტისმეტად მსუბუქი, გამჭვირვალე ენობრივი ქსოვილის გამო.

**ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა**

## შვიდი უკანასკნელი სიტყვა<sup>1</sup>

ამბავი დასასრულის, დასასრულის უკანასკნელი სიტყვის, თუკი ის ითქვა, არის ამბავი, რომელსაც არ აქვს დასასრული. ჩვენ მას ვამბობთ და ვიმეორებთ - ერთ სიტყვას, მეორეს, ვიდრე მიეხვედებით, რომ უკანასკნელი სიტყვა შეუძლებელია,

<sup>1</sup> სახარებისეული მისტიფიკაციის შვიდი ნაწილი იესო ქრისტეს უკანასკნელ ფრაზებზეა აგებული:  
I - „მამო, მიუტევე ამათ, რადგან არ იციან, რას სჩადიან“ (ლუკა, 23, 34)  
II - „ჭეშმარიტად გეუბნები შენ, დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“ (ლუკა, 23, 43)  
III - „ხოლო იესომ, როდესაც დანახა დედა და იქვე მდგომი მონაფე, რომელიც უყვარდა, უთხრა დედას: „დედაო, აპა, შენი ძე! მერე კი მონაფეს უთხრა: აპა, დედაშენი!“ (იოანე, 19, 26-27)  
IV - „ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე მე?“ (მათე, 27, 46)  
V - „შემდგომ ამისა, რაკილა მიხვდა, რომ უკვე დასრულდა ყველაფერი, რათა აღსრულდეს წერილი, იესომ თქვა: მწყურია“ (იოანე, 19, 28)  
VI - „როდესაც იგემა ძმარი, იესომ თქვა: აღსრულდა; თავი დახარა და სული განუტევა“ (იოანე, 19, 30)  
VII - „მამინ ხმამალა შეღალადა იესომ და თქვა: მამო, შენს ხელს ვაბარებ ჩემს სულს; და ამ სიტყვებით განუტევა სული“ (ლუკა, 23, 46)

ამას ვერცერთი გაუძლებდა. ამიტომ, როცა ამბის გმირი ეუბნება საკუთარ თავს, როგორც ვილაცას, ვინც შორსაა, „მიუტევე ამათ, რადგან არ იციან, რას სჩადიან“, შეიძლება მოგვეჩვენოს, თითქოს გვიცავს, და თითქოს ჩვენ ვართ საიდუმლო შინაარსი მისი ამბის, და ვიდრე მისი ვედრება რჩება უპასუხოდ, არაფერი გვემუქრება. ანუ ამბავი ისევ გრძელდება. ჩვენ ვგრძელდებით. ხოლო დასასრული კიდევ ერთხელ გადაიდო. შემდეგ კიდევ. და ასე შემდეგ.

II


არის კუნძული სიბნელეში, ნაოცნებარი ადგილი, სადაც ქარი დაფუსფუსებს თეთრ ბალახებში და არხევს ტოტებს ოქროსფერი, მაღალი ხეების, რომლებიც ზოლად გასდევნი ბილიკს. ვინც აქამდე მოაღწია, ბედნიერია, იყოს აბრეშუმის ნარჩდილარი რალაცისა, რაც იყო და ველარ იხსენებს. ვარსკვლავების ხმა, რომელიც ესმის, ასევე მოჩვენებითია, მაგრამ მისთვის სულერთია. მოუღვარე სვეტების რიგი შეიძლება იყოს მხოლოდ მზის სხივები, მაგრამ იმისთვის, ვინც გადასახლდა საკუთარი ნარჩდილარის ბრწყინვალეებაში, არც ამას აქვს მნიშვნელობა. არის კუნძული სიბნელეში, და გპირდები, დღესვე ჩემთან ერთად იქნები საშობებში, არსებობის ერთადერთ დროში. და სივრცეში, სადაც მარადისობაა; სადაც ფოთლები იშრიალებენ და არასდროს მოწყდებიან, და სადაც ქარი შენი ხმით ისე ამღერდება, თითქოს პირველად.

III

ოდესმე ვინმე დანერს ამბავს, რომელიც მოხდა თავისქალაში - ასე ერქვა შემთხვევის ადგილს, და მოგვიტხრობს, სხვათა შორის, დედის და შვილის განსმორებაზეც, აღწერს, როგორ ნავიდა დედა და როგორ გაქრა შვილი ცაში; მაგრამ მანამდე გვიამბობს, როგორ გაუნათდათ სახეები, როდესაც შვილი გადმოიხარა, რათა ეთქვა დედისათვის: „აჰა, შენი ძე!“ და შემდეგ ეთქვა მონაწილისთვის, „აჰა, დედაშენი!“ აქ მთხრობელი დადებს კალამს და ნარმოიდგენს, რომ, ვიდრე უღერდა ეს სიტყვები, იმავდროულად რაღაც სხვაც მოხდა, უჩვეულო, როგორც გათქმული ჩანაფიქრი, გამხელილი საიდუმლო, მოხდა სიმართლე, რამაც თავისთავს სამუდამოდ მიაჯაჭვა დედა და შვილი, მაგრამ რა იყო, ვერვინ მიხვდა. ვერც თვით მწერალი.

IV

ეს ისეთი დღეებია, როცა ჰაერი სავსეა სურნელით იასამნების, როცა სიბნელე სურვილში გადადის, როცა აღარაფერია, რასაც არ უნდა დაბადება. ეს გაზაფხულის დღეებია, როცა იღბალი ნიავეით მსუბუქია, და სამყარო, როგორც მეზღაპრე, იმ ჭუჭყსაც კი აოქროებს, ჩვენ რომ ვაბიჯებთ. ასეთ დღეებში გვეჩვენება, რომ სულ ვიცოცხლებთ, არადა ვიცით, რომ ვერ შევძლებთ. ეს გაორება ჩვენი სახლია. შემოქმედი ყველა ამინდის და სხვა ყველაფრის, თუ ინება, ამოაბრუნებს სიბნელის შიგთავსს, და გამოფენს ისეთ სიბნელეს, რომელსაც ვერვინ დაინახავს. ვერც გაექცევა. ვერც ის, ვინც იყო ყველას მხსნელი, რადგან სჯეროდა, რომ რჩეულია. მაგრამ მამაც, როცა დაბნეულა, აღმოხდენია, „ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე“, და უპასუხოდ დარჩენილა მისი სიტყვები.



V


რომ გნყუროდეს. თქვა, მწყურია. მაგრამ წყლის ნაცვლად ამოგანოდონ შუბის წვერზე წამოცმული ძმრიანი ჯვალაო. თვალი დახუჭო და ხედავდე უზარმაზარ ქვეყნიერებას, თვალის ყოველი დახუჭვისას ახლიდან შობილს. ხედავდე სიკვდილს. აწყურებდე მოქუფრულ ღრუბელს, ჭირსუფლის ძაძასავით ჩაშავებულს. თვითონ იყო დატირებული. გადაფურცლო საიქიოს ლექსიკონი, სადაც ერთადერთი სიტყვა, როგორც მოელოდი, არის არაფერი და ნიშნავს არაფერს. მოინდომო თვალის ახელა და ვერ შეძლო. მშრალ ბაგესთან უეცრად იგრძნო უთქმელი სიტყვის სიახლოვე. ისევ უთქმელის. თარგმნო და ვერ თქვა. აღიარო ბოლოს და ბოლოს, რომ არაფერი იქნებოდა უფრო ცხადი, ვიდრე არაფერი.

VI

„აღსრულდა“, თქვა მან. შეიძლება გაიგონეთ, როგორ ამბობდა თითქმის ჩურჩულით. შეიძლება გაიგონეთ არა ჩურჩული, არამედ ექო, ისე სუსტი, თითქოს ისმოდა უკვე შორიდან, მისგან აღარ. ეს იყო წამი, ეს იყო მისი ბოლო წამი. „აღსრულდა“, თქვა მან უკიდევანო სივრცეებში, სამყაროში, რომელიც იყო მასშივე. როგორც ყველაფერი. როგორც სასწაული - ყოფილიყო ასე დიდი და პატარა, და ყოფილიყო ჩვენზე მეტად ჩვენი მსგავსი, და უარი ეთქვა აჩრდილზე, რომელიც იყო. როგორც მოხდა. რათა ქარიშხალს მისი სიმშველით ებობოქრა: ნიღბის სიმართლე სამუდამოდ შეეზარდა რწმენის ნიღბთან.

VII

ისევ დაუყვე საფეხურებს იგივე სცენისკენ, სადაც მთვარეა, ვარსკვლავები, ღამის ქარი. დრო გადიოდა და შორს რჩებოდა მხოლოდ არფა, რომლის სიმეხშირეში გაივლის ქარი, და მალევე მზის რუხი დისკო, ღრუბლიდან ოდნავ დაღანდული, აცურდეს ცაზე. მიღმა კი იყოს ულევნი ზღვა გააჭვირვალეების და სიმშვიდის, და მუდმივი დასაწყისის, ადგილი იმის, რასაც თვალი ვერ იხილავს, ყურს არ ეცმის, და რასაც ხელი ვერ შეეხება; ვერ იეჭვებს ვერავის გული. სწორედ ამ ადგილს, და მის გუმბავს, ვაბარებ ჩემს სულს.



## კაცი

ამდგარიყო შუალამით  
 და სარკესთან მისულიყო,  
 ეკითხა: მანდ ხარ?

ჩამომჯდარიყო და მუხლებში სახეჩარგულს  
 ეყურებინა, რა უმანკოდ ცვიოდა თოვლი  
 ღამის პაერში.

აეძახა:  
 ცაო, დაბლა დაიხედე!  
 დაინახე? არაფინაა.

გახადა და ეფიქრა: ჩემი სხეული  
 არის საფლავი, და მის შიგნით არაფერია.

ისევ სარკისკენ დახრილიყო:

შენ გამაღვიძე. ვიცი, მანდ ხარ, და მიპასუხე,  
რომ ყველაფერი, რაც ვთქვი, ტყუილია.

## ხედი

დერეკ უოლკოტს

ეს ის ადგილია. სკამები თეთრია. მაგიდა პრიალებს.  
სტუმარი ზის და დაჟინებით აკვირდება ცვილის ნათებას.  
ორპირი ჰაერს წინ და უკან ამოძრავებს, ხან წინ, ხან უკან,  
თითქოს სივრცეს ასუფთავებს. „სივრცეს ჩემთვის“, ფიქრობს სტუმარი.  
განშორებისას მას ყოველთვის აოცებდა ამინდის როლი,  
მუდამ ისეთის, რათა სევდა - რაც არ უნდა ღრმად შეენიღბა -  
იკითხებოდა შორიდანვე. გრძელი ღრუბლის დაბალი თარო  
ღია ზღვის თავზე გაკიდულა, ხოლო მზე ჩადის,  
არაფრით განსაკუთრებული - უღიმღამო ასლი სიმართლის,  
მხოლოდ ერთხელ გამხელილის, და ისიც გვიან.  
მიმტანს მოაქვს მისი ღვინო. ის იღებს სასმისს  
და ჩამავალ მზეს გახედავს, მხოლოდ წამით, შუშის მიღმიდან -  
პერანგიც წამით აირეკლავს ღვინის წითელს. ნელა ბნელდება,  
ქარი წყნარდება, ხედს ეცლება შორიზონტი. ეს შეღამება,  
აუმღვრევლად იისფერი, საკმარისი საბაბია, ფიქრობს სტუმარი,  
რომ ყოფილიყო აქ და ახლა, და ჰგონებოდა,  
რომ ესეც ბედნიერებაა, თუმცა მცირე, მაგრამ ხანგრძლივი.

## 2002

მე კი არ ვფიქრობ სიკვდილზე, სიკვდილი ფიქრობს ჩემზე.  
ის ჩაეფლობა სავარძელში, ხელებს იფშენეტს, წვერზე დაისვამს  
და ბოლოს იტყვის: „მე ვფიქრობ სტრენდზე,  
ვფიქრობ იმ დღეზე, როცა ისევ გავალ გარეთ, ცელს შევაქანებ,  
მთვარეს მიუშვერ ქვიშის საათს - უკვე დროა! - და აი ისიც:  
სტრენდი პიჯაკით და ჰალსტუხით; და უფოთლო, ბნელი ხეივანი  
ნავალით სულელების ქალაქისკენ. მარმარილოს უფანჯრო სახლებს  
ჩავეულები მთავარ მოედანამდე; მომლოდინე ურცხვი ლანდი  
შეგვეგებება ალტაცების ბნედიანი შეძახილებით  
და ცრემლები, ისე დიდხანს ნაკავები, რომ გამხდარიყვნენ  
ცივი და მკვრივი, როგორც შუშა, დაიმსხვრევა ქვაფენილზე -  
ოღონდ მაღლე! ოღონდაც სწრაფად!“

## ორი ცხენი

იყო ივნისის თბილი ღამე,  
როცა ტბასთან მივედი და, როგორც ცხოველმა,  
დაოთხილმა მოვსვი წყალი, და ორი ცხენი  
ჩამოდგა იქვე წყლის დასალევად.  
საოცარია, გავიფიქრე, ვინ დამიჯერებს?  
ორივე ცხენმა რამდენჯერმე გადმომხედა, თავის ქნევით ჩაიფრუტუნა.  
ვიგრძენი, უნდა მეპასუხა, და თვითონაც ჩაიფრუტუნე,  
ოღონდ ისე მოგუდულად, გეგონება არ მინდოდა, რომ გაეგონათ.  
მაგრამ ცხენებმა თითქოს იგრძნეს ჩემი სიფრთხილე  
და განზე გადადნენ. გავიფიქრე: შეიძლება, მე მათ ვეცნობი  
ერთ-ერთი წინა ცხოვრებიდან, სადაც ვპოეტობდი.  
იქნებ ჩემი ლექსების კი წაუკითხავთ. აკი იმ დროში,  
იმ ჩრდილოვან ცხოვრებაში, წარმატების მისაღწევად თავს არ ვზოგავდით  
და როგორც დღეებს წელიწადი, ისე ხშირად ვიცვლიდით სტილებს.



### ხვალ

შენი საუკეთესო მეგობარი ნავიდა.  
მიჰყვა მეორე მეგობარიც.  
ახლა სიზმარი, რომელიც გიბრუნდებოდა ძილში,  
მიცურავს, როგორც ბრილიანტი, წლის ყველაზე სუსხიან ღამეში.

რამე მითხარი?  
იყო რამე, რაც გააკეთე?  
სულერთია, სუნთქვის სახლი ჩამოინგრევა  
შენი ხმის ირგვლივ, თუ ხმა იწვის, ასეთებზე ნულარ იდარდებ.

ხვალ მეგობრები დაბრუნდებიან;  
შენი ნოტიო, ღია პირი ვიტრინაში აირეკლება.  
ღიახ. ღიახ. ხვალ ისინი დაბრუნდებიან  
და მოგიწევს, მოიფიქრო სხვა დასასრული.

### მკვდრები

საფლავები ღრმავდებიან.  
მკვდრები ყოველდღე სულ უფრო კვდებიან.

წვიმები სხებენ თელების ფოთლებს  
და საფლავები ღრმავდებიან.

ქარის ბნელი ნაკვეთი  
ფარავს მიწას. ღამე ცივია.

ფოთლები ქვებთან გროვდებიან.  
მკვდრები ყოველდღე სულ უფრო კვდებიან.

უფარსკვლავო სიბნელე შთანთქავთ.  
სახეები გადაშლილია.

არც ჩვენ გვახსოვს მათი ნაკვეთი  
ისე ცხადად, რომ დაგვაგინყდეს.

### მთვარე

გადაშალე საღამოს წიგნი გვერდზე,  
სადაც მთვარე, ყოველთვის მთვარე, გამოდის


ორ ღრუბელს შორის, ისე ნელა, თითქოს საათებს  
ანდომებ, რათა გადაშალო შემდეგი გვერდი,

სადაც მთვარე, გაცილებით კაშკაშა, დანათის  
მოსახვევს, რათა იმისაგან, რაც უკვე იცი,

გაპყვე იმისაკენ, რაც გინდოდა, რომ მომხდარიყო,  
და ორ მარცვალში ჩატეული ბოლო სტრიქონი

დედაზრის განაპირას გელოდება, რათა ერთხელაც  
გაიმეორო, ვიდრე კითხვას დასასრულზე, მისი სახელი

და როდესაც წიგნს დახურავ, ჯერ კიდევ გრძნობდე,  
რაც იგრძენი მოულოდნელ სამოთხეში მისი ბგერების.



ტრუმენ კაპოტი

# შობის მოგონება

ინგლისურიდან თარგმნა ია ჯაჭელავამ



წარმოიდგინეთ გვიანი ნოემბრის დღი. სუსხიანი დილის გათენება ოცზე მეტი წლის წინ. გონებაში დახატეთ უზარმაზარი ძველი სახლი პროვინციულ ქალაქში. აქ უმთავრესი დიდი შავი ლუმელია; მაგრამ აქვეა ვებერთელა მრგვალი მაგიდა და ბუხარი, წინ ორი სარწველა სკამით. სწორედ დღეს აგუგუნდა ბუხარი დროის შესაფერისად.

სამზარეულოს ფანჯარასთან ქალბატონი დაჯდებოდა, მოკლედ თმაშეკრეჭილი. საზაფხულო ჩითის კაბაზე ჩოგბურთის ფეხსაცმელი და ნაცრისფერი განელებილი სვიტრი აცვია. პატარაა და მკვირცხლი, მამლაყინნასავით, თუმცა ახალგაზრდობაში გადატანილი ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო მხრებში საბრალობლად მოხრილა. განსაცვიფრებელი სახე აქვს - ლინკოლნისას მიუგავს - უხეშად გამოწკვითული, მზემოკიდებული და გამომშრალი, მაგრამ ნაზიცაა, დახვეწილი მოყვანილობის; თვალები თავლისფერი და მორცხვია. „დმერთო, - შეჰყვირებს, მისი სუნთქვა მინას დაორთქლავს, - სწორედ რომ ნიგვზიანი კექსის ამინდია!“

მე მესაუბრება. შვიდის ვარ, ის - სამოცდარდაცის. ნათესავები ვართ, ძალიან შორეული და მგონი, რაც თავი მახსოვს, ერთად ვცხოვრობთ. სახლში სხვებიც ბინადრობენ, ნათესავები; და თუმცა გვეუფროსებიან და ხშირად გვატირებენ, დიდად, სიმართლე რომ ითქვას, არ ვაქცევთ ყურადღებას. ჩვენ საუკეთესო მეგობრები ვართ. ძმობილს მეძახის, იმ ბიჭის მოსაგონებლად, რომელიც ადრე საუკეთესო მეგობარი ყოფილა. მეორე ძმობილი ოთხმოციანებში მოკვდა, როცა ეს ჯერ კიდევ ბავშვი იყო. ახლაც ბავშვია.

„სანოლიდან ფეხიც არ მქონდა გადმოდგმული, გულმა მაშინვე მიგრძნო, - ამბობს, ფანჯარას ზურგს აქცევს და თვალები შეუპოვრად უელავს, - სასამართლოს შენობის ზარმა სუსხითა და წკრიალით ჩამოჰკრა. ჩიტები განაბულიყვნენ; ჰო, ცხადია, თბილ ქვეყნებში გაფრენილან. ეჰ, ძმობილო, ეგ ნამცხვარი გაგხეთქავს. ჩვენი ეტლი მოიყვანე. ქუდის პოვნაში მომეშველე. ოცდაათი კექსი გვაქვს გამოსაცხობი.“

სულ ასეა: ნომებრის დილა თენდება და გვეონებათ, საზიმიოდ ხსნის სამობაო სამზადისსო, ჩემი მეგობრის წარმოსახვა გამოცოცხლება, გული აუღვარდება და ისიც აცხადებს: „სწორედ რომ ნიგეზიანი კექსის ამინდია! ჩვენი ეტლი მოიყვანე. ქულის პოვნაში მომეძულე.“

ქუდი ნაპონია, ჩალისა, ბორბლისოდენა, მზისგან გახუნებული, ზედ დაკოსილი ხავერდის ვარდებით; ადრე უფრო ელევანტური ნათესავისა იყო. ერთად მივაგორებთ ჩვენს დაწვლურულ საბავშვო ეტლს ბალისკენ, მერე - პეკანების კორომისკენ. ჩემი ეტლია, უფრო სწორად, როცა გავჩნდი, მე მიყვირს. წნელობაა, კარგა დაშლილი, ბორბლები კი ლითის ფეხებით ირყევა. თუმცა ერთგულად გვემსახურება; გაზაფხულობით ტყეში მიგვყავს და ყვავილებით ვავსებთ, სამკურნალო ბალახებით, ველური გვიმრა მიგვანება ჩვენს ვერანდაზე ქოთნებში ჩასარგავად; ზაფხულში საპიკნიკე ავლადიდებას ვახვავებთ, შაქრის ლენწმის ანკელებს და მდინარის სათავემდე ჩავაგორებთ; ზამთარშიც ვარგისია - შემას ვეზიდებით ეზოდან სამზარეულოში. დედოფალსთვის, ჩვენი თაფლაკვერა რეტტერიისთვის, რომელმაც ძაღლის ჭირიც დაამარცხა და ჩრიალა გველის ნაკბენიც, თბილი სამარია. ახლა დედოფალა გვერდით მოძუნძულდება.

სამ საათში ისევ სამზარეულოში ვართ და ძირნაყარი კაკლით დატვირთულ ეტლს ვცვლით. შეგროვებამ წელში გავგვყვირება: არ იცით, რა ძნელი სამოგელი იყო (ბალის პატრონებს - ეს ჩვენ არა ვართ - დიდი წილი უკვე ჩამოებურტყათ) ფთოლებში, გინდაც, გაყინულ, ციბერ ბალახში შემართული! გაისმის ნაჭუჭის მხიარული ტკაცანია, ნამიერ ჭექა-ქუხილს რომ ჰგავს და გამჭვირვალე თასში ტკბილი ზეთდადენილი ხორციანი თქროსფერი გულელების მთა დგება. დედოფალა გვეკვდრება, პირი ჩაუტკბარუნით, ჩემი მეგობრის ციდა ნაწილებს უყრის დროდადრო, თან დაუჩემებია, ჩვენთვის არ შეიძლება: „არა, ძმობილო! პირს თუ დაუკარებთ, ველარაფერი გავაჩერებს! ეს კი ისედაც ძლივს ყყოფა. ოცდაათი კექსისთვისაა.“ სამზარეულო ბნელში ინთქმება. ბინდი ფანჯარას სარკედ აქცევს - სანამ ბუხართან ვსხედვართ და ცეცხლის შუქზე ვსაქმიანობთ, ჩვენი ანარეკლი ამომავალ მთვარეს ერწყმის. როცა, ბოლოს და ბოლოს, მთვარე მთლიანად ამოგორდება, უკანასკნელ კაკლის ნაჭუჭს შევუძახებთ ცეცხლში, ერთად ამოვისუთნებთ და ვუფურებთ, როგორ ნთქავს ალი. ეტლი დაცარიელებულია, თასი - ყელამდე მოყრილი.

ვვამშობთ (ციე პურს, ბეკონს, მაყვილს ჯემს მივრთმევთ) და ხვალინდელზე ვმსჯელობთ. ხვალ, მე რომ ყველაზე მეტად მიყვარს, ის საქმი იწყება - საყიდლები. ალუბალი და ცედრა, კოჭა, ვანილი და პავის დაკონსერვებული ანანასი, ცუკატი, ჩირი და კაკალი, ვისკი და აუფ, რამდენი ფქვილი, კარაქი, აურება კვერცხი, სანელებლები, სუნელები - დმერთო! ეტლის სახლში ამოსათრევად პირნი დაგჭერდება.

მაგრამ სანამ საყიდლად წავალთ, ფულის ამბავია მოსაგვარებელი. არცერთს არაფერი გვაბადია. სახლში რომელიმე თუ მოგვივადებს მცირედს (აქ ათცენტნიანი ძალიან დიდი ფულია) ან ჩვენით თუ ვიპოვით ათასგვარი საქმიანობი: ძველმანებს ვყიდით, ჩვენი ხელით დაკრეფილი მაყვილი საცხე ვედროებს, სახლში მოდულეპულ მურაბებს, ვამლისა და ატმის ჯემებს, დაკრძალივსა და ქორნულებისთვის გვირგვინებს ვწნავთ. ერთხელ ფეხბურთის გულშემატკივართა ეროვნულ კონკურსზე სამოცდამეცხრამეტე პრიზი, ხუთი დოლარი, მოვიგეთ. ფეხბურთის ინჩინბინი არ ვიცით, უბრალოდ, თუ ყურს მოვკრებთ, კონკურსი ტარდება, ვმონაწილეობთ; ახლა ორმოცდაათი ათასის ოდენობის გრანპრის იმედიტ ვართ - ყავის ახალი ბრენდისთვის სახელს არჩევენ („ეიფორია“) შევთავაზებთ; ჩემი მეგობარი ფიქრობდა, მგონი, მკრეხელობაო, მერე ცოტა ვიჭოჭმანეთ, მაგრამ სლოგანიც მოვიფიქრეთ: „ეიფორია უფლის სწორია!“). სიმართლე რომ გითხრათ, ერთადერთი ჭქმშაროტად მომგებიანი საქმიანობა „გასართობთა და სიმახინჯეთა მუზეუმი“ იყო, ორი წლის წინ, ზაფხულში, სახლის უკან, ფარდულში რომ გაისწია. გასართობად სტერეოტკიონი გამოვიტანეთ, რომლითაც ვამინგტონისა და ნიუ-იორკის ხედებს ვაჩვენებდით - ნათესავმა გვათხოვა; ეს ადგილები მოენახულებინა (გაცეცხლდა, რომ გაიგო, რატომ ვითხოვეთ); მახინჯი კი ჩვენი ერთ-ერთი ქათმის სამფხვა წინილა გახლდათ. ამ მხარეში ყველას უნდოდა წინილს ნახვა - დიდებს ხუთცენტნიან ვახდევინებდით, ბავშვებს - ორს. სანამ მთავარი სანახაობის სიკვდილის გამო მუზეუმი დაიხურებოდა, კი ოცი დოლარი ვიპოვეთ.

ასეა თუ ისე, ყოველწლიურად სამობაო დანაზოგს, ნიგეზს კექსის ფონდს ვაქუჩებთ. ამ თანხას მიძევებისგან აკინძულ ძველ საფულეში ვმალავთ, იატაკის მორყეული ფიცრის ქვეშ, ღამის ქოთნის ქვეშ, ჩემი მეგობრის სანოლის ქვეშ. საფულეს მფვიათად ვიღებთ სამალავიდან; მხოლოდ მაშინ, თუ ანგარიშზე თანხის დამატება გვსურს ან როგორც ყოველ შაბათს ხდება ხოლმე, მოხსნა - საქმე ისაა, რომ შაბათობით ათი ცენტის აღების უფლება მაქვს, რომ კინოში წავიდე. ჩემი მეგობარი კინოში არასდროს ყოფილა, არც გვგავს, ნავიდე: „მირჩევნია, შენ მომიყვე ამბავს, ძმობილო. ასე უკეთ წარმოვიდგენ. თანაც ჩემი ხნის ადამიანთა თვალებს უნდა მოუფრთხილდეს. უფალი რომ მოვა ჩემთან, მინდა, ნათლად დავინახო.“ უკარა იმისა, რომ ფილმი არ უნახავს, არასოდეს ჭკამია რესტორანში, არასოდეს უმოგზაურია სახლიდან ხუთ მილზე უფრო შორ მანძილზე, არასოდეს მიუღია ან გაუგზავნია ტელეგრამა, არაფერი ნაუკითხავს გაზეთის იუმირისტული განყოფილებისა და ბიბლიის გარდა, არასდროს ნაუსვამს კოსმეტიკა, არასოდეს დაუსწყველია, არასდროს არავინ გაუშვია ჯანდაბაში, არასდროს უთქვამს ტყუილი განზრახ, არასდროს დაუტყვებია უჭმელი ძაღლი მშვიერი. ესეც ცოტა რამ, რაც გაუკეთებია და დღემ-



დე აკეთებს: თოხით კლავს ყველაზე დიდ ჩხრიალა გველებს, რომლებიც კი ამ მხარეში უნახავთ (თექვსმეტს გაუჩქრქვა თავი), დღეჭაჭა ბურნუთს (მა-ლულად), წვრილის კაიობრს (პაპა, ერთი სკადეთი!) და თითზე ჯდომას ასწავლის, ისე ამაღლებულად ჰყვება ისტორიებს მოჩვენებებზე (ორივეს გვეჯერა მოჩვენებების არსებობისა), ივლისშიც კი გაგაჟრხოლებთ, საკუთარ თავს ესაუბრება, წვიმამი სიერნოსს, ჩვენს მხარეში ყველაზე ლამაზ იაპონურ კამელიებს ახარებს, ყველა ინდური წამლის რეცეპტი იცის, რაღაც ჯადოქრობით მეჭექის მოსაშორებელი მაღამოს ჩათვლით.

ნავახშმევს სახლის შორეულ კუთხეს მივაშურებთ, სადაც ჩემს მეგობარს სინნავს დალიანდა-გებულსაბანგადაფარებულ ბაც ვარდისფერ - მისი საყვარელი ფერია - რკინის საწოლზე. სიამოვნებით ვტკბებით, რომ პირი შეგვიკრავს; უჩუმრად ვიღებთ მძივებისგან აკინძულ საფულეს სამალავიდან, შოგათვს კი დალიანდაგებულ საბანზე ჩამოვცლით. დოლარიანები, მჭიდროდ დაგრაგნილი, მისის კვირტებივით ხასხასა. ფერდაკარგული ორმოცდათცენტიანები, ისეთი მძიმე, მიცვალებულის თვალზე დასაწყობადაც გამოდგება. მშვენიერი ათცენტიანები, ყველაზე მხიარული, როგორ ჩხრიალბუნენ! ზუთცენტიანები და ოცდაზუთცენტიანები, მდინარის კენჭებივით სრიალენ. მაგრამ ყველაზე დიდი მწკლარტე ერთპენსიანების საზიზღარი გროვია. შარშან, ზაფხულში, დანარჩენები შეგვითანხმდნენ, სახლში ოცდაზუთ ბუზს რომ დაეხიოვადით, ერთ პუნის გადაგვიხმდნენ. აუჰ, აგვისტოს სასაკლავო მოვანყეთ: ბუზები ბზუილით სამოთხისაკენ თუმცა ამ საქმიანობით არ გვიამაყია. ვსხედვართ ხალა, ვითვლით ცენტებს და ისეთი ვსმობაბა, თითქოს, ისევე დახოცილ ბუზებს აღვრიცხავდეთ. რიცხვებთან ორივენი მწყრალად ვართ: ნელა ვითვლით, გვერევა, ხელახლა ვინწყებთ. ჩემი მეგობრის ანგარიშით, 12.73 დოლარი გვაქვს; ჩემი გამოთვლით - ზუსტად 13. დიდი იმედი მაქვს, რომ ცდები, ძმობილო. ცამეტთან ზუმრობა არ ივარგებს. ბისკივტები ჩაცვიფდება ან ვინმეს გაისტუმრებს საიქიოს. დიახ! ცამეტში სანოლდან ფეხსაც კი არ ვიცვლი. "მართალია: ცამეტში სულ სანოლშია ხოლმე. ჰოდა, უბედურება რომ არ მოვიწიოთ, ერთ პუნის ვაკლებთ და ფანჯრიდან ვისვრით.

ნიგვზიანი კექსის ყველაზე ძვირადღირებული და ძნელად საშოვნელი ინგრედიენტები ვისკია - მტატ-ბი მისი გაყიდვად იკრძალებს, მაგრამ ყველა იცის, რომ მისტერ ჰაპა ჯოუნსთან ერთ ბოთლს შეიძენ. ჰოდა, მეორე დღეს შემალიონებელი ვაჭრობის შემდეგ მდინარის პირას მისტერ ჰაპას კლუბსკენ - "გარყვინების ბუდისკენ" (საკაოვებლათა აზრი რომ მოგახსენოთ) - ვაგემართეთ; აქ იყო შემწვარი თევზი და ცეკვები. ადრეც ვყოფილვართ, თან იმავე მისით, მაგრამ წინა წლებში გავუორგდებოდით მისტერ ჰაპას ინდიელ ცოლს, გასაავთებულ ოიღისფერ ქალს ზეჟანგით გაყვითლებული თმით. სიმართლე გითხრათ, მაგის ქმრისთვის თვალი არ მოგვიკრავს, მაგრამ გაგვიგონია, ეგვეც ინდიელიაო. გოლიათის ლოყები ნაიარევებს დაუსერავს. „ჰა-

ჰა" იმიტომ შეარტევეს, რომ პირქუშია - კაცი, რომელიც არასდროს იცინის. კლუბს (მორებით შეკრული დიდი ბუნავია, გარეულანა და შიგნიდანაც გირლანდებივით დამუხლავა მხიარული ჭყეტელა ნაპირები ჯაჭვი; დგას მდინარის ატალახებულ ნაპირზე მდინარისპირა ხეთა ჩრდილში, ტოტები-დან კი ხავის ნაცრისფერი ნისლივით მოცოცავს) რომ ვუახლოვდებით, ნაბიჯს ვანელებთ. დედოფალაც კი აღარ მოკუნტრუშებს; გვეკერის. ჰაპას კლუბში ხალხი დაუბოცავთ. ასო-ასო აუუუწვენთ. თავი გაუპიათ. ერთ საქმეს სასამართლო მომივალ თვეში განიხილავს. ბუნებრივია, ასეთები დამით ხდება, როცა ნაირფერადი ნათურები შემოიღო ორნამენტებად იღერება, ფირსაკრავი კი მოთქვამს. დღის შუქზე ჰაპას კლუბი უბადრუკი და უბადურია. კარზე ვაკაკუნებ, დედოფალა ყეფს, ჩემი მეგობარი კი შესძახებს: „მისის ჰაპა, მემ! არავინ ხართ აქ?"

ბაკური. კარი იღება. გული გვისკდება. ეს ხომ მისტერ ჰაპა ჯონსია! და ის მართლა გოლიათია; მართლა აქვს ნაიარევები; და მართლა არ იღიმება. არა, ჩაგვიცემა ეშმაკეული თვალებით და მოითხოვს, ვუბახუბოთ: „ჰაპასთან რა ვინდათ?"

დამბლადაცემული, ცოტა ხანს ვიტრუნებით. ჩემს მეგობარს ხმა მოსვლია და ამბობს, უფრო ჩუჩუნებს: „თუ შევიწინა, მისტერ ჰაპა, თქვენი ჩინებულს ვისი ვინდა, ერთი კვარტი."

კიდევ უფრო ჩაგვაცვიფდება. წარმოვდგენიათ? ჰაპა იღიმება? იცინის კიდევ. „თქვენ ორმოცლოთ რომელია?"



„ექვსისთვის ვინდა, მისტერ ჰაპა. საცხოზად." ფხიზლდება. წარბშეყრილია. „მაგანე კარგ ვისკის არ აფუჭებენ, - და მინც წყვედადაფენილ კლუბში უჩინარდება და რამდენიმე წამში ზიზღისფერი სახმლით ხასვე უეტიკეტო ბოთლით ბრუნდება. მისი შუქზე გვარწმუნებს, როგორ ბრწყინავს სიხის და ამბობს: „ორი დოლარია."

ზუთცენტიანებთა და ათცენტიანებთა და ერთცენტიანებით ვისტუმრებთ. მონეტებს ხელში კამათლებივით ათამაშებს; უეცრად სახე უღებება: „აი, რას გეტყვით, - მოგვმართავს, ფულს ისევე ჩვენს მძივის საფულეში ჩააჩხრიალებს, - ერთი კექსი გამომიგზავნეთ სანაცვლოდ და გავსწორდებით."

„ჰ, - სახლის გზაზე მეუბნება ჩემი მეგობარი, - საუცხოო კაცია. მაგის კექსში ერთი ჭიქით მეტი ქიშიში ჩავყაროთ."

შავი ლუმელი, გაფლუნულებული ნაკვერჩხლითა და შუბით, მანათობელ გოგრასავით ელვარებს. სათქვეფელა ბზრიალებს, კოვზები კარაქითა და შაქრით ხასვე თასებში ბრუნავს, ვანილი ჰაერს ატკობს, კოჭა ამძაფრებს; სამზარეულო გაუფლენილა მაცოცხლებელი სურნელებით, ნესტოებს რომ ელიტინება, სახლს რომ ნთქავს, მსოფლიოს რომ ედება, საკვამურიდან ადენილი. ოთხ დღეში ვასრულებთ საქმეს. ოცდათერთმეტი კექსი, ვისკით დანამული, ფანჯრის რაფებსა და თაროებზე მზეს ეფიცება.

ვისთვისაა? მეგობრებისთვის. არა მხოლოდ მეზობლად



მცხოვრები მეგობრებისთვის - ცხადია, დიდი წილი მათთვისაა განკუთვნილი, ვინც ერთხელ მაინც გვიანხავს ან იქნებ, არც არასდროს გვიანხავს; მათთვის, ვინც განგვაკვივრდა. მაგალითად, პრეზიდენტ რუხველტისთვის. მაგალითად, კალიმანტანში მივლენილი ბაპტისტი მისიონერებისთვის, ღირსი მამისა და მისი მუღლისთვის, მისის ჯ. კ. ლუსისთვის, რომლებიც შარშან ზამთარში აქ ლექციებს კითხულობდნენ. ანდაც ჩია მლესავისთვის, ჩვენს ქალაქში წელიწადში ორჯერ არის ხოლმე გავლთი. ან ებნერ პეკერისთვის, ექვს საათზე მობილიდან მომავალი ავტობუსის მძღოლისთვის, რომელიც ყოველ დღით გვიქნევს ხელს, როცა ჩავვიქროლებ და ბუღს დააყენებს. ან ახალგაზრდა უინსტონებისთვის, კალიმანტანის წველისთვის, რომელთაც ნაშუადღევს მანქანა გაუფუჭდათ ჩვენი სახლის წინ და ვერანდაზე საუბარში საამაური ერთი საათი გავატარეთ (ახალგაზრდა მისტერ უილსონმა სურათი გადაგვიღო; სხვა ფოტო არ გვაბადია). იქნებ, უცნობები ან უბრალო ნაცნობები ნამდვილი მეგობრები იმიტომ გვგონია, რომ ჩემი მეგობარი, უცნობების ვარდა, ყველასთან მორცხვობს? ვფიქრობ, ასეა. თანაც ისეთი გრძნობაა, თითქოს, თეთრი სახლის საფოსტო ქალაქადგებ დანერვილი სამადლობელი წერილების შესახებ ალბომი, კალიმანტანსა და კალიფორნიიდან მოსული ამბები, მლესავის ერთპენსიანი ღია ბარათები გვაკვირებს მოვლენებით დატვირთულ სამყაროსთან, იმ სამზარეულოს მიღმა არსებულთან, სასურათი ცის ხედი რომ უნდა იკმაზროს.

დეკემბრის შესაფერისად გაშიშვებული ლედვის ტოტი ფანჯარას ეხახუნება. სამზარეულო ცარიელია, კექსები გამქრალა; ბოლო წილი გუმინ მივზიდეთ ფოსტაში, სადაც მარკების საფასურმა ჯიბეგანვრტყილი დაგვტოვა. ცენტიკ არ გვაბადია. ვითარგუნები, მაგრამ ჩემს მეტროს დაუჩემებია, ვიზეიმოთ - შაჰას ბოთლში ორი ინჩი ვისკია იქნება დარჩენილი. ერთ კოვს დედოფალს ვუსხამებ ყავის თასში (მაგარი ყავა უყვარს, ვარდაკაჭაჭას გემო რომ დაჰკრავს). დანარჩენს ორ ჭიქაში ვანანილებთ. გაუზავებელი ვისკის დაღვეა ორივეს გვარიანად გვაფრთხობს - გემოსგან სახე გვემანჭება და გვაფრთხობს. ხელ-ნელა ავღლინდით, ორივე ერთად ვმღერით სხვადასხვა სიმღერას. მე სიტყვები არ ვიცი, მარტო ეს: „წამო, წამო, წავედით, ჩვენ შავების უბანში, წვეულება ყოფილა, დღეს შავების უბანში.“ სამაგიეროდ, ვცეკვავ: აი, ვინ გამოვალ, სტეპს ვიცეკვებ ფილმებში. ჩემი მოცეკვავე ჩრდილი კედლებზე ნავარდობს, ჩვენი ხმები ფაიფურს ამხვრევს; ვხიზნითებთ - კაცი იფიქრებს, უჩინარი ხელი უღიტინებთ. დედოფალა ზურგზე გორავს, თათებით თხრის ჰაერს, გეგონება, გარეყვითლა და შავი ხახა დაუფრენიაო. შიგნიდან ვზურვარ, ტკაცუნა მორებივით ვინვი, ბუხარში მოთარეშე ქარივით არხინდა ვარ. ჩემი მეგობარი ღუმლის გარშემო ცეკვავს ვალსს, საცოდავი ჩითის კაბის არშია სასუთადა მოუქცევია თითებს შორის, ვითომ, სამეფლისო კაბა ცეკვას: „გზა მიმასწავლე სახლისაკენ, - მღერის, ჩოგბურ-

თის ფეხსაცმელები კი იატაკზე ჭრატუნობს, - გზა მიმასწავლე.“

შემოდის: ორი ნათესავი. განრისხებული: თვალი - ალი; ენა - ხმალი; ვუსმენთ. სიტყვები ღვარძლიანი ჰანგივით ჩაგვესმის: „შვიდი წლის ბავშვის ვისკის სუნად ვარს! სულ დაკარგე ჭკუა? შვიდი წლის ბავშვს ათრობ! ვაფრინე! გადაგვარების გზაზე ხარ! ვახსოვს ბიძაშვილი ქეთი? ძია ჩარლი? ძია ჩარლის სიძე? თავსლაფი! სირცხვილისი შეურაცხყოფა! დაიჩოქე, ილოცი, ღმერთს შევედრე, მოგიწავლი!“

დედოფალა ღუმლის ქვეშ ძვრება. ჩემი მეგობარი საკუთარი ფეხსაცმელებს დახსრებდა, ნიკაპი უჩახვებებს, კაბას ინვეს, ცხვირს იხივავს და თავის ოთახში ვარბის. რა ხანია, ქალაქი ძილს მისცემია, სახლი მდუმარებაში ჩაძირულა, მხოლოდ საათებიღა რეკავს, ხოლო მინაღვლი ცეცხლო ტურტიალებს - ის კი ქვრავის ცხვირსახოცივით დათიებულ ბალიშში ქვითინებს.

„ნუ ტირი, - ვეუბნები, სანოლის კიდეში ვზივარ, ცვახვებზე, თუქცა კი შალის პრანია მაცვია, რომელსაც შარშან ზამთარში წაყიდი ხველების სიროფის სუნი ასდის, - ნუ ტირი, - ვევედრები, თითებზე ვეთამაშები, ფეხის გულზე ვუღიტინებ, - ძალიან მოხუცი ხარ, რა დროს ტირილია?“

„სწორედაც რომ, - ასლოკინებს, - ძალიან მოხუცი ვარ. მოხუცი და ჭკუამზიარული.“

„ჭკუამზიარული არა. მზიარული. ყველაზე მზიარული ხარ. მისმინე, თუ კიდე იტრებ, ისე დაიღლები, ხვალ ხის მოსაჭრელად ვერ წავალთ.“

გამიძრება. დედოფალა სანოლზე ხტება (სადაც დედოფალას ასვლის უფლება არ აქვს), რომ ლოყები გაულოკოს. ავიცი, სავიფოთი მართლაც რომ ლამაზ ხეს, ძმობილო. და ბაძგსაც. შენი თვალებივით ვევერთელა კენკრა ასხია. ტყის სიღრმეშია. ასე შორს არასდროს გავსულვარე. მამას მანდვან მოჰქონდა ნაძვის ხე, მზრებით მოათრევდა. ორმოცდაათი წლის წინ იყო. ეჰ, ერთი სული მაქვს, როდის გათენდება!“

დილა. ბალახზე ჭირხარი ლიციციებს. მზე, ფორთოხალივით ყრვავილი და პაპანაქების მივარესავლით ფორთოხლისფერი, ჰორიზონტზე დაყუდებულია, ზამთრის ჭალარა ტყეებს აჭახვებებს. ინდაური კიკვივებს. რენეგატები ღორი ჯვანარში დაღვრტუნებს. მალევე ვტოვებთ ეტლს მჩქეფ მდინარესთან, მუხლამდე რომ გვწვდება. დედოფალა პირველი გადის ფონს, გადადაგაფუნდება; შელონებული, სწრაფ დინებას უყევს, გამოთამაშს, ფილტვების ანთების საწინდარს. მივყვებით, ფეხსაცმელები და ატყურვილობა (ცული, ჯუთის ტომარა) თავზემით გვიჭირავს. ერთი მილია გასავლელი სისხლის გამძრო ეკლემში, ტანსაცმელბლაუჭა ბირკასა და ასკოლში, ფერად-ფერადი სუკოთი და მბრწყინავი ბუმბულებით აელვარებული ფიჭვის ყანგმოდებულ წინვებში. ხან აქ გამოულოვს, ხან იქ გაიფარფატებს, ალტყინებული ხმინობს - გვახსენდება, ყველა ჩიტი არ გაფრენილა სამხრეთში. ლიმონისფერი მზით განათებულ არესა და უკუნ ვახს ხვიცენდში ყოფილთვის იმღება ბილიკი. კიდე ერთ შენაკადზე უნდა გადავიდეთ: მყუდრო-

ბადარდევული კოპლებიანი კალმახების არმადა ჩვენ გარემოში ნაყალს აუფაქვდა; თუფშისოდინა ბაყაყივი ლიპებზე ზღარათში ინერტებითან; მუყაითი თახვები კაშხალს ატებენ. მეორე ნაპირზე დედოფალა ბენეს იბერტყავს და ძაგდაგებს. ჩემი მეგობარც ცახცახებს - სიცოცხესი ვაჟი არა, აღტაცებისგან. როცა თავს სწევს და ჰაერში გამჯადარ ფიჭვის სურნელს შვისუნთქავს, მისი ქუდის ერთ გაქუცულ ვარდს ფურცელი სცვივა. „თითქმის მივიდეთ; სურნელს თუ შეიგრძნობ, ძმობილილო?“ - ისე მეკითხება, თითქოს, ოკეანეს ვუახლოვებოდეთ.

მართლაც, თავისებური ოკეანეც ეთქმის. აკრებზე გადაჭიმულა სურნელოვანი ნაძვები და ჩხულმთიფაფითოლა ბაძგი. ნითელი კენკრა ჩინური ზანზალაკივით ბზინავს: შავი ყვავები ყრანტაბლით ატვრებიან. ჯუთის ტომარას მწვანე და მწანამული ტოტებით ვახსებთ, რომ ფანჯრები მოვროთო, შემდეგ კი ხის ასარჩევად გეშურებით. „იცი, როგორი უნდა იყოს? - ბუტბუტებს ჩემი მეგობარი, - ბიჭუ ორჯერ მაღალი, რომ ბიჭმა ვარსკვლავი ვერ მოიპოვო.“ ჩვენ რომელსაც ვიჩრევთ, ჩემზე ორჯერ მაღალია. მშვენიერია, მამაცი, ჯიშინი - ცულის ოცდაათ დაკვრას იტანს, სანამ ჭახანი გააპობს ჰაერს და ნაიქცევა. ნანადირევითი მოჯარევე და შინისაკენ ვიკვალავთ გზას. ყოველი იარდის გაგლისას ბრძოლას ვწყვეტთ, ვხსდებით და ვქოშინებთ; გამარჯვებით მონადირეების ძალას გვცნობთ - ეს და ხის მძაფრი, ცივი სურნელუბა გვაცოცხლებს, გვაქეზებს. შებინდებულზე ვუბრუნდებით ნითლად ატლაბებულ ქალაქის გზას; გამტლები ქებას გვასხამენ, თვალში მოსახსნებულზე დასვენებული საგანაჟური - ეს რა კარგი ხეა, სად იშოვეთო, გვეკითხებიან, მაგრამ ჩემი მეგობარი უშაკობს, უგულისყუროდ უპასუხებს: „სადღაც იქით,“ - თავისთვის ჩაიბრუნდეს. აი, მანქანა ჩერდება, მდიდარი მენისქეილის უქნარა ცოლი თავს გადმოყოფს და გაჰკვივის; „ოცდახუთ ცენტს მოგცემთ მაგ თქვენ ხეში.“ ჩემი მეგობარი უარს უფრთხის ხოლმე, თუმიცა ახლა უმაღვე აქნევს თავს: „ერთ დოლარადაც არ დაგიბობდით.“ მენისქეილის ცოლი ჯიქდება: „დამიხედეთ, დოლარიო! ორმოცდაათი ცენტრი. მეტს არ შემოგაძლევდნოთ ჩემო, ქალო, გეტვის შენ მეორედაც იმომ.“ პასუხად, ჩემი მეგობარი დაყვავებით შენიშნავს: „ეჭვი მეპარება. ქვეყნად არ არსებობს ორი ერთნარიო.“

სახლი. დედოფალა ცეცხლთან იყუფება, მეორე დოლამდე იძინებს, კაცივით ხვრინავს.

სხვენზე სკივრში ალაგია ყურამის ბენვის კუდებით (ერთი უქნაური ლედი ამ სახლში ოთახს ქირაობდა, იმის ელვანტური მოსახსამისა) სავესე ფესსაცემის ყუთი, ფოლგის გახუნებული რგოლები, წლების განმავლობაში გაოქროსფრებული, ვერცხლის ვარსკვლავი და გადახსნილი, მოკლესადენიანი ნათურები, კანფეტებს რომ წააგავს. მშვენიერი მოსართავებია, ცოტა რომ არ იყოს: ჩემს მეგობარს სურს, ჩვენი ნაძვის ხე „პაპისტური ტიპის ფანჯარასავით“ ბრძვილიანდებდეს, სათამაშობისგან ისე იდრიკებოდნენ ტოტები, თით-

ქოს, თოვლის ქულები ამძიმებთო; მაგრამ იაფფასიან მალაზიაში იაპონურ სინატრიფეს ვერ გავგვინებთ. ჩვეულების არ ვარდევით: რამდენიმე დღე სამზარეულოს მაგიდასთან მაკრატლით, ფერადი ფანქრებითა და ქალაღებთი ვხსედვართ. ესკიზები ჩემზეა, თეოქრა კი ჩემი მეგობრის ხელობაა - ბევრი კატა, ვაგუზებიც (ადვილი დასახატია), ვამლები, საზამთროები, ჰარშის შოკოლადის ფილის კილიტისგან რამდენიმე ფრთიანი ანგელოზი გამოდის. ნახელავს ხეზე ქინძისთავებით ვამაგრებთ, დაბოლოს, ტოტებზე ბამბის ფთოლებს (ავგიტოში ამისთვის დაკვირფეთ) ვფანტავთ. ჩემი მეგობარი ნაღვას ათვალერებას, ხელები გადაუჭდია: „გულდასილად თქვი, ძმობილო. შეჭმა ამ მოვიინდა?“ დედოფალა ანგელოზს წაატანს პირს.

ვნნავთ, ლენტებით ვრთავთ ბაძვის გვირგვინებს წინა ფანჯრებისთვის, მერე ოჯახისთვის საჩუქრები უნდა მოვამზადოთ: ქალბატონებისთვის - ჭრელაჭრულა კაშნები, კაცებისთვის კი შინაურული ნამალი - ლიმონის, ძირტკობისა და ასპირინის სიროფი, მიიღება „გაციობის პირველივი სიმპტომის გამოვლენისთანავე და ნადირობის შემდეგ“. როგორც კი ერთმანეთის საჩუქრებზე ვიწყებთ მუშაობას, ცალ-ცალკე ვხსდებით. როგორ მიინდა, მარგალიტისტიანი დახა ვუყიდო, რადიო, მთელი ერთი გირვანცა შოკოლადით მომინანქრებული ალუბათი (ერთხელ ცოტა ვახსივრეთ და მას შემდეგ იფიცება: „მაგი ვარდა, არაფერს ვინატრებდე, ძმობილო, ღმერთია მონამე, არაფერს - მის სახელს ამოდ არ ვახსენებ“)! მე კიდევ ვზივარ და ფრანს ვუკეთებ. ჩემს მეგობარს სურს, ველოსიპედი მიყიდოს (შეიდ მილიონჯერ მითხრა: „ნეტა, შემეძლოს, ძმობილო! ცუდია, როცა ისე ვაღვე დღეებს, რომ იმას ვერ ეღირსები, რასაც ნატრობ, მაგრამ... ჯანდაბა! გულს მიქლავს, რომ ვერ გჩუქნი იმას, რაც მინდა, რომ შეიძლება. ერთ მშვენიერ დღეს, გაჩუქებ, ძმობილო! ველოსიპედს გიშოვი. როგორ, არ მკითხო. აღბათ, მოვიპარავ“). ის კიდევ ზის და ეჭვი არ მეპარება, ფრანს მიკეთებს... შარშანდელივით, შარშანდინდელივით; იმის წინა წელს კი შურდულები ვაჩუქეთ ერთმანეთს. მე ძალიანაც კმაყოფილი ვარ - ფრანის გაშვებაში ბადალი არ გვეყავს, მეზღვაურებივით შეგვისწავლია ქარი; ჩემი მეგობარი ჩემზე უკეთადა დაოსტატებული - ისეთ ნიაგვიც კი, ღრუბელს რომ ვერ უზამს ძერას, ფრანს დაანავარდებს.

შობის წინა დღეს, ნაშუადღევს, ხუთ ცენტს ვუყრით თავს და საყახბოში დედოფალას საჩუქრისთვის, გემრიელად საღრღნელი საქონლის ძვლისთვის მივდევართ. ძვალს იუმორისტული გახეთის ფურცლებში ვახვევთ და კენკროში, ვერცხლისფერ ვარსკვლავთან ახლოს ვამაგრებთ. დედოფალამ იცის, რომ იქაა. ნაძვის ხის ძირში იცუტება და ვაშუამძღრად ირინდება; ძილის დროა, მაგრამ ფესს არ იცვლის. მეც მოუსვენრად ვარ. ზაფხულის სიციხით გათანგულივით ვიხიბ საბანს და ბალიშს ვარბუნებ. სადღაც მამალი ყივის; ვაგტყუებს - მზე ჯერ კიდევ დედამინის მეორე კიდებია.

„ძმობილო, გვლივას?“ - ჩემი მეგობარი მიხმობს თავისი ოთახიდან, ჩემი ოთახის გვერდითა;

ნამიჯ და ჩემს სანოლზე მოკალათდება, სანთელი უჭირავს, - ძილი არ მეკარება, - მიცხადებს, - აზრები კურდღელივით დამბნის. ძმობილო, როგორ გგონია, სადღიად მისის რუსეთელი ჩვენს კექსს მიაართმევს სტუმრებს? - სანოლში მოუსვენრად ვტირაობთ, სიყვარულის ნიშნად, ჩემს ხელს მუჭში მიიმწყვდევს, - ადრე უფრო პატარა ხელი გქონდა. მგონი, ვერ ვეგუებო, რომ იზრდები. რომ გიაზრდება, მაინც ვიმეგობრებთ? - ყოველთვის, ვუპასუხებ, - მუხუბრულება, ძმობილო. სულს მიცემდა, რომ შენთვის ველოსიპედი მეყიდა. ვცადე, მამიკოს ნაჩუქარი კამეა გამეყიდა. ძმობილო, - ყოველივე, თითქოს, რცხვინია, - კიდევ ერთი ფრანი გაგეთე, - მეც ვაღიარებ იმავეს და ვიციანი. სანთელი ისე დაინავლა, ხელში ვეღარ იჭყრო. ქეება. ვარსკვლავები ჩნდებიან - ფანჯარასთან ისე ცვეკვავენ, გგონება, საშობაო სიმღერას სორცი შეუსხამს და ნელა, ნელა აცისკროვნებს მდუმარე წყვილად. მგონი, ვთვლემთ, მაგრამ ალიონზე სხივი ცივი წყალივით გვეცემა. ვდგებით, თვალდაჭყეტილი დაგოდაილობთ, ველოდებით, სხეებმაც გაიღვიძო. ჩემს მეგობარს განზრახ უფარდება ჩაიდანნი სამზარეულოს იატაკზე. მე სტეპს ცვეკვავ დახურულ კარებთან. ოჯახობაც გამოდის; ისე გვიყურებენ, სიამოვნებით დავგზოცავენდენ, თუმცა შობა და არ შეიძლება. ჯერ, საუცხოო საუზმზე გველის - სულო და გულო: კვერები, შემწვარი ციყვი, ღომის ფაფა თუ ფიჭა. ყველა გახალისდა, მე და ჩემი მეგობარი - არა. სიმართლე რომ გითხრათ, მოუთმენლად ველოდებით საჩუქრებს, ამიტომ ლუკმა არ გადაგვდის.

იმედი მიცრუვდება. რა გასაკვირია? მერგო ნინდები, ჰერანგი საკვირაო სკოლისათვის, ცხვირ-სახოცები, გამონაცვალი სვიტრი და საბავშვო რელიგიური უჟონალის, „ლილი შეფარდის“, ერთნლიანი გამონერა. ავეთქედები. დიას!

ჩემი მეგობრის ნადავლი სჯობს - ერთი ჩანთა მანდარინი. საუკეთესო საჩუქარია, მაგრამ დაოჯახებულმა დამ ბამბის ნაქსოვი თეთრი თავსაბურავი აჩუქა - მაგით ამაყობს. ამბობს, ჩემს ფრანს არაფერი ურჩევნია. ძალიან ლამაზია, თუმცა მისას ვერ შეედრება - ლურჯია, ფასდაუდებელი სამსახურისთვის მინიჭებული ოქროსფერი და მწვანე ვარსკვლავების დანიწკლული; გვ რაა! ჩემი სახელიც კი ანერია - „ძმობილი“.

„ძმობილო, ქარი ქრის.“

ქარი ქრის და ჩვენც ვერ ვითმენთ, სახლის ქვემოთ, საძოვრებისკენ მივბრძობათ, სადაც დედოფალა ელისის სისწრაფით მარხავს ძეაღს (და სადაც გაისად, ზამთარს, დედოფალაც დაიმარხება). მივეგლავთ ხშირ, წელამდე აბიბინვე ბალახში, ვუშვებთ ფრანებს და ვგრძნობთ, როგორ ქაჩავენ თოქს ქარში მოცურავე ცის თევზებივით. კმაყოფილი, მზეზე გამთბარი, ბალახში ნუნებერობთ, მანდარინს ვფცქვით და ჩვენი ფრანების ნავარდს შევცქერთ. მაღვე მაყინყდება ნინდებიც და გამონაცვალი სვიტრიც. ისეთი ბენიერი ვარ, თითქოს, ყავის ბრენდის სახელწოდების შესარჩევ კონკურსზე გრანპრი, ოცდახუთი ათასი დოლარი, მო-

მეგოს.

„ღმერთო, რა სულელი ვარ! - შესძახებს ჩემი მეგობარი, უეცრად დამფრთხალი, გვეგონება, დუმელში რომ ნამცხვარი ჰქონდა, ახლად გახსენებიაო, - იცი, რა მეგონა? - აღმოჩენია, ხმაზე ეტყობა; რაღაცას შეპღიმის ჩემს მიღმა, - სულ მეგონა, რომ მხოლოდ ავადმყოფი და მომაკვრივი სხეული იხილავდა უფლს. ვფიქრობდა, მისი მოპირებება ბაპტისტური ტაძრის ფანჯარაში შეხედვას გამგავსებოდა, ვიტარაუებში დაღვრილ მზეს, ისეთ სინათლეს, დაბინდებას რომ დაგავინწყებდა. ეს მანუგეშება - იმაზე ფიქრი, რომ სინათლე ყველაფერის შიშს გამიქარწყლებდა. დაგენაძლევები, ასე არ იქნება. დაგენაძლევები, აღსასრულის სხეული აცნობიერებს, რომ უფალი უკვე გამოსცხადებია. ეს ყველაფერი, - ხელით ისე მოხაზა წრე, ღრუბლები, ფრანები, ბალახი და მინაში ძვლის მმარხავი დედოფალა ერთად მოაქცია, - ის, რასაც გარშემოხედავენ, ვაცხადებულთ უფალია. რაც შემებება მე, თუნდაც ახლავე ნავალ საიქიოს, დღევანდელი დღე მედგება თვალწინ.“

ეს იყო ერთად გატარებული უკანასკნელი შობა.

ცხოვრებამ გაგვეყარა. ჭკუისკოლოფებმა გადაწყვიტეს, რომ სამხედრო სკოლაში უნდა მესწავლა. და ასე ვიხდი სასჯელს ბუკით გაყრუებულ ციხეებში, ვაცხადებულ ბანაკებში, უმონყალოდ რომ ნამოგაფრენს დილაუთენია. მეც ახალი სახლი მაქვს. მაგრამ გვ არ ითვლება. სახლი ექაა, სადაც ჩემი მეგობარია; მანდ კი არასდროს მივდივარ.


ის იქ რჩება, სამზარეულოში დავთაურობს. მხოლოდ დედოფალა მასთან. მედღე სულ მარტო („ძმობილო, საყვარელო, - შენთვის თავიი ბატიფებურით, - გუშინ ჯიმ მემის ცხენმა დედოფალას ისე ჰქრა ნიხლი, მოკლა. ღმერთს მადლობა, არ უნდაა...“ ფაინ ლინინს) ზენარში ვავახვიე ეცტლით სიმპსონის სამორებისკენ წავიყვანე; ესვენოს იქ თავის ძვლებთან...“). კიდევ რამდენიმე ნომებური გადის, მარტო აცხობს ნივზიან კექსებს; იმდენს ვეღარ, ცოტას. რა თქმა უნდა, „საუკეთესო ნახელავს“ მე მიგზავნის. ტუალეტის ძალადღში შეფუთულ ათ ცენტს ყველა წერილში დებს: „ფილმი ნახე და ამბავი მომიყევი.“ ნელ-ნელა წერისას თავის მეგობარში ვერევი, იმ ძმობილოში, ოთხმოცათხუთს რომ მოკვდა; მარტო ცამეტში აღარ რჩება სანოლში, სხვა დღეებშიც აღარ ანძრევს ფესს: თენდება ნომებრის დილა, ფოთლოცნულად, ჩიტდაკარგული სუსხიანი დილა, როდესაც ვეღარ ადგება და ვერ შეწყვირებს: „ღმერთო, სწორედ რომ ნივზიანი კექსის ამინდი!“

და როცა ეს ხდება, მაშინვე ვგრძნობ. მოსული ცნობა მხოლოდ დასტურია იმისა, რაც იდუმალი ძალით უკვე მიგრძნია - შეუცვლელ ნაწილს მკვეთენ, თითქოს, ფრანი განყვეტილ თოქს სწყდება. სწორედ ამიტომ, დაეკმობრის ამ დილას კამპუსი მიუყვები და ცას თვალს არ ვაშორებ; ასე მეგონა, დაკარგული ორი ფრანის დანახვას ველი, როგორც ორი გულისას, ცისკენ რომ მიისწრაფვიან.



მაღსაზ ხარბეღია

# ღავრენტი არღაზიანის თბილისი

ქუჩა, ინტერიერი, ხასიათები<sup>1</sup>

## შესავალი - ამბავისტების დრო

ქალაქის, უფრო კონკრეტულად კი, თბილისური ტექსტის კვლევისას XIX საუკუნის ლიტერატურას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. როგორც პოეზიაში, ასევე პროზაშიც შეიძლება გამოიყოს ეს მიმართულება, ქალაქური პოეტური ფორმები იქნება ეს თუ თემები, პროზაული ნაწარმოებები, რომლის მოქმედებაც ან ქალაქში ვითარდება, ანდაც დეტალურადაა გადმოცემული იმდროინდელი ქალაქური ყოფა, ეთიკა თუ ეკონომიკა, სოციალური გარემო, ნიშანთა სისტემა.

ამ მხრივ ყველაზე საყურადღებო XIX საუკუნის პირველ ათწლეულებსა და შუა წლებში შექმნილი ტექსტებია, მხატვრული თუ მემუარული, მიმონერა, კრიტიკული და მიმოხილვითი სტატიები, პიესები და სხვ. ავტორებს შორის არიან: ალექსანდრე ჭავჭავაძე, დანიელ ჭონქაძე, გრიგოლ რჩეულიშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი და, რა თქმა უნდა, ლავრენტი არღაზიანი. ეს ავტორები, შეიძლება ითქვას, გარდამავალი პერიოდის თბილისში მოღვაწეობდნენ და ზოგიერთმა მათგანმა ამ დროის ქალაქის უტყუარი სურათი შემოგვინახა. ესაა პერიოდი,

<sup>1</sup> გთავაზობთ ორ თავს ვრცელი კვლევიდან ლავრენტი არღაზიანის თბილისური ტექსტის შესახებ. სრულად ტექსტი გამოქვეყნდება ნიგნში „ქართული ლიტერატურის თბილისური ტექსტი“, რომელსაც 2024 წელს გამოსცემს გამომცემლობა „პალიტრა L“.

როდესაც ქალაქი განუხრელად იზრდება, იზრდება მოსახლეობა, ფართობი, თბილისის ნაწილად იქცევა არაერთი სოფელი, გარეუბანი (ამ შემთხვევაში გარეთუბანი) კი ცენტრის ფუნქციას იღებს თავის თავზე.

ხსენებულ ათწლეულებში ისედაც მრავალფეროვანი ქალაქი კიდევ უფრო ჭრელი და ნაირგვაროვანი გახდა. ერთი მხრივ, იყო განსხვავება ეთნიკური და რელიგიური თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი, აუარება მიგრანტი სახლდებოდა თბილისსა და მის შემოგარენში და ისინი თავიანთ მიცრთ თუ დიდ დასახლებებს ქმნიდნენ. მაგ. რუსი ოფიცრები და მოხელეები ნავთლუის მინდვრებზე დასახლდნენ (მათ ქალაქშიც ჰქონდათ ბინები), გერმანელი კოლონისტები კუკიისა და დიდუბის ტერიტორიაზე, ქართული თუ არაქართული სოფლებიდან აყრილი მოსახლეობაც თავის ადგილებს პოულობდა სხვადასხვა უბანსა თუ სოფელში: ვერეზე, კრწანისში, ავლაბარსა და დიდუბეში, კუკიასა თუ ჩუღურეთში, ელიას მთასა და ნავთლულში. ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების ცნება ახალი მნიშვნელობებით შეიცვალა, რადგან ახალი და განსხვავებული იყო სოციალური და კულტურული გარემო, რომელიც XIX საუკუნის 10-50-იან წლებში ჩამოყალიბდა ჩვენს ქვეყანაში, დაპყრობილ და კოლონიაქმნილ ყოფილ სახელმწიფოში, სადაც პირველმა 3-4-მა ათწლეულმა, შეიძლება ითქვას, გათავისუფლებისთვის ზრძოლაში და მასზე ფიქრში გაიარა. 40-იან წლებში კი, მას შემდეგ, ვამ მიხილ ვორონცოვი ჩამოვიდა კავკასიის მეფისნაცვალად (1844 წლის დეკემბრიდან), ბევრი რამ შეიცვალა და ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ავტორების უმრავლესობაც სწორედ ამ დროის, მშენებარე, განვითარებადი ქალაქის სიტუაციას აღწერდა.

ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილისა“ და „მორჩილის“ მოქმედებაც სწორედ ამ პერიოდში ვითარდება და ქალაქისა და სოფლის დაპირისპირებაც კარგად ჩანს აქ. „მორჩილიდან“ დავიმონებ ერთ ეპიზოდს, როდესაც მოუხეშავი ქალაქელი ფრანტი ქალაქელსავე გოგონას ეკითხება: „იქნება გეყინდესთ ქალაქეთ?“ გოგონას ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება მას ქალაქმა აწყინოს, რაზეც ფრანტი პასუხობს: „რას მიბრძანებ, ქალო, ქალაქი დასაჭლექებელია კაცისა! <...> ყველა ხომ არ აიტანს ქალაქის ჰვასას. უმეტესი ნაწილი სკვდით არის ავადყოფი“. გოგონას დადიანს, მის მეღანქოლიურ ხასიათს და უსიამოვნო გარემოებებს აბრა-

ლებს ყველაფერს და არა ქალაქის დაგუბებულ ჰაერს. სიტყვა სოფელზეც ჩამოვარდება, ცოლქმრის ვალდებულებებზეც და ბევრ სხვა საინტერესო თემაზე, თუმცა მთავარი ის გახლავთ, რომ აქაც, ისევე, როგორც ბევრ ქალაქურ ტექსტში, ამკარად წინა პლანზე გამოდის ქალაქისა და სოფლის დაპირისპირება.

ეს, რა თქმა უნდა, არ გახლავთ ერთადერთი თემა არდაზიანის თბილისურ ტექსტში, კიდევ ბევრ პრობლემას წაგანყდებით მის ნაწარმოებებში და ერთ-ერთი უმთავრესი, იმდროინდელი საინფორმაციო პოლიტიკაა, სიახლებების გადაცემის მექანიზმები და მაშინდელი მედიის საკითხი, რომელიც გაბნეულად მის ყველა ნაწარმოებში გვხვდება, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 1862 წელს „ცისკარში“, ბოძა თინიკეს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ტექსტში „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“.

„არა მგონია იყოს კაცი, რომელსაც არა ჰქონდეს ყურები და ცეკვეტილი და ენა გაწარხული, რომ ან გაავაცნოს, ან გადასცეს სხვას ახალი ცოცხალ-ცოცხალი რამ ამბავი, ვინა იყოს სრულიად სიცრუე“. ასე იწყებს თხრობას ამ უცნაური ტექსტის ავტორი და იქვე დასძენს, რომ ათეწლებს ის დღე დაკარგულად მიაჩნდათ თურმე, როცა ახალ ამბავს ვერ შეიტყობდნენ. ამ სენს საუკუნეების შემდეგ საქართველოშიც მოუკიდებია ფეხი. არდაზიანი შეკითხვას სვამს, იქნებ მეორე მხრე საუკუნეში მოხდეთ ეს, ამ დროს შეეპარა ქართველების თორქმელებს ახალი ამბების, გნებათ ჭორების მიღებისა და გადაცემის ვნება.

ერთხელ დავწერე XIX საუკუნის დასაწყისის თბილისელ „ამბავისტებზე“ („რამამბავისტებზე“), ადამიანებზე, რომლებიც, სანამ ქალაქში პრესა გაჩნდებოდა და ცნობისმოყვარე მოსახლეობა „გაზეთში ჩაგდებულ“ ამბებით დაინყებდა საზოგადოებას, ინფორმაციის მთავარ მატარებლებად და გადაამტებდად მიიჩნეოდნენ. მაქსიმე ბერძინიშვილმა თავის ერთ კარგ ნიგნო<sup>2</sup> კარგი აზრაციები მიუძღვნა ამ ინსტიტუტს, „სალაბობს“, ანუ „ამბავისტებს“, რომლებიც მაშინ ბატონის მოედანზე იყრიდნენ თავს (ბატონის მოედანს 1828 წელს გუბერნატორის მოედანი დაერქვა, მოგვიანებით ვეზარქოსისა, დღეს კი ერეკლეს მოედანი ჰქვია) და ქალაქის მოსახლეობას საინფორმაციო წყურვილს უკლავდნენ. ამბავისტებისკენ აპარებდნენ ყურს ჯერ კიდევ 1800 წელს გენერალი ლაზარევი და საქართველოს მომავალი მთა-

2 „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ მთხრობელი ხსენებული პერიოდის დასაწყისში ამბავს სკამოდაა და მოცემული ტექსტში.  
3 საქმე ისაა, რომ მამაკაცი ამ გოგონას ცოლად შერთვას ცდილობს და შემდეგ კი მისი სოფელში გამომწყვედვია აქვს ჩაფიქრებული.  
4 მაღლაზ ხარბედია, ამბავისტის ჩანაწერები, გამოქვეყნდა foreignpress.ge-ზე 2008 წლის 11 სექტემბერს, შემდეგ იმავე წელს ჟურნალ „სოლიდარობაში“, №6 (26).  
5 მაქსიმე ბერძინიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. თბ. 1980.

ვარმართებელი ენორინგი, ამავე მოედანზე შეხვდა ქართული საზოგადოება ქვეყნის ანექსიას; ერთი წლის შემდეგ, აქვე გაიჩრეოდა 1812 წლის კახეთის აჯანყების დეტალები და 1832 წლის ცნობილი შეტიქმულების ცინცხალ ამბებსაც აქ შეიტყობდნენ ტფილისელები.

ეს მოედანი აქტიური იყო რუსების გამოჩენამდეც. არდაზიანი როგორც წერს, „თითქმის მეფის განაღების საპოლიტიკო საიდუმლოებებსაც კი, ნამდვილებს თუ გადაკეთებულებს, გამოიტანდნენ, გამოიკვლევდნენ, მოიწონებდნენ ანუ დაიწუნებდნენ“ და სულაც სიცრუე რომ ყოფილიყო, მაინც ვერცხლდებოდა, რადგან მათი ნამდვილობის „შეტყობა“ არც იყო საჭირო, მთავარი ის გახლდათ, რომ ამბავი განიღვრებოდა და თავის გზას პოულობდა, ამბების გარეშე კი ქალაქში მოწვენილობა ისადგურებდა. „ახალი ამბავი ხომ შეიტყეს, გათავდა, სინამდვილე იმათი გამოჩნდებოდა თავის თავთა დროებითი!“. გზაში ამბები იწმინდებოდა, გადაბრუნდებოდა და გადმობრუნდებოდა, შეივცვლიდა სახეს და ერთი ახალი ამბიდან მეორე ივეებოდა, მეორიდან - მესამე, მესამიდან - მეოთხე და ა.შ. ეს ვნება არდაზიანის დროშიც ძალზე აქტუალური და მოქმედი იყო, გაცხოველებული და ამგვარი ამბავისტები მას თავის ნაწარმოებებშიც ჰყავს გამოყვანილი, რომლის საუკეთესო მაგალითს „მუსატყული“ ალექსი კერპაძე წარმოადგენს.

ჭორებისა და ტყუილი თუ მართალი ინფორმაციის გადაცემას ეძმის და ენათსაგება არდაზიანის კიდევ ერთი მთავარი თემა, განათლება, რომელიც იმდროინდელი საზოგადოებისთვისაც განსმალზღველი აღმოჩნდა და, ამავდროულად, ყველაზე საკამათოც. „ტროტუარებში“ პირველივე გვერდებზე ჩამოვადებებს სიტყვას განათლებაზე ავტორი, ოღონდ ერთი ვინმე ტფილისელი ქალბატონის პირით ამბობს, რომ სულ ტყუილად გაზარდეს თავიანთი ყმაწვილკაცები უშაღლეს სასწავლებლებში, ტყუილად ითმინეს მრავალი მწუხარება იმათი მოშორებით, რადგან უნაყოფო ხეებად დაბრუნდნენ, დიდ-დიდი ლაპარაკებითა და უსაქმურობით. მათ ჩხირის გადაჭრუნებაც კი არ შეუძლიათ და ამიტომაც ხალხი რომ ამბობს, „ფრანტობის მეტი არა უსწავლიათარა“. სხვათა შორის, ეს საყვედური კვლავ მედიას და ამბის გადაცემას შეეხება, მაშინდელი პრესის სიმწირეს თუ არარსებობას, უგაზეთობას, ინფორმაციული წყურვილის მოკვლას. არგუმენტი მარტივია, თუკი ლიტონათვის არის ფული, ვაზეთებისთვის და ჟურნალისტისთვის რატომ გერუნდა მოვახერხოთ თანხის შეგროვებაო. როდემდე უნდა ვიყოთ თბილისის ტროტუარებზე გამოჩეკილი ამბების ამარა დარჩენილიო:

„გამოჩეკიც გახლავან ისინი, ვინც უფრო

ბშირათ ბუდარაობენ მუნ, ესე იგი: ცრუ მეცნიერები, სულელ მეცნიერები, გამოუსვლელნი და იმათი ტაკობსხარაები; ეს ხალხი სტეჟნის და სტეჟთასტ ტროტურარსა, ყურნო გაკეჭნის ყოველ გვარ სიცრუითა, ყოველ გვარ მკვებარაობითა, განკიცხვითა, სხვაზედ დაცინვითა, თუმცა თვითონ არიან სასაცილო და ამას ხედვენ“.

ეს პატარა ტექსტი კიდევ ბევრი რამითაა საინტერესო და ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, თუკი არდაზიანის ძირითად ნაწარმოებებამდე მას ამოვწურავთ, როგორც შესავალს ჩვენი ავტორის თბილისურ ტექსტში. „მეგდღანუაშვილიც“ და „მორჩილი“ საკმაოდ მდიდარია პერსონაჟებით, მაგრამ სანამ მათ დახასიათებაზე გადავიდოდე, „ტროტუარების“ ქალაქური ტიპაჟებიც ვნახოთ.

აქ პერსონაჟები ქალაქის სკამებზე და სკამებს შორის არიან გადანანილებულნი, ერთადერთი ქალაქის ბიჭი დასეირნობს. იგი თექვსმეტი წლისაა, აცვია დაგლეჯილი დიმიტიკონის კაბა და ხელში ლიმონებითა და ფორთოხლებით სავსე კალათა უჭირავს, „სპირკასაც“ ყიდის. ბიჭი ახალ უბანში, შტაბის შენობის წინ დაბიჯებს და მიიმდრის. მას **ნასწავლი ფრანტი** მიუახლოვდება, იქვეა ნახსენები **ჰედანტი**, კაცი, რომელიც თავის თავზე ბევრს ფიქრობს, **ცრუ სწავლული**, **ცრუ განათლებული**, გვგვდება **ახმახი**, ცეტი, როგორც თხა, ქვეშუდანი როგორც გველი, ბორიტი როგორც ყვავი, ბაქია როგორც კაჭკაჭი, ისიც „მევრს ფიქრობს თავის თავზე, გამოდის კი, რომ ისე მეცნიერია, როგორც თუთიყუში“. პირველ სკამზე ზის **სამი მგერელი**, რომლებიც ერთმანეთში რუსულად ლაპარაკობს: „ნიჩელოც, ხორმათო პროვადიმ ვრემი. ა ვიი კაკჰ პროვადიმ ვრემი... მოი ბარინ პუშოლო ნა კოჯორი“ და მსგავსები... ქალაქის ბიჭი რუსულს უწუნებს მათ და ბოლოს ეუბნება, „წადით იქურდეთ, რა თქვენი საქმეა ტროტურარზე მუსაიფობა“.

!!! თავში გამოჩნდებიან **პეტრე ურცხვადე** და **დავით დარბიხილი**. ურცხვადეს წვერის მოწვევა გამოცნეიერების წინაშეობაზედ მიაჩნია, დარბიხილს კი არ ესმის ეს ირონია. ურცხვადე პეტერბურგში განათლებამიღებულ წვერიან ყმაწვილებს ასახელებს, ხოლო დარბიხილს კვლავ არ ეყურება, თუმცა ბოლოს მაინც ალაპარაკდება და იტყვის, რომ ეს წვერი მხოლოდ მოგადა, სწავლით კი ჩვენზე მეტს მაინც ისწავლიდნენო. ურცხვადის არგუმენტი ისაა, რომ ისინი არაფერს წერენ. ცოდნა რომ მიეღოთ, რამეს აუცილებლად დანერდნენო და თავისი მაგალითი მოჰყავს, როცა მის უკანასკნელ თხზულებას თურმე ქებით გამოხმაურებიან ვინმე გოტლიბ შტერნი ფრანკფურტიდან, იოლან კლეინ ფისტე ბერლინიდან და მარტინ შაბლაუზენი ლეიფციგიდან. დარბა-

6 ჩვენ გვინდნან ნამდვილი განათლებულები“





ისლოვი ამბობს: „*ეხლანდელ გერმანიის გამოჩინებულ მსწავლელებს თითქმის ყველას ვიცნობ, და იმათ შორის არა ჰქნანან შენგან მოხსენიებულნი მეცნიერები!*“.

მეორე სკამზე სხედან **პაფნუტი პახომიჩ ველიკოუმოვი** და **აპოლონ ტარასოვიჩ ოსტროუმოვი**, სამსახურში დაბრუნებულები და სამსახურიდან გამოსულები, სუქან-გასქელებულნი და სპირტით გაჟივებულნი. იქვეა **აკსინია**, გართობული ბებერი დედაკაცი, რომელიც „*პაპიროზს სწევს, თამაშობს და იღერის*“. მესამე სკამი **ნიოთელვარატიკიან** და **შავვარატიკიან** კაცებს დაუკავებიათ. ჩაივლის **სათვალეებიანი კაცი**, რომელსაც **ახმახი** გამოელაპარაკება, მათ ვინმე **ტარაბორევესი** შემოხვდებათ და შემდეგ კი **მარად ტროტუარზე მყოფი**. მეოთხე სკამზე **ქალსა და ვაჟს** დაუკავებიათ ადგილი, შეყვარებულები არიან. მეოთხე და მეხუთე სკამებს შორის კი დგანან **ორი მაძებარი ჭეშმარიტების ნატეხებისა** და ერთიც **ტაკიამასხარა**.

ამ დროისთვის რუსეთის ზატონობა საქართველოში დაახლოებით 50-60 წელია რაც გრძელდება, აჯანყებები ჩახშობილია, შეთქმულებები - გახსნილი და გამოძიებული. შემოსარიგებლები შემორიგებს, დასაჯელები კი დაისაჯენ. დგას 50-იანი წლები, ვორონცოვის უპოქამ უკვე ჩაიარა, თუმცა მისი მემკვიდრეობა ცოცხალია ქალაქში, რუსული და რუსულის გავლით ევროპული გავლენა ქალაქზე უკვე აშკარად ჩანს. თბილისში რამდენიმე პერიოდული გამოცემა იბეჭდება, მათ შორისაა „*ცისკარი*“, სადაც აქტიურად თანამშრომლობს ლაერენტი არდაზიანი და სადაც იგი ჯერ თავის თარგმანებს (მაგ. შექსპირის „*ჰამლეტს*“) და ლექსებს აბეჭდებს, შემდეგ კი მორღილი ტექსტების დაბეჭდვასაც გადაწყვეტს. „*სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი*“ პირველია, მას „*მორჩილი*“ მოჰყვება.

<...>

### „**მორჩილი**“, ანუ მტკვრის ორი ნაპირი

ზემოთ დეტექტივის ჩანასახები ვახსენებ „*მეჯღანუაშვილი*“<sup>7</sup>, თუმცა „*მორჩილი*“<sup>8</sup>, ამ რომანში თუ ერცულ მოთხრობაში, ე.წ. დეტექტიური კვანძი გადაწყვეტ რლოს თამაშობს და ერთერთი უარყოფითი პერსონაჟის „*კვლევა*ს“ გაცილებით მნიშვნელოვან დასკვნებამდე მიყვავართ, ვიდრე „*მეჯღანუაშვილი*“, სადაც უბრალოდ გაივლებენ ეს საიდუმლო და საჩხრეკი, ე.წ. დეტექტიური საკითხები. თან უნდა გავითვალისწინოთ, რომ „*მეჯღანუაშვილისგან*“ განსხვავებით, სადაც, ძირითადად, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე

ვრჩებით, „*მორჩილი*“ ავტორი ხიდებზეც უფრო ადვილად გადი-გამოდის და მტკვრის მარცხენა ნაპირიც აქტიურად ერთვება საქმეში.

ძალიან ზოგადად მოვყვები ამბის შესავალს, როგორც ოპერის მოკლე შინაარსების ავტორებმა იცინან.

თხრობა იწყება მტკვრის მარცხენა მხარეს „*ახალ კუთაში, კალონიის ახლოს*“<sup>9</sup>. აქ ცხოვრობს ალექსანდრა, ცხრამეტი წლის ყმაწვილი ქალი, ვისი მოახლეც, მარიკო ალექსანდრას მიხაკოზე გათხოვებას ცდილობს. მიხაკო ახალგაზრდა ოფიცერია, თურქეთის ომის მონაწილე, მარიკო კი იმიტომაც ასე მონდომებული თავისი ქალბატონის გათხოვების გამო, რომ ამაზეც დამოკიდებული მისი და როსტომის ბედიც - თუ ბატონები დაქორწინდებიან, მსახურებსაც მაშინვე დააქორწინებენ. როსტომი მიხაკოს მსახურიც და ყველა სამხედრო „*კამპანიაში*“ თან ახლავს მას, „*დენიშკივითა*“. მდინარის გადაღმა, მთანმდინაზე ცხოვრობს კიდევ ერთი პერსონაჟი, თეიმურაზი, რომელიც განსხვავებით მიხაკოსგან (მიხაკოც და ალექსანდრა ურთიერთობა ძალზე სურულია, ბუნდოვანი, გაუბედავი და საოცნებო) აქტიურად ცდილობს ალექსანდრაზე დაქორწინებას. იგი თანამდებობის პირია, მედიდური. ალექსანდრას ჰყავს მშობლები, კონსტანტინე და მარიამი, ასევე ძმა - რევაზი. ისინიც აქტიურად ცდილობენ ქალიშვილის გათხოვებას, მაგრამ ჯერ ვერ შეურჩევიათ სასიძოს კანდიდატურა. მიხაკოს მშობლები არ ჩანან ნიშნში. თეიმურაზს ჰყავს დედა, ეკატერინე და - და, თეკლე, კიდევ არცაა, ტრუტლიანი მსახური, პატარა კაცი გოჩუნა, რამდენიმე ხელის ბიჭი და მოახლე, შუამავლები, ბიძამვილ-მამიდაშვილები და ოჯახის მეგობრები.

მეორე რომანი დროის დაზუსტებით იწყება: „*იყო უკანასკნელი დღეები აპრილისა 1854 წ.*“ ქალაქში მზე ამოდის, „*მცხინვარე სხივი*“ ტფილისის ჰორიზონტზე დგება, ქალაქს ჯერ კიდევ სძინავს და გაზაფხულის დილის მშვენიერება არ აინტერესებს, თუმცა შიგადაშიგ ისმის „*ფეხის ხმაურობა რომელიმე შრომისმოყვარე მუშაკისა*“, დღიური ლუკმის მოსაპოვებლად რომ მიეშურება.

მეორე აბზაცში უკვე სამოქმედო სივრცეებიც ზუსტდება და ვხვდებით, რომ კითხვისას მტკვრის მარცხენა ნაპირზე დიდ დროს გავატარებთ.

ბარემ კიდევ ერთ ზუსტ თარიღს ვახსენებ დროის უკეთ ნარმოსადგენად და ქალაქურ პორტრეტებზეც გადავალ. ავტორი 1853 წელს ასახელებს, როცა მიხაკოს ხელმწიფის ორი წყალო-

7 საუბარია პირველი წიგნის მეოთხე თავში ერთ მონაკვეთზე, სადაც რამდენიმე ჩინოვნიკი ესტუმრა სოლომონს მოკვლევისთვის. მეტიც, ერთგვარი სასამართლო ექსპერტიზაც კი ტარდება. სრულად იხ. წიგნში.  
8 რომანი 1862 წელს გამოქვეყნდა „*ცისკარი*“ში.  
9 ცხადია, გერმანელების კოლონია იგულისხმება.



ბა ებოძა ომებისთვის<sup>10</sup>.

ისე, დროის კონკრეტულ ეტაპზე ძლიერია არდაზიანი (ისევე, როგორც „სოლომონ ისაკირ მეფედანუაშვილში“), ნიგის ბოლოსკენ სულ უფრო და უფრო „ნურავს“ დროს არდაზიანი, ანელეს ტემპს, ერთმანეთს მოჰყვება ქვესათაურები: „გამოსალმება“, „წახვლა“, „გადაწყვეტილება“, „ვიზიტი“, „გამოცხადება გადაწყვეტილებით“, „წინააღმდეგ ნიშნობისა“, „სალამო ნიშნობის წინა დღისა“, „გავრძლება“, „მარიკოს განკარგულება“ და „შემდგომილობა მარიკოს განკარგულებისა“. ეს ქვეთავი ასრულებს კიდევ ნიგს.

ხოლო ერთგან ვკითხულობთ: „შტაბის საათმა დაჰკრა ცხრა, აყო ბინდი“.

### ქალაქური პორტრეტები, ჩაცმულობა

არდაზიანის მიერ დახატული ქალაქური პორტრეტებიდან, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მარიკო უნდა ვახსენოთ, ვინც თავიდანვე ჩნდება ტექსტში და შემდეგ ინტრიგის უმთავრეს მთხვევლად გვევლინება. მას აცვია „ჩაქსულა“, თეთრადგილზე ჩითის კაბა, თავზე ეხვია ყვითელი ბალადაი<sup>11</sup>.

შემდეგ ვახსენოთ ალექსანდრა, რომელიც პირველ გამოჩენაში ჯერ სანოლს არ მოსცილება, ნებივრობს და მისი ტანისამოსიც სწორედ ეს ლოგინია: „ლოგინი იყო სუფთა და გემოვნებით ვაკეთებული, ალისფერ ატლასის ბალიშებზე გადაკრული იყო წმინდა ტილოს საურები, რომელზედ ვარშემო ეკრა ნაკერი ბატისტზე არშოები. სუფთა ტილოს შეწარი, ვარშემო არშოითა, გამდომფენილი იყო საწოლიდამ ხალიჩამდინ, საბანი ეხურა ქალს პირისფერ ატლასისა, მქრქალ ატლასის სარჩულზე კარვის ხელოვნებით ნაკერი. საბანი ეხურა მხოლოდ ვულამდინ, თავზე არა ეხვია-რა. რომ დაეცვლიდა, ნახავდით უმეტესაკლებობას ყმაწვილ ქალის თავში, სახეში და მთელ აგებულებაში. ხუჭუჭა თმა და კაცები გადმოშლოდა მცირედ შებოწეულ ლოყებზე, თეთრ გულზე და მხრებზე. თვალ-წარბი და ალი ტურქები უხატავდნენ თავადვე ლამაზს სახესა. მაგრამ ამ სილამაზეს ერთითად ამშვენებდნენ შუბლზე დაფერილი გონიერება, სახეზე ცხოვლად გადადენილი სიმშვიდე, სიწვეფე და სათნოება. ის იყო ფრინველი უმანკო, ქალი გულგაურ-

ყვნილი, პატიონების და თავის ღირსების შემგნებელი“.

მაღვეე ჩნდება ერთი ეგზოტიკური პერსონაჟი, გოჩუნა, რომელიც მარიკოს დარავიბს, მას მიუჩინებს (მიუჩინა ზემოხსენებულმა თეიმურაზმა). გოჩუნა ზურგით კედელზეა მიყრდობილი მუხლები აქვს აშვერილი. ტანად პატარაა, ცამეტის წლისა გეგონებათ, „მაგრამ სახე მისი გამხილებდათ თქვენს შეცთომასა. ის იყო თვალბმოკრუტული, სრული კაცი, შავი და საკმაოდ მოდილო უღვაშებიანი. იმის სახეზე ცხოვლად ეწერა რიცხვი წელიწადებისა: ოცდათერთმეტი. ეცვა მას ძველი, სახელოებდადგოვილი, გაზუნებული და მრავალს ავიგოს თეთრის ძაფით დაკონკილი შავი ჩერქესკა, თავზე ეხურა ჩრჩილებისგან შეჭმული ჩერქეზული ქუდი, უბრალო თასმის ქამარზე ეკიდა ხანჯალი, ჩლუნგი, რომელიც ქამარსაც ვერ დაჰკლავდა, ეფხთ ეცვა ჯღანები. თავით ვეზამდინ იყო ჩირქიანი, მოტურტელილი“.

ავტორი მას ზღარბს ადარებს, მასავით მოკუნტულ და მოგვალეებულ პატარა კაცს თავი მუხლებზე უდევს და ყველას მიძინარედ აჩვენებს თავს, არადა ყოველივეს ამჩნევს, ხედავს, დარაჯობს, იმახსოვრებს. ცოტა ხანში ეს ზღარბი გოჩუნა დატოვებს თავის პოსტს და გამართება მარჯვენა ნაპირზე, ხიდის ავტლით<sup>12</sup>, მთანინდაზე, თავის ბატონთან. ეს ბატონი, რა თქმა უნდა, თეიმურაზია.

გოჩუნას კაცთ არა მზგავსს უნოდებენ, საძაგელსა და საშიშარს, იგი ხან მთერალი გულღამა აგდია დერეფანში და ხვრინავს, ხანაც რაღაც აიღუმლო დავალებებს ასრულებს. თეიმურაზის მოსამასხურეები, ხელის ბიჭები და გამდებლები სულ დასცინიან მას, ათრევენ, სცემენ. ცხადია თავად თეიმურაზიც არ აკლებს, მეტერ, იგია მისი მთავარი მტარვალი.

ამ პერსონაჟს, თეიმურაზს, ყველაზე მეტ დროს და მელნას ახარჯავს არდაზიანი, იგი გამოკვეთილი უარყოფითი პერსონაჟია და ამიტომ ბოლომდე უნდა შეივსოს მისი სახის ყველა უჯრედი. პირველი სიტყვები, რომლებსაც გვირის შესახებ ვკითხულობთ, ესაა: „თეიმურაზ იყო კაცი გარყვნილი და ვულ-ვაგრილებული, ამიტომ დიდხანს არ უნდოდა მას ცოლის შერთვა“. ორმოცი წლისამ გადაწყვიტა ცოლის შერთვა, „შევიდა ქა-

10 იგულისხმება ყირიმის ომი, რომელიც რუსეთსა და თურქეთს შორის სამ წელიწადს გაგრძელდა. ეს წელი ამავე დროს კავკასიის მეფისნაცვლის, მიხაილ ვორონცოვის გადაადგომის წელია. ამ წელს გაზეთი „კავკასი“ თბილისის გადასახვედრების და გარდატეხის წლად მიიჩნევედა. მოვიყვან ციტატას მესხია/გვერტიშვილი/დუმბაძე/სურგულაძის წიგნიდან „თბილისის ისტორია“, 1958. „თბილისელი მცხოვრები თანდათან იხდოდა ეროვნულ ტანსაცმელს და ევროპულ მოდებს ეჩვენოდა. თბილისის ქუჩებში უკვე დაქროდნენ ეტლები, რომლებითაც ქალაქის არისტოკრატია და მდიდარი ვაჭრები სარგებლობდნენ. ცვლილებები ხდებოდა თვით საოჯახო მორთულობაშიც. ძველი ხის ტახტები ადგლს უთმობდა რბილ ავეჯს; ზურნასა და ჭიანჭურს ედვინდა როიალი და პიანინო. „განცხრომამ თბილისში ფართოდ გამსავსა თავისი ოქროს ფრთები“.

11 „ჩაქსულა კაბა“ ილიას „გლახის ნაამბობშიცა“ ნახსენები. „ჩაქსულა კაბა - ჩაქიანი კაბა, ბეჭებში ვიწროდ შეკრული“ (ი. გვიშაშვილი).

12 ნესით ეს უნდა იყოს სულ ახალი, 1853 წელს აშენებული მიხეილის (ვორონცოვის) ხიდი.

ლებს არჩევამი“, თუმცა აღმოაჩინა, რომ გასათხოვარ ქალებს, ვინც მრავლად იყო იმდროინდელ ტფილისში, ყველას რაღაცა წუნი ჰქონდა. მას უნდოდა ლამაზი, კეთილშობილი გვარის, უზემზთიანი, ჭკვიანი, მეოჯახე, განათლებული და ზრდილი, მორჩილი ქალი, რომელიც სოფელ იცხოვრებდა და არა ქალაქში, რათა ქალაქში ეს გარყვნილი კაცი (თეიმურაზი) ბოლომდე მისცემოდა სიამოვნებას. დიდხანს ეძებდა თეიმურაზმა საცოლედ და ბოლოს აღექსანდრაზე შეჩერდა.

თეიმურაზის ზნეზე კიდევ არაერთს გავიგებთ მომავალში, დეტექტიური ქარგა ამ ზნეს ებმის, მანამდე კი მივყვით ამბავს.

თავის მიზნის მისაღწევად თეიმურაზი დიდ ვაღს იღებს, იყიდის სახლს, მდიდრულად გამართავს, ახალ სამსახურშიც წარდგება, ალბათ მოქროსამიტი, ჩაიცვამს და დაიხურავს პარიზის უკანასკნელ მოდაზე, დაუახლოვდება დანიინაურებულ ქართველებს და გაიცნობს აღექსანდრას და მის მშობლებს. ავტორი გვეუბნება:

„თეიმურაზი თავის გულში სრულად დაეპატრონა აღექსანდრას და იდუმალ დარავჯობდა, რომ არაფერ შესცოლებოდა და არ წაერთო საცოლო, რადგანაც იყო ეჭვში, რომ ამ ქალს იმას არავინ დაანებებდა; ამიტომაც ეუსურებოდა დაუყოვნებლივ მოეხდინა ჯვარის წერა. მტანჯველი ეჭვი უფრო გოცნოვებდა მას იმ საათიდან, როდესაც ნახა აღექსანდრა და მიხაკო ერთად ნალაპარაკევი <...>“<sup>13</sup>. ეს იყო მიზეზი, რომ თეიმურაზმა დაუყენა ვიწროდ ყარაულად მიხაკოს და აღექსანდრას, ეგების მიხედვრილიყო ამ ყმაწვილ ქალს აზრებას“.

თეიმურაზი თხრობის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირად გამოიყურება: არის „უკანასკნელ მოდაზე თავდავარცხნილი და ტანჩაცმული“. აცვია შავი მაუდის სტატისკის სერთუკი, ფილეტკა და ჭრელი შარვალი, ქვიშისფერი ტრიკოთი, გალამპლაპებული ჩექმებით. „ყელსახვევი ეხვია შავის ატლასისა“.

მეორეხარის თეიმურაზს აცვია შავი ფრაკი და შავი მაუდის შარვალი, რომელიც სინმინდისაგან ელავს. ხელთათმანები თეთრი ლაიკის აქვს, ყელსახვევი ამჯერად თეთრი ბატისტისაა. მაღალი მანუეტული უკეთია, ისე, რომ „წმინდად ვახამეშვილი წვედობდნენ ყურებამდინ, ყელზე ეკიდა სტანისლავა, ფრაკის შესაკრავ კილოზე - ანხა, ჟილეტკა და საათი არ უჩანდნენ, რადგანაც ფრაკი ჰქონდა მეკრული, ხელში ეჭირა ქულა. ფრაკი განიერ ბეჭებზე და მოკლე წელზე სრულიად არ უხდებოდა“.

ავტორი ნელ-ნელა გვაპარებს, რომ თეიმურაზი არის ურცხვი კაცი, იმიტომ, რომ „კეთილ-

შობილი გრძნობა არა ჰქონდა. მხეცი, რადგანაც იყო უსწავლელი, გაუზრდელი და ბუნებით ვაჟი ითაც არ იყო მდიდარი“. და კიდევ ერთი ზნე თეიმურაზისა, რომელიც თავიდანვე ჩნდება და როგორც გითხარით, ნიგნის ბოლოსკენ მთავარ ბრალდებად იქცევა. მას თავდაპირველად თეიმურაზის მეგობარი, გორჯასპი აღმოგვაჩენინებს მერვე თავში. სასიამოვნო კაცი არც ისაა, შუამავლობს, რაღაც საქმეებს უხლართავს თეიმურაზს, „სახეში განსაკუთრებული რამ ნიშანი, გამოხატველი იმისი ცულკაობისა“ არ აქვს. „თეთრი, სახეგაწყობილი, უფრო ყმაწვილი კაციცა, ვიდრე შუახნისა“, მაგრამ სასიამოვნო სანახავი მაინც არაა თურმე ეს გორჯასპი, „თითქოს კიდევ მეგზვარევათ“.


გორჯასპი კაბინეტში ელოდება თეიმურაზს და ხედავს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ყუთებს, ბეჭდებსა და პრეს-პაპიებს, „რომლებსაც თუ ახლიდით, ნახავდით ასეთ სანახაობასა, რომლებიც წარმოადგენდათ სხვადასხვაგვარ ბიჭიერ მოქმედებს“. ამ პორნოგრაფიული ნივთების სინჯვამია გორჯასპი, როდესაც თეიმურაზი შევა ოთახში. გორჯასპი ეუბნება, რომ სულ ამ ნივთებმა გამოავალეს მას (თეიმურაზს) ჭკუა და ურჩევს მომავალი ცოლი შეიყვაროს, თუ არადა, არც უნდა შეირთოს იგი. თეიმურაზი დაფრთხება, უცებ „დაგულისხმდა, რომ ამ კაცთან ჭკუნჯელად დარგოდა თავის გულის საბოლოოები და აქედან შეიძლებოდა ჩაშლილიყო იმისი შეუღლება აღექსანდრასთან. თეიმურაზ შეუუხდა და ფიქრობდა, როგორმე გაესწორებია შეცთობა“.

აქვე გორჯასპის ერთი სცენაც დავიმოწმოთ, სადაც იგი დილის შვიდ საათზე ტახტზე ზის მოკეცილი, „მწვანე ნაშურის ახალუხით“, მუხლებზე უდევს გაჩირქიანებული თეთრი მუთაქა და მუთაქაზე სტატისკი ჩაი, მარცხენა ხელში კი - ჩიხუხი. შემოდის მსახური გოგო ცამეტი-თოთხმეტის წლისა, ანეწილი თმით, თავსაბურავის გარეშე. მასაც ჩაქსულა-დამიკიტიონის კაბა აცვია, „ჭუჭყყინი და დაგლეჯილი - სიძველის და ჭუჭყის გამო ვერ მიხვდებოდით, რა ფერის ყოფილა დამიკიტიონი“<sup>14</sup>; გოგო იყო ფეხშიშველა, ხელპირდაუბანელი, ფეხებიცეღურტული. ერთ წამს შაქარი მოურბენინა გოგომ, ხელით და მოართვა ბატონს, ბატონმა არ დახედა გოგოს ხელებსა, გამოართვა შაქარი, რომელიც იმ ერთ წამს გაჭუჭყყინებულიყო გოგოს ხელში და ჩაავლო სტატისკანში“.

გორჯასპის გარდა თეიმურაზს ლიფსიმე უმაგრებს მხარს, ხანში მესული შუამავალი დედაკაცი, სასეს და გადატკეცილი პირისახით, მოკლედ, შენახული ქალი, ვისაც, „კვალი სიყმაწვილის სილამაზისა კიდევ აჩნდა. არ დავიჯერებთ, რომ

13 მაშინ მიხაკომ და აღექსანდრამ პირველად გაიცნეს ერთმანეთი, ე.ი. თეიმურაზი პირველად დლიდან ჩადაგა მათ შორის.

14 „ერთგვარი სქელი ქსოვილია, რომელსაც უფრო საცვლებისთვის ხმარობენ“, ვკითხულობთ გროსმუხილთან.



ის ფერუმარილს არ ისომდა და წარბებს წაშწამებინათურთ არ იღებავდა, იმიტომ რომ თვითონ იყო ცალკე ბუნებით, ცალკე სიბერით ფერდარკარგული, მაგრამ თეთრწითლად კი ღვიოდა და წარბებში ჭალარა არ ეტყობოდა.“ ერთი გრძელი სცენაა, სადაც თეიმურაზის და, თეკლე და მისი განდელი (დედის, ეკატერინეს მზითვის მოახლე), მოხუცი დედაკაცი, სახელად ვარსკვლავისა, მთაწმინდაზე, თავიანთი სახლის აივანზე დგანან და ქუჩაში მომავალ ლიფსიმეს ჭორავენ და დასციინა. ვარსკვლავისა ამბობს, რომ ეჯავრება ასეთი ქალები, გული რომ აუცრუებიათ სახლ-კარზე და დეთრევიან. თეკლემ ბუნუნების დაგლეჯვის სურვილით გამოხატავს სიძულვილს. გადასწვდებიან მის შვილზე, რომელთაგან მამაცეცები დიდრონები არიან და მსახურობენ, ქალიშვილები კი უსწავლელები უყრია. იწყება მეხი და ქოქოლა, კიცხავენ იმის გამო, რომ ბებრძოლს თავიკლობს, „ფერუმარილს ისომს“ და სხვ.

გვესმის შემდეგი გამოთქმები: „ნეტავი ერთი ჩამივლო ფეხქვეშ და კარვა გამაქელვინა“, „ახ, ნეტავი ერთი კარვა მაცემინა! ამ სახლში უფლებია რომ მქონდეს, ჩემის ხელით ჩავთარევილები ბუწუწები გლეჯით ამ კიბეზე!“, „უყურე, როგორ მორთულა! როგორ კუნტრუშით მოდი! რაღა დროს ბებიაჩემის კუნტრუშია, ამოვადოს ღმერთმა შენი სახელი!“, „თუ კარგი ადამიანია, უბოჭოდ რად დადის? ეკლესიაში რომ წავალ ხოლმე და ბიჭს ვერ გავიდევნებ, მე ჩემი მემართება.“

ლიფსიმეს ხან მოარმიყობას სწამებენ, ხან რას, ხან რას. ვარსკვლავისა აზუსტებს: „რომ იცოდე მაგის ამბები, გავიკვირდება. ვითომ თუ მოერიდოს ვაჟკაცსა! შენ არ მამიკვედი, სულ პირში უფარდება, სიტყვას არ თქმევინებს, სულ თვითონ უნდა ილაპარაკოს; ყბელი, ყბელი, რომ ენით არ ითქმის მაგისი მოუღალავი ყბედობა! ამასთან ფიცი მაგისი, ტყუილი ფიცი, ლილიფარაობა კაცს გეფიქრებამ ვადარეცს. დილით საღამომდინ რომ მონთვობს ღმერთი, ხატი, ჯვარი, შვილები, სულ რომ ცამდინ მართალი იყოს, მაინც მაგისი არა მჯერა-რა, არა მჯერა-რა, არა მჯერა-რა!“

დეგბა სამოხელის გაჭორვის ჯვრიც: „აღისფერი ფანცის სარტყელი რა სახით უხდება გასაფუჭებელს! თასაკრავი, აღისფერი ნაკერი თასაკრავი! ამოვადოს მაგისი თავი ღმერთმა, რაღა დროს მაგისი აღისფერია, შვილოშვილებით სავსეა, ოთხბეცა წლაშდინ მიქვივინია, ამოვადოს ღმერთმა მაგისი თავი. ნაკერი ღერაქი ხურავს გასაქრობსა! კობიც, უთუოდ აღისფერი ედება! თავზე მოსახვევიც, ერთი ნახე, შენი ჭორივე, ვარსკვლავისა, რა მშვენიერი თავზე მოსახვევი ახვევი! დასწყევლოს ქრისტემ მაგისი თავი, ეგრე

როგორ ერთვის! ქოლგა თეთრი უჭირავს, ში, ში, ში! ფერჩატკები ჩალის-ფერი აცვია, ში, ში, ში, ში, ში, თეკლე-ჯანი აღმასის საყურეები უყრია! ში, ში, ში, ღია იასამნის გლასის კაბა აცვია, ში, ში, ში! ბლონტის პოლსამოჭკებიცა, ში, ში, ში! ბუზმენტ-მოვლებულ მაჯებს რაღას ეუბნები ვარსკვლავისავე, ში, ში, ში! აღისფერი ბუზმენტ-მოვლებული გულისპირი, თეკლე-ჯანი? ში, ში, ში! ერთი შახედე იმის შავ ხაზურდის წაჭოსახამსა და, ში, ში, - უჰ, დავილოდ ამდენი სიცილისგან! გული მეტკინა!“<sup>16</sup>.

ახლა ეცნობოთ ლიფსიმე როგორ ხედავს თავის დამკვეთს, თეიმურაზს და როგორ აღუწერს იგი მომავალ სასიძოს კონსტანტინესა და მარიამს. ზემოთ ნავიკითხეთ უკვე თეიმურაზის ზნისა და ხასიათის შესახებ, ლიფსიმეს კი თავისი ლეგენდა აქვს: რომ იგი ძლიერ ჭკვიანია, გადამეტებული ნასწავლი, მისი კარგი ხასიათები კალმით ვერ აინერება, „გულჩვილი, მშვიდობიანი, სათნო, ადამიანის მოყვარული, კარვა მიძლები, დედის მონა, მზიარული, მოცინარი, სახლის მომჭირნი, გამაქვები, მოსამსახურეების გამწვინთილებელი. უზაკელი, მართალი, პირდაპირი, მხნე, უმანკო.“ იგი არ სვამს, ქალაღს არ თამაშობს, არ არის „გარყვნილი, მემფოთარი, ჯავრიანი, მხეცი“ (ზედმეტად ამხველებს ყურადღებას ამაზე ლიფსიმე, რასაც ნესით ეჭვი უნდა გამოეწვიოს). „ნადვორნის სოვეტნიკია“, 200 თუმანდის ჯამაგირი. იწყება სახლის აღწერაც, პარიფულად მომართული თვალისამაჭრელებელი სახლის, ძვირფასი ნივთებით. ლიფსიმე ხაზს უსვამს იმას, რომ თეიმურაზი უვალაო და ფულად ექვსი ათასი თუმანი აქვს, არის კარგი ყმისა და მამულის პატრონი. ისევ „პარიფი“ - გუშინ მიუღია ამ ქალაქიდან ექვსასი თუმნის ოცდაათხუთკაციანი ვერცხლისა და ფაიანსის სერვიზი: „ფოდნოსები, სამოვარი, ყვავადანი, დანა-ჩანგალი“.

და ეს ყველაფერი იმ გოგოსთვის უნდათ, ვისაც ზემოთ „ბუჭუჭა თმა და კავები ვადმოშობდა მცირედ შებროწებულ ლოყებზე, თეთრ გულზე და მხრებზე“. ალექსანდრას ჩაცმულობასა და ხასიათებს კიდევ არაერთხელ ვნახულობთ. მაგ, ერთხან მას აცვია „მუქი და ვანიერი კაბა პოპლინისა, რომელზედაც ეყარა შერვილი, აღისფერი, მწვანეში შერთული ყვავილები. ღია აღისფერი ლენტის სარტყელი უზატყვედა თავადაც დახატულ შერვილ წილსა, იმავე ფერის გულის-პირი სცემდა სხვის იქნის თეთრ გულსა. ბრილიანტის საყურეები ხომლივით აკინძულეები, მცირედ შეწვრავზე ქანაობდნენ, თრთოდნენ, სხვის აბნეოდნენ, ეკონებოდნენ პატრონსა, თითქოს ეარშიყებოდნენ; ღერაქი ეხურა ნაკერი, თასაკრავი ეკრა შავ

15 წერილი მივი.

16 აიხილეთ ვეგის კი დასცინის თეკლე ლიფსიმეს, მაგრამ თავად ტუსალივით ცხოვრობს საკუთარ სახლში, მუდამ უნევს ძმისა და დედის შემოტყვევისა და დაცინების მოგერიება და არც სამოსელის არჩევანი აქვს. ერთხან დედას მიმართავს: „რა ჩავიციო? ის ჭრელი მოვი, რომელსაც ფერი აღარა სძევს მეტის რეცხისაგან?“.





ხავერდზე თეთრის ოქრომ კედით ნაკერი, რომელიც იყო გემოვნებით შეხამებული და ახირებულად უზღებოდა“.

ხანდახან ალექსანდრა თავადაც ხელსაქმობს, კერავს, ქარგავს, მაგრამ მიზეზთა გამო გონებას ვერ ადევნებს საქმეს. მისი გონება იმდენად სხვაგანაა გადათქმევილი, რომ „კანარეიკების“ გალოხასაც ვერ უხვდება ყურს.

იგი სახით თუ ტანად დედას ჰგავს, „მხოლოდ მარიამი იყო უფრო დასრულებული, სახემოტეხილი. მარიამის სახეზე ეწერა სათნო და მშვიდობიანი ვული, სიმტკიცე ხასიათისა, წრესგაღვავალი მედიდურობა. მცირედი შეცდომა სიტყვაში თუ საქმეში დიდხანს სტანჯავდა მარიამსა, ამიტომაც იმის არაასოდეს არ იტყოდა სხვაზე ძვირსა და დასჯიდა ძვირის მოტყუელს მშვიდობიანის საყვედურით. ეს იყო მიზეზი, რომ ყველა, უნებლიედ, მოწიწებით პატივს სცემდა მას. მაგრამ ამ ღირებულებათა მარიამს ჰქონდა ერთი დიდი წუნი ანუ ნაკლებობა: იგი იყო თვითსჯული და, რასაც განიზრახავდა არ იტყოდა, ვერაფერსა გადაათქმევინებდა, მანამ არ დაინახავდა თავის შეცდომასა. ამასთან უყვარდა უფლება ქმარზე და შვილებზე“.

ალექსანდრას ოჯახის მეგობარია ბარბარე, ვისაც დავა აქვს თეიმურაზთან და, შესაბამისად, მის მონინალმდევრთა ბანაკში აღმოჩნდება თხრობის მანიძეზე. ეს „ქალი იყო უფრო ლამაზი, ვიდრე გონიერ, კეკლუცი, ოცდაათის წლისა. იმას ეცვა იაფი ფასის ტანისამოსი და სუფთა, კარგა ჩაცმული ქალი მის ვერ დასჩაგრავდა“. იგი ძალიან მეგობრობს დედა-შვილთან, ისე, რომ სულ შეპხარინა მის ყოფნას და მისტორიან, როცა სოფელში ბრუნდება. აი მოკლე დიალოგი, სადაც მაშინდელი სოციალური ურთიერთობები და სიახლეები ამ ურთიერთობებში კარგად ჩანს:

- რა სახით მეყვინა!  
- შენმა სიცოცხლემ, ქალო, ძალიან შევეწუხებო.

- კარგი ქალი ვახლავს, თქვენი ჭირიმი.  
- საუცხოო ქალია ბარბარე, კარგი, სანაქე-ბო დედაკაცია!

- კარგი დროს გამტარებელი, ჭკვიანი, მზიარული, ადამიანის მოყვარული. არ ვიცოდი, თორე ვსთხოვი დარჩენილიყო.

- მეც იო რომ ვამეგო, ვეცდებოდი ქალაქში დარჩენილიყო კიდეც რავდენიმე ხანს, მანამ ჩვენ წავიდოდით სოფელში. მეტად მიყვარს იმის ატეხილი ხუმრობა, მახვილგონებინი კრიტიკა და ნამეტნავად ირონიით ლაპარაკი იმ ადამიანთან, რომელიც არ მოეწონება.

- იპ, ეხლა მარტონი დავრჩით.

- რათა, შვილო? რავდენი ნათესავები და მცნობები გვეყვანან! ყველასთან კარგა ვაატარებ დრო-

სა.

- არა, იმისთანა არავინ არის! ბარბარესთან მიყვარს დროს გატარება.

- კარგი ქალი ყველასთვის საყვარელია. ეს არის ღარიბია, თორე...

- რას მიბრძანებ, თქვენი ჭირიმი, ბატონო! სიღარიბით კაცი არც დაიწუნება, არც დამდაბლდება...“.

ბარბარეს ათქმევინებს ავტორი სიტყვებს, რომლებსაც თავის დროზე არავინ მოუსმინა: „ლიფსიზე აკარგი დედაკაცია. კარვისთვის ვიყვარს, ავისთვის ვძულს. აი თეიმურაზი, თავით ბოლომდინ რომ ცუდია, აკი თქვენცა ცდავით თავით ბოლომდინ. ავი კაცი უსაიმოვნებას დაბადავს სხვაში, კარგი - სიამოვნებას“.

ალექსანდრას მამა და მარიამის მეუღლე, კონსტანტინე, სამოც წელს გადაცილებული კაცია, თუმცა იმის მიუხედავად, რომ ჭალარა ჯერ არ მორეოდა, მაინც იღებავდა თმა-ულვაშს: „ბრგე და წარმოსადეგი, სახით კიდეც წრფელი და უქმ-მაკო, კონსტანტინე ძველ ქართულ ხასიათისა და მიმართულების, ქართულ ტანისამოსში გამოვიხატავდათ თავისში ძველ ქართველ კაცსა. იმას ეყო მუქ დარიჩინის ფერი მაულის კაბა, იმავე მაულის შალვარი, შავ ატლასის ახალუნი უყოშო, მცირედ ვანიერი, რომელსაც ევლო გულზე და მავებზე დაგრეხილი ყვითელი ოქრომ კედი, ჩექმები გაულვარებული, ქვიშისფერი აბრეშუმის ხელთათმანები. შავ თვალეში გამობრკილებდა გულის სიმთეულე და ღმობიერება. შუბლზე ეწერა დაუდევნელობა და უფავრელობა, მოლომარ ტუჩებზე - სირბილე ხასიათისა“.

ცოლაკი დაგვივიანდა, მაგრამ უნდა მივხედოთ მიხაკოსაც. მას ერთვან კახაჩის ანუ შავი ხავერდის საყელოიანი და მავებინი სერთუკი აცვია, რომელსაც გარშემო ნითელი მაულის კანტი აქვს შემოვლებული, „ერთპირათ გულზე ჩამწკრივებულ ელვარე ღივილებზე გამოსახულიყო ჯვარადინად დაწყობილი ზარბაზნების ნიშანი არტილერიის უწყებისა, მხრებზე ეწყო ახლად ნასყიდი შტაბ-ავიერის ეროლები სამ-სამის პაქაწა ვარსკვლავებით, მარჯვენა მხარზე, ეროლეთის ქვეშ, ჰქონდა ჩამოვლებული ყვითელი ოქრომ კედის პორტუკეი, რომელზედაც მარცხენა მკერდთან ეკიდა ხმალი, ყელზე ჰქონდა ანნას ორდენი მეორე ხარისხისა, გულზე წმინდა გიორგის ორდენი მეოთხე ხარისხისა“.

ამ მონაკვეთის დასკვნით თავად და გვირგვინად ერთი გრძელი სცენის მოყოლა გადაწყვიტე, სადაც მარიამი, ალექსანდრას დედა, „სანიშნობო ტანისამოსის სასყვალად“ რომ იყო ნასული, ბაზრიდან ბრუნდება, მრავალნაირ სამკაულს ამოალაგებს (ბლოტისას<sup>17</sup> ნაყიდს) და ელოდება სხვადასხვა მალაზიებიდან დაბარე-

17 ბლოტის ცნობილი მალაზია ერენის მოედანზე მდებარეობდა, ე.წ. შუბლოვის სახლში, სადაც ალექსანდრ დუშაძე ცხოვრობდა 1858 წელს. რადგანაც ასე მეტროპოთ დეტალებში, ბარე 1846 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ ცნობასაც მოვიყვან (ტექსტი თარგმნილია იაკობ ბალახაშვილის მიერ, მისივე ნიგნიდან, აქველი



ბულ ფარჩებს. თუმცა სანამ ისინი მოვლენ, მა-  
რიაში ნელ-ნელა ხსნის თავისი ნავაჭრით სავსე  
ფუთებს, თავადაც სინჯავს და ქალიშვილსაც  
ასინჯებს საჩუქრებს.

მაშ ასე, ჩავყვით მომავალი მზითვეის ჩამო-  
ნათვალს:

ჩამონათვალი იწყება წვრილმანებით, ხელ-  
სახოცებით, ლენტებით, რომლებსაც თეთრ ატ-  
ლასზე თეთრი ოქრომკედის ყვავილები აყრია,  
„საუცხოვოა, შენმა სიცოცხლემ, სარტყლად და  
უკულისპირად“. თავსაკრავები - „ერთმანეთზე  
უკეთესები! ეს არის ეხლა მოიტანეს დამოყნი-  
დამ“. ნაკერ ლენაქებზე პატარა ხევილა ამოქარ-  
გული, „ხმირად დაყრილი, რილასაც წარმოვიდ-  
გენს!“. „ბაზმენის გრეხილბე გულისპირისა  
და კაბისთვის, სამი საზაფხულო თავზე მოსახ-  
ვევი, თეთრი, ყვავილებიანი ბლონდი, ალუბლის-  
ფერი, ზედაც ბლონდის ნამოსასხამი. ალექსან-  
დრა ყველაფერ ამის მიმართ გულგრილია, ამ  
ნივთებს არც იწონებს, არც იწუნებს, სხვაგანაა  
მისი ფიქრები და ამ ფიქრებს მალევე გაფანტა-  
ვენ ბაზაზების შეგარდები, რომლებიც ოთახში  
შემოტყვივდებიან ბოხნიებით.

ორი საფეხბურთო კლუბის დაპირისპირება  
გეგონებათ, ისე აქვს აღწერილი არდაზიანს ეს  
სცენა: „ერთ შეგირდს, რომელსაც ეცვა მიხაკის  
ფერი მალევი კაბა, ეჭირა ილიაში ლურჯ სუ-  
ხანში“<sup>18</sup> გახვეული ფარჩები. მეორე შეგირდს,  
რომელსაც ეცვა შავი მაუდის კაბა, ეჭირა ილ-  
იაშივე თეთრ ტილის ბოხჩაში გახვეული ფარ-  
ჩები და ძლივს მოჰქონდა“. მათ მოტყუილი აქვთ  
„პირისფერი და მქრქალი მორიანტიკი“<sup>19</sup>, დამა,  
გლასი და ატლასი“. დედა ისევ „დაღრეჯილ“  
ალექსანდრას უბრუნდება: „რა მშვენიერია,  
ალექსანდრა-ჯან, ეს პირისფერი ანტიკ მორე!  
ოქრომკედით ბრწყინავს, დედა აქვს სა-  
უცხოვო. მე ძლიერ მამწონს; ლამე ნამეტნავათ  
დაშვენდება“. ალექსანდრაც ხათრს არ უტყუავს  
ეშში შესულ დედას. ბაზაზები ფასსაც ამბო-  
ბენ, პირისფერი ანტიკ მორე ოთხი და ათი შაუ-  
რია არიშინი, თუმცა მარიამს ოთხ მანეთად მი-  
ართმევენ.

იწყება ვაჭრობა, „ძვირია! სწორე დაფასე!“  
და ა.შ. ბაზაზის პასუხია, რომ ათი შაური ქალ-  
ბატონის ხათრით დაუკლო, ქალბატონი ახალ  
იარაღს იყენებს, შეილოთი მიმართავს და უებ-  
ნება, რომ სამ და ათ შაურად მოსჭრას. ბაზაზი  
არ თანხმდება, ფრანცუზის საქონელია, რუსისა  
ხომ არააო, უფრო იაფად არ იქნებაო. საქმეში  
ერთვება მეორე, შავკაბიანი ბაზაზი, რომელიც  
სამ და ათშაურად იძლევა ანტიკ მორეს, მიხაკ-  
კაბიანი კი აფთხილებს ქალბატონს, რომ არ  
მოტყუედეს, რუსის საქონელი აქვს შავკაბიანს  
და მისი ფასი ხუთი აბაზიც კი არ არი, თან ნახე-  
ვარი კანაფია. შავკაბიანი ამტკიცებს, რომ ფარ-  
ჩა „ზაგვანინისაა“, „აბი, დამოყნი პლომბი.“ მი-  
ხაკკაბიანი იცინის: „ჰა, ჰა, ჰა! ტყუის. რატო არ  
წივი არ აზის, თუ ზაგვანინისაა?! აბა, მიიხარ“. ამის  
მიუხედავად, მიხაკკაბიანი მაინც ჩამოდის  
სამ და ათშაურამდე, რაც შავკაბიანი აღმფთო-  
ბას იწვევს („მახლას, რა გაეწყობა!“). მარიამი  
არც მის განანყენებას აპირებს, იცინის შეგირ-  
დების ჩხუბზე, თუმცა ორივეს საქონლის ყიდ-  
ვას კი აპირებს. აქ უკვე კამათში ერთვება ალექ-  
სანდრა, რომელიც გამოაცხადებს, რომ პირის-  
ფერი არ უყვარს. „დრომ მოიტანა, ქალო! პი-  
რისფერი მოიღებდა“ - პასუხობს დედა. იგი  
დაუნმუნებელია, რომ „ლეღვარე პირისფერი“  
ხატავს მის ქალიშვილს, „ნამეტნავად ღამე; ახი-  
რებულად ნაზი სჩანხარ პირისფერ კაბაში!“.  
ალექსანდრა უარზეა, სთხოვს ნურაფერს უყი-  
დიან, ისედაც თხოთმეტი კაბა აქვს და ადგილიც  
აღარ აქვს „შკაფში“. თანაც ფართის მაგერიად  
ჩითს ითხოვს, პირობას იძლევა, რომ სიხარუ-  
ლით გაცვითავს, ეაფუსუსება ეს ამდენი ფული.  
ბოლოს ამბობს, ჯანდაბას, მწვანე მოაჭრევი-  
ნეო, რაზეც დედა აღმფთობდა: „რას ამბობ, ქა-  
ლო! რა შენი საქმეა მწვანე კაბა!“ და ბოლოს  
მაინც თავის გემოზე მოაჭრევენებს, მიხაკკაბი-  
ანს იმ ფერს, რაც ზემოთ ვახსენეთ და შავკაბი-  
ანს „ციისფერ დამას“...

თბილისი“, 1951): „...ბ-ნ ბლოტს, სურს გაამართლოს რა ნდობა, რომლითაც ნელთა განმავლობაში ეკიდება მას  
პატივცემული საზოგადოება, იუნყება, რომ პარიზში თავის უკანასკნელ მგზავრობისას მან შეიძინა ფრანგული  
სრულეკლოის საუკეთესო ნაწარმოებები.  
მხოლოდ ზომიერ ფასებში მასთან შეიძლება შეიძინოთ: სხვადასხვანაირი აბრეშუმის ქსოვილები, მაული,  
ფლანელი, ავეჯის გადასაკრავი მატერია, ბაბით, საღეჩაქე, ზავერდი, ქისეია, ბატისტი, ქლისი შეკერილი  
ტანსაცმელი, ხელოვნური ყვავილები, შოლიაპების გასაწყობი ფრთები, ზონარები, აბრეშუმის ჩულები, პოლანდიის  
ტილო, ქლისი და მამაკაცის ხელთათმანები, ნელსაცხები, საპონი, პომადე, საბურავები, ქოლგები სხვადასხვა  
ხარისხის ქაღალდი, ხელოვნური ბრილიანტი და სხვა.  
ქ-ნი ბლოტი, რომელსაც თბილისის საზოგადოება მრავალ ნელთა განმავლობაში შოლიაპის შეკვეთებით  
ასიაშორებდა, იღებს კვლავინდებობა ყოველგვარ შეკვეთას. ბ-ბლოტი, რომელსაც საფარს ურიგებოთბა აქვს  
კლიკოს ქვერთვან პარიზში, იუნყება რომ იგი ჰყიდოს ნამდვილ შამპანურს ბოთლს 3 მან. 30 კაპ. ვერცხლით. ამის  
გარდა მასთან არის სხვა სახის უცხოური ღვინოები, საუკეთესო რომი, კონიაკი, აგრეთვე პროვანსის ზეთი, ხმელი  
ხილი, და სხვა.“

18 ჭრელი ქსოვილი ტახტზე გადასაფარებელი.

19 XIX საუკუნის ვაჭრების წრეში გავრცელებული გამოთქმა. დამახინჯებული moire antique, moire - ტალღოვანი  
ნახატის ან ფაქტურის მქონე ნაჭერი, უმეტესად აბრეშუმის.

ილია გველესიანი

# მე, ჩემი მე



... თვალი გავახილე.  
ფარდებს შორის დარჩენილი სიცარიელიდან მზის სხივი შემოპარულიყო და ჩემი მაქმანებიანი საღამურის ლილზე ბრჭყვიალებდა.

უკვე გათენებულა-მეთქი, გავიფიქრე და ლილზე აბრჭყვიალებულ სხივს ხელისგული დაეაფარე. კვირა იყო. ჩემი არსად წასვლის დღე.

სასიამოვნო გრძნობა დამეფუფლა. ნეტა სულ კვირა იყოს. არასოდეს გავიდოდი სახლიდან. არ მიყვარს ხალხმრავლობა... ხალხმრავლობა კი არა, საერთოდ, ადამიანებთან ყოფნა არ მიყვარს. მათთან ურთიერთობა მტანჯავს. ამ დროს სიტყვები პუკლებივით მიფარფატებენ გონებაში და მთელი ძაღლისმეფა მჭირდება, რომ დავიჭირო და ენაზე დავისვა. პაუზები ანტრაქტებს ემსგავსება. ლოყები მიხურს და მიინთლდება. ეს კიდევ უფრო მანვალებს. არ ვიცი, რას მივაპყრო მზერა. ხელები სად წავიღო, არც ეს ვიცი. მირჩევნია, ჩემი ოთახის გალიაში ვიჯდე და გაუთავებლად შენ გერატრატებოდე...

გათენდა კვირა...  
ცხრამეტი სექტემბერი...  
დღეს ხომ შენი დაბადების დღეა, სულელო!..  
დაგავიწყდა?!  
გუშინ მართლა არ მახსოვდა. ახლა, გავახილე

თვალი თუ არა, გამახსენდა.  
დაგავიწყდა!!!  
დაგავიწყდა!!!

მე კი არ დამვიწყებია, მაგრამ არსებობს დედამინაზე ადამიანი, რომელსაც ჩემი დაბადების დღე გაახსენდება?

ნაწი?...  
ნაწი!..

აგერ უკვე ორი წელი სრულდება, რაც კოკასგან წამოვიდა, იმ დევენერატს აეკიდა და ქვეყნიდან თავუქდმოგლეჯილი გაიქცა.

რომელ ქვეყანაში წავიდა, ეგეც არ ვიცი. ერთხელ არ დაურეკავს. არ მოუწყობივარ. წავიდა და წავიდა...

დები კი ვართ, მაგრამ ძალიან განსხვავებული ტიპები ვართ. ჩემზე წელიწად-ნახევრით უფროსია და, შეიძლება ითქვას, საერთო არაფერი გვაქვს. ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვისწავლეთ საუბარი და ველარაფერს ვაგებინებთ ერთმანეთს.

ის სახლიდან გაქცეულ კატას ჰგავს, რომელმაც ქუჩის ველურ წესებს აუღო ალღო და აზრადაც არ მოსდის, უკან დაბრუნდეს;

მე საკუთარ თავში შეკეტილ ვირთხას ვგავარ, რომელიც, დედამინა რომ იბუგებოდეც, ცხვირსაც არ გამოყოფს გარეთ. ვზივარ საკუთარი სხეულის

სროში და ჩემივე სხეულის ნაწილებით ვიკვებუ-  
ბი.

თუ კატა არასდროს ბრუნდება უკან და ვირ-  
თხა არასდროს გამოდის გარეთ, რა ურთიერთო-  
ბაზე შეიძლება ლაპარაკი?

გარეგნობითაც არ ვვავართ ერთმანეთს.

ის თეთრია, თოვლივით ქათქათა. თმა გრძელი  
და ხვეული აქვს; მალაღია, გამხდარი; თავლისფე-  
რი თვალები, თხელი ტუჩები და სწორი ცხვირი  
აქვს;

მე შავვერემანი ვარ. საშუალო ტანის. მსუქანი  
არ მეთქმის, მაგრამ არც არაფერი მიკლია სიმსუქ-  
ნემდე. შავი თვალები მაქვს; თმას მოკლედ ვიჭირი;  
ცხვირი გრძელი მაქვს და არ მომწონს; ტუჩები  
მორბეცილი მაქვს და ვერ ვიტან... თუ ყველა იმ  
საკუცს შევფასებინებთ ჩემს გარეგნობას, რო-  
მელშიც მე ჩამიხვდავს, დაუფიქრებლად იტყვიან  
- გონჯი არ არის, მაგრამ უშნო!

იმის დასტურად, რომ მე და ნანო ღვიძლი დები  
ვართ, ერთი ფარული მსგავსება დაღვივთ დავგა-  
ვი განვაგებამ - მარცხენა ჰაუჭების ქვეშ ყავისფე-  
რი გულის ფორმის ლაქა ერთნაირად ამოგვიტ-  
ვიფრა.

კონფლიქტი არასდროს მოგსვლია. თუმცა არ-  
ცერთი არა ვართ კონფლიქტური... მე ძალიან მშვი-  
დი ვარ. კომპლექსიანიც ვარ და ფლეგმატურიც;  
ნანო ხალისიანი, უკომპლექსო და უშუალოა. ერ-  
თი ევაა - თავქარიანია და მუდამ სულდამ და დე-  
ბილი გოგოების ნიღბებს ირგებს. ჩემთვის რომ  
ეკითხა, ვეტყვოდი - აღარ მოირგო ეგ ნიღბები, შენს  
ლამაზ სახეს ძალიან აუშნობებს-მეთქი. მაგრამ მე,  
აბა, ვინ რას მკითხავს!

კოკა და ნანო ექვსი თვის ცოლ-ქმარი იყვნენ,  
ნანო რომ გაექცა კოკას და კარზე მომადგა თავი-  
სი ბარგი-ბარხანი. მიზეზი ვკითხე. არ მითხრა.  
რამდენიმე დღის შემდეგ კოკა ქმნებდა ქუჩაში და  
აგდებულად მკითხა: - ლენკა, შენი და ხო არ აფ-  
რენსო? - არ ვიცი. შეიძლება კი, შეიძლება არა-  
მეთქი, - ვუთხარი. - ისე, თქვენ მაგარი სტრანნი  
დები ხართ. მე რა შუაში ვიყავი, ვერ მივხდი.  
კითხვების დასმა არ მიყვარს, რადგან უფრო მე-  
ნელება ადამიანებთან ურთიერთობის დრო და ნელ-  
ნელა ტანჯვაში გადამდის. - შეიძლება-მეთქი, -  
ვუთხარი და აგურის ღობეზე შემომხვდარი ბელუ-  
რების დათვლა დაიწყე. - ჩემგან რატომ წავიდა,  
მითხარი. - არ ვიცი-მეთქი, - მხრები შევათამაშე  
და ბელურების დათვა გავავარძლე. - ჰოდა, მეც  
მანდ ვარო! შენი დის არაფერი რო არ ვეგვგება და  
არც არაფერი გადარდებს, მაგიტომაც ხარ სტრან-  
ნიო... ის ხო შენზე უფრო სტრანნიო! კინოში არ  
ნაყვეცი და სახლიდან გამექცა. აღარ მიყვარხარ,  
ძაბო, ადონის, ჩაო, გუდაბიო!.. აბა, ეხლა ეგ ნო-  
მალურიო?... სამჯერ ამერია ბელურების დათვლა.  
ხან ორი გავრინდა, ხან სამი მოფრინდა; ხან სამი  
გაფრინდა, ხან ოთხი მოფრინდა. ძალიან ცელქი  
და მოსვენარი ბელურები იყვნენ. ნეტა ყველა ბე-  
ლურა ერთნაირია?... - ეხლა სად არისო? - მკითხა  
განუღლილი პაუზის შემდეგ. - საზღვარგარეთ ნა-

ვიდა. - წავიდაო?... როდის მოასწრო ნასვლამო! -  
გაოცებული ხმა მომესმა და გაბრაზებული მზერა  
მომაცივდა. - თექვსმეტი. - რა თექვსმეტი?... - ოც-  
დაერთი იყო, თექვსმეტი დარჩა, - ბელურების და-  
დენების საბოლოო ჯამი ვუთხარი კოკას და ჩქა-  
რი ნაბიჯით გავეცალე...

ნანო რომ კარზე მომადგა, კარგა ხნის დალა-  
მებული იყო. ლოგინში ვინქეი. კარი რომ გავეღ-  
ვიღილით შემოვიღე. ჩანთები იქვე დაყარა და გა-  
დამეხვია. - შენი უძლები და დაბრუნდა, ლენკ, ხომ  
მიმიღებო! სასმლის სუნი უდიოდა. ბარბაცით შე-  
ვიდა თავის ყოფილ ოთახში, კაბა ბარბაცებამდე  
აპირიდა და ლოგინზე დაბანავა. თვალმდ დახუჭუ-  
ლი ჰქონდა, მაგრამ ისევე იღიმებოდა. მე კართან  
ვიდექი და ველოდი, როდის მეტყვოდა სათქმელს.  
ნანომ ცალი თვალი გაახილა. ამომხედა. შემამონ-  
მა - იქ ვიყავი თუ არა, და ისევე დახუჭა. - იჩხუბო?  
- ვკითხე. - ნამოვედი... - სულ? - სულ. - რა მოხდა?  
- ეხლა შენი გათხოვების დროა, ლენკ, მე დავამ-  
თავრე ოჯახობანას თამაში. ხმა არ ამომიღია. - არ  
გინდა გათხოვება? - გათხოვება არა ის!.. ნანომ  
ორივე თვალი გაახილა, ერთხანს ჩუმად მიყურა  
და მერე რაღაც ლექსით უზრდელობა მითხრა: -  
ჩაგოვამდა დრო და სივრცე, დროა, დაო, ვინცნა  
მისცე! - დებილო! - ბრაზით ნამოვიძახე. კარი გა-  
მოვიჯახუნე და ჩემს ოთახში შევიკეტე.

- დებილო!.. დებილო!.. უსირცხვილო დებილო!..  
- ჩურჩულით ვიძახდი და გაცივებულ ლოგინში  
ვწებობდი.

არ მიყვარს, როცა უზრდელად მეხუმრებიან.  
ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს უამრავი  
ადამიანის ლოგინში ნამოვლენები და ყველა ჩემს  
დაფარულ ნაკვს ამზერებენ.

დედაც ასე იყო. ალბათ მასაც ასეთი შეგრძნე-  
ბა ეუფლებოდა, ცუდი სიტყვის გაგონაზე... ერ-  
თხელ პატარა ვიყავი და ენოში ვთამაშობდი. მე-  
ზოვევებმა იჩხუბეთ. ერთმა უთხრა მეორეს - დიდი  
ჩათლახი ნაბიჭვარი ხარო! მე არც „ჩათლახის“  
მნიშვნელობა ვიცოდი და არც „ნაბიჭვრის“. სახ-  
ლში რომ ავედი, ნანოს სათამაშო ნეაგროტი. ენთ  
თამაში მწვდა და კიკინები დამაწინკნა. მე, სულელ-  
მა კი - დიდი ჩათლახი ნაბიჭვარი ხარ-მეთქი - ვუ-  
კივლე. დედამ გაიგო... ახლაც თვალწინ მიდგას მის  
მშველი თვალები და აცასტაცებული ყვრინა-  
ლები... შემეშინდა. თვალზე ბინდი ვადამეფარა.  
დანახვით, არ დამინახავს როგორ მომიახლოვდა...  
ტივტივის შეგრძნება კი მწარე იყო - ბექდებიანი  
კითხვი ტურენში მომხვდა. იატაკზე ჩავიკოტიე. ენთ  
ავილოკე სიმწარე. ვიგრძენი, რაღაც დიდი დანა-  
შაული რომ ჩავიძინე. ტირილით არ მიტრია. არც  
კუთხენი დგომა გამიმპროტესტებია და არც - ჩემი  
საყვარელი თოჯინების ვადამაღვა... ამის შემდეგ  
დააღო ჩემმა ენამ ცუდ სიტყვებს კლიტე... ფიქრში  
კი... ფიქრში შენ მყავხარ და შენა ხარ ჩემი მეკლი-  
ტული...

ფიქრში მარტონი ვართ...  
ხო, ფიქრში მარტონი ვართ. ჩვენ შორის ყვე-  
ლაფერი მოსულა, მაგრამ ყოველთვის მინდოდა,

ისეთი საიდუმლო მქონოდა, მარტო მე რომ მეცოდინებოდა, და შენ - არა.

მე ყველაფერი ვიცი...  
შენ ბავშვობის იცო... ბავშვობა მოკვდა...  
მანამდე მამა მოკვდა...  
მე - დედა... ნანო არ ვიცი... მე ცოცხალი ვარ...

დღეს კვირაა...  
ცხრამეტი სექტემბერი...  
დღეს შენი დაბადების დღეა... რამდენი წლის გახდა?

ოცდაოთხის... არა, ოცდახუთის...  
იქნებ ოცდაექვსის?!  
არა, ოცდახუთის... სულ კი უნდა მამაბერე.  
გათხოვების დრო მართლა დაგვგომია, ლენკა!

ახლა შენ დაიწყე!.. თუ იმ ბებრუხანა ელიზავეტას დამესგავსე, ჩვენ ქვემოთ, მეოთხეზე რომ ცხოვრობს?.. რამდენიც სადმე გადამეკეთება, გამარჯობის თქმის ნაცვლად, ხელჯობის დააკაუნებს და ყვავივით მომჩხავლებს: - ჯერ არ გათხოვილხარ, გოგო?.. სადამდე უნდა იარო ასე ცალფად და ცალკერძადო. იქნებ შევტუხა შეგნობიანი ბიჭები დაილიეინო!.. ეე, დრო იყო, ტალიკ-ტალიკი ბიჭები ბუჩუბივით მეხვეყნენ. ვინ გამაჩერებდა შინ. გამომიყვანდნენ გარეთ, ჩამსგამდნენ ფეტონში და შუალამემდე მთელი თბილისის ქუჩებში ბორიალასავით ვტროიალებდით... კაცის მოჩანგვლას რა უნდა, გოგო!.. მაგათი მზერა თვალების საბუფრდანი იწყება და აქ მთავრდება, აქაო! - და ხელჯობის ჩემს ნესვებოვით გამობერილი მკერდისკენ მოაშერდა, - ცოტა მოიღელე ეგ სამონაზნო სუფარა. ვარდები გამოაჩინე. ბუზი ბაღდადიდან მოვაო... ანთოლებული და გალიმბული სახით დავექნედი ხოლმე თავს და ვაგმორდებოდი. ის ზურგს უკან მოამახებდა: - გათხოვდი, გოგო, გათხოვდი! მაღლი ქენი, რამდენი მწყურვალი დაიარება, იმათაც დარწყულება უნდათო!.. რას გადამეკიდა! ას ნელს უკაკუნებს ქალი და ქმარი ჯერ არ ჰყოლია. თუ კარგია, ჯერ თვითონ გათხოვდეს, მერე შე გადამასხას თავისი ბედნიერების წყალი...

ნაილი?..  
მაგას ნაილი აღარ ჰქვია - ნანუეკი დაირქვა. სად ნაილი, სად - ნანუეკი. ან ერთი რა სახელია, ან - მეორე. კაი სულელია. ყანაში გაზრდილი. ფული შეაქუჩა და ვაკეში იყიდა სახლი - ჩვენ პირდაპირ. ოცდაათი წლის ძლივს გათხოვდა. ტყუპი ბიჭი გოჭვივით დაყარა. ფანჯრიდან დაინახე მისი ქმარი. დღისათვეალიანი ტიპია. ძალიან მსუქანი. შვეჯში სხდებოდა ცოლ-ქმარი. მანქანის კარი რომ გამოაღო, ძლივს შეატია გარუმბებული სხეული. მერე ფანჯრიდან გამოიყო თავი და ბედნიერი სახეზე ტანჯული კაცის მიმია დაიყენა. ეს კი გავიფიქრე, სულ ოცდვილო, მუცელზე ორასლიტრიანი ჭურჭლის დადებას როგორ უძლებს ეს საცოდავი, რომ არ იტყულიტება-მეთქი... იტყულიტება კი არა, დადის ვაბლენძილი. ბუზს არ დაისვამს თავზე... საბავშვო ბაღში იყო მოსული. ბავშვებთან მე-

ცადინებოდა დავამთავრე. პიანინო დავხურე. ნასასვლელად ვემზადებოდა... მივიხედე - ნანუეკი დღას კართან, გამომარანჭული. მილიმის. - აქ რა გინდამეთქი, - ვკითხე. - შენ რა გინდაო? - მე აქ ვემუხაობ, ბავშვებს მუსიკას ვასწავლი-მეთქი. - ჩემი დაქალაჩკას ბავშვი დადის ამ ბაღში. დაქალაჩკა ავად გახდა, გოგო, მე მიხვოვა, მე უნდა გამოვეყვანო. ვერაფრით ამაგრებდა „ლას“ - ს. ისეთი სირბილე გაუღიოდა, ლამის იყო ენაზე დასდნობოდა. - ... დედა - ჩიორა გახალისდა, მალე ფრთებიც წამოფრდებოდა ჩემს ბარტყებს და ბედნიერად დავაფრდილო... - მზიკოს ბავშვები თავყედა ვარშემო შემოკრებილი და ზღაპარს თაყისი მთელი არტისტიზმით უყვებოდა... მერე მეუბნება: - ისე, შენ რამდენი ხანია, აღარ მინახხარ, გოგო... მამა გარ ვიდვ ხარო. - „აუუუ, არ გინდა-მეთქი, რაა!“ - გავიფიქრე. მაგარი ვავაკუბოდი ცოცხალი ტურბებზე ნითელი პომადი ცხვო; წარბები წვრილად დაექნა; მკერდი ლამის ჩემი მკერდისეულე გახდამოდა; წონაშიც მაგრად დაელო და დიმილითაც ტუჩაბუჩკით ილიმებოდა. - ხის ძირას კულზე დაყუცდა მელა და ჩიორას ასძახა: - ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო! - რაო, ბატონო მელაო? - ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემ... ბვერი მექაქანა. მე კიდევ ეს მინდოდა! ერთი სული მქონდა, თავი დამეღნია ამ მოულოდნელი შეხვედრისგან და შენთან გამოვეცეულიყავი. ვიცოდი, მოუთმენლად მელოდებოდი. - ცულს მოვიტან ცუნცულასა, ხელეჩოს და წაღწუნასა... - დაბოხებული ხმით ჰვეებოდა მზიკო და ბავშვებს თვალებს უქაჩავდა... - შენ ისევ მარტო ცხოვრობო? - მკითხა. - კი-მეთქი, - თავი დაუქნეი. - გათხოვდა არ გინდაო? - რა ვიცი-მეთქი. - მხრები ავიჩიქე და საწყლად გავდიამე... მერე მივხედი, საწყლად რომ გავიღიმე და მაგრადაც ვინანე. - ხესაც მოვჭერი, ხის ძირსაცა, შენც შეგჭამ და შენ შეილსაცა... - ჩემი ბიძაშვილი ვაჟიკა გამორდა ცოლს. ამ დღეებში ჩამოვა ქალაქში... უნდა გაგაცნოო... - ცოლს რატო გაშორდა-მეთქი? - ზრდილობის გულისთვის და ვინტერესდი. - პრობლემა, ქალი რო დებილი გამხვალა რა, ლენკაჩკა... ასეთ ბიჭს რო ვერ შემიწოვებ, დებილი ხარ, აბა რაა... მაგ იდიოტკაცხე არ მინდა ლაპარაკი... ჩვენ ასე ვქნათ - სახლი მინდა, ბიჭი - ჩემი... იცხოვრეთ ვგულუბნებითო! - პირდაპირ მომახალა. ამაწყო ცხოვრება. - შეშინდა საცოდავი ჩიორა და ერთი ბარტყი გადაუგდო მელას... - ეს ზღაპარი თუ იცი-მეთქი? - ვკითხე და მზიკოს ხმისკენ მივმართე თითი და ყურის. - ეგ ზღაპარი ვინ არ იცისო! - მერე, შენს წყურბლს არ უყვები-მეთქი? - რა დროს ზღაპრები და ლექსები, ლენკაჩკა, ძაან პაატარები არიან, გოგოჩო! - რომ გაიზრდებიან, აუცილებლად მოუყვები-მეთქი, - ვუთხარი და შენკენ გამოქეცანილი...

მასსოვს, ჩემკენ გამოქანდი... მე ხომ ანდაბატონი გინახდა... უჩემოდ არაფერი შეგიძლია... ცალმაგი ძაფი ხარ... უმზეო - ვაზაფერი უცი... ობოლი - ვარდი... უწყვილო - მარგალიტი... ქმარმიტოვებული - ცოლი... სადაც არ უნდა იყო, ბოლოს მა-

ინც ჩემთან ბრუნდები... დაღლილი, გაათავული... ტანსაცმელს ნაჩქარევად იხდი და გარშემო უნესრიგოდ ყრი... თავისუფლებები ყოველდღიური ქაოსისგან... შინ დაბრუნებულს, ისეთი შეგრძნება გუფლავდა, თითქოს ეშაფოტიდან ჩამოგხსნეს, ხელებიდან ბორკილები დაგხსნეს და შიგ თავისუფლების დროშა ძალით ჩაგჩარეს... ასე მეონია, არაფერი გაზარებს... საღამომოთი ჩვენი შეხვედრის ადგილი სამზარეულო... შემოდინხარ უტანსაცემლოდ... ნახევრად შიშველი... ტერფებს იატაკზე მოატყაპუნებ... ყავას იდუღებ, ჩემ პირდაპირ მაგდაღასთან ჯდები, თვალღუბი მაქცქერდები და დღის ამბებს დაწვრილებით მიყვები... თუ რთული და ძნელი დღე გქონდა, სიგარეტს ყიდულობ... ნერვიულად უკიდებ და ენევი... ენევი... მე გისმენ... გიყურებ... თვალს არ გაცილებ, და მთვარემდებ ვერწმუნდები იმაში, რომ ცხოვრებას თავად ირთულებ... მასხოვს, ბავშვობაში როგორი ტრავმაც გადაიტანე... მასხოვს მიშვიც... მასხოვს ცრემლიც... ტკივილიც მასხოვს და ყველაფერზე გულის აცრუებაც... ისიც მასხოვს, რამდენჯერ დააპირე თავის მოკვლა... გძულდა ყველა ის, ვინც მამრობითი სქესის სახელს ატარდა - ბიჭი, კაცი, მოხუცი და თითო ბავშვიც კი... არადა, რა მზიარული, ცქრილია და მოუსვენარი იყავი ბავშვობაში!... არა, ნანო არ იყო შენანირი... მიიყუჩებოდა ოთახის კუთხეში, ფარდის უკან და მთელი დღე თოჯინებით თამაშობდა... შენთან არ უყვარდა თამაში... თუ დაეღაპარაკებოდი, არ დაგეღაპარაკებოდა... მყუდრო მუდო შეარქვი... როცა სახლში ყოფნა მოგებზრდებოდა, ეზოში ჩარბოდი... დედა ლამაზად გამოგაწყობდა... შენს საყვარელ ფოლოსფერ პეპლებიან კაბას, ქათქათა გეტრებსა და უნაბისფერ სანდლებს ჩავაცმევდა... თმას დაგვარცხნიდა, კიკინებს გააკვიტებდა... შენ კი ვერ ისვენებდი, ფეხებს აბავუნებდი და ჩქარა, დედა, ჩქარა, ეზოში მაგვიანდებო, გაიძახოდი... ერთხელ, ჩვენი სახლის წინ მდგარ ბებერ ცაცხვზე, პატარა, უცნაურად ჭრელი, მაგრამ ძალიან ლამაზი ჩიტი დანიახე... თეთრი ნისკარტი ჰქონდა, წითელი - ზურგი, ყვითელი - მუცელი, ლურჯი - მკერდი, შავი - თვალები და ისახმისფერი - ფრთები... საოცრად ლამაზი ჩიტი იყო!... სულ ცაცხვის ტოტზე იჯდა... ნისკარტი ჩვენი ფანჯრებისკენ მოეცვია და თვალდახუჭული გალობდა... გალობდა... შენ მონუსხული იდეტი სკამზე ფანჯარასთან, ხელისგულში მინარე მიგბეჯინა და უყურებდი და უსმენდი ამ საოცრებას... მერე დედა მოიყვანე ფანჯარასთან, გინდოდა დაგენახებინა უცნაურად ჭრელი ლამაზი ჩიტი, და გაახედე... ჩიტმა გალობა შეწყვიტა, მაგრამ არ გაფარენილა... შენ შემოგცქეროდა... დედამ თქვა: - რა ლამაზი ჩიტი ეს არის, ეს ხომ ჩვეულებრივი ბელურაა! ჩემი ლამაზი ჩიტი შენ ხარო, - გაიხარა, გაკოცა და გავცალა... მერე ვერც მამამ დაინახა, ვერც ნანომ და ვერც შენმა მეგობარმა იაკობ, რომელიც ეზოდან მოიყვანა... ხელი ჩასჭიდე, უთხარი: - ლამაზი ჩიტი უნდა გაჩვენო, ქვემოდან არ ჩანს, ჩვენი ფანჯრიდან გამოჩნდებო,

და სულმოუთქმელად ამოარბენინე მალაღი კიბეები... იმედგაცრუებული წავიდა იაკო... - მატყუარა, მატყუარაო! - კართან მოვაძახა და სირბილით დაემვა სადარბაზოს კიბეებზე... შენ კი, გულცხვილიშმა, ფაურულად მოინძინე მართალი გულიდან ამოხეთქილი ცრემლი და კეთილად გაილიძე... დრო გადიოდა... აღარავის ანუხებდი... საათობით მართო იდეტი სკამზე ფანჯარასთან და უსმენდი უცნაურად ჭრელ ლამაზ ჩიტს, რომელიც მხოლოდ შენთვის მართავდა დიდებულ კონცერტს!... ხანდახან კონცერტის ყურების შეწყვეტა გინევდა... ფანჯრის წინ აღმამინები გამოჩნდებოდნენ... მხაურით მოდიოდნენ... დროშებს მოაფრიალებდნენ ჯგუფ-ჯგუფად... ნანო-ნანო... მიფანტულ-მოფანტულად... ერთმანეთის მიყოლებით იცვრობდნენ შენთვის გაურკვეველ სიტყვებს: - ვოს!... ვოს!... ვოს!... და ნელ-ნელა გაილიძებო და შეინრიტებოდნენ ქუჩის შესახვევში... ვინ იყვნენ... რა უნდოდათ... ვერაფერი ხედებოდი... ამ დროს ლამაზი ჩიტი წყვეტდა გალობას... მხაურის დასრულებას ელოდებოდა... მერე ისევ თავიდან იწყებოდა გენიალური კონცერტი... კონცერტი კარგა ხანს გავრძელდა... უფრო სწორად, რამდენიმე წელიწადს... ბავშვობის ნაადრევ დასასრულამდე... ბედნიერად დანყებულ ბავშვობას კი უცაბედად თავს დატყეული უბედურებით დაემშვიდობე... ასე იყო... ასე მოხდა... კლასელებს შორის, შენმა სხეულმა ნაადრევად დაიწყო მომინება... მხრის თავები უცნაურად მოგიმრგვალდა... მკერდი მკვავებ მსხლებივით გამოგებერა... მხამი ბგერები დაგინახდა... სახეზე ნაკვეთი ამოგემერა... საიარულში სირბილ შეგეპარა და, ხვდებოდი, რაღაც ისეთი საიდუმლო გიჩნდებოდა, რომელიც მხოლოდ შენ ერთს უნდა გცოდნებოდა... თითქოს ეჭვიანიც გახდი... გულწაფრობილიც... გეგონა, ვინმეს შენი საიდუმლოს ამოხსნა უნდოდა და მოგონილი სიმკაცრე გაურბი მზერაში... ნამდვილი საიდუმლო მერე მოვიდა... საიდუმლო, რომელსაც შენი გული ვეღარ იტყვდა... მერე მე აღმომაჩინე... თუ მე აღმოგაჩინე... თუ როგორც იყო... მესაიდუმლები გახვდით... მანამდე დედა ელომ დარეკა... დედას მეგობარმა ძალიან სათნო, კეთილი და კობნია ქალი იყო... ხომ გახსოვს?.. თუმცა, რა დაგავისწყებს!... ძვირფას თვლებთან სანაჯურებს იტყვობ... თითქმე ლამაზი ბექქები უბრჭყვილებოდა... მარგალიტის მძივები უქათქათებდა მკერდზე... ყოველ ნახვავზე გოცემული შესცქეროდი... რომ გაილიძებოდა, რატომღაც თვალში უნდავლიანდებოდა... არადა, სულ ილიმებოდა... სულ ილიმებოდა და სულ ნაღვლიანდებოდა... ალბათ თავისი საიდუმლო მასაც გააჩნდა... დარეკა და დედას ელაპარაკა... მორე დღეს მიდიოდა ზემო ნაკაურასი... ნატო ჰყავდა ბებიასთან დატოვებული... შენი ნაყვან უნდოდა... - ქალაქში დაისიცხა ბავშვიო... ცოტას დაისვენებს, გაგრილდება, ჰაერს გამოიკვლოს და, ბოლო-ბოლო, ერთად გაერთობინა ჩემი ნატო და შენი ლენკაო... ზაფხული მთავრდებოდა... დუღდა თბილისი... ნანო მაიკოს ჰყავდა წყნეთში აყვანილი... სუფ-


თა ჰაერს ყლაპავდა მყუდრო მუდო... დედას არ უნდოდა შენი გაშვება... ღობე - ყორღს ედებოდა... სიტყვებს სიტყვებზე კიბავდა... შენ გინდოდა და არც გინდოდა ნასვლა... ყოყმანობდი... ნატო ერ-თხელ თუ ორჯერ გყავდა ნახანია... შენზე რამდენიმე წლით უფროსი იყო... სკოლა ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული... იმ წელს გადავიდა ბოლო კლასში... მამამ გადაწყვიტა... - ნაი, დაისვენე, რომ ჩამოხვალ, იმ ძაღლის ლეკვს დაგახვედრებ, შენ რომ გულით გინდაო... დათანხმდი... დედაც დათანხმდა... უფრო სწრაფად, მამამ დათანხმდა... დილით ნახვი ელომ მანქანით გამოვიარე... და ნახვიდი... ნახვიდი... საქსთაინ დედა ელო იჯდა... შენ გვერდით ეჯექი... ფარულად გააპარებდი ხოლმე თვალს მიხლაშაში პროფილისკენ... ძვირფასთვლებიანი სამაჯურისკენ... აბრჭყვიანობა შექმნიდასკენ... მარჯაურისკენ მივივს უთვლიდ ბეჭდებზე... გაღიმებული სახითა და ნაღვლიანი თვალებით გადმოგხედვდა დედა ელო და, თითქოს, გეუბნებოდა - ვხედავ, ჩემო კარგო, ყველაფერს ვხედავო!... მეცამეტე წელს ასრულებდი, ამ მოზღვების გარეშე, პირველად მიდიოდი ოჯახიდან მოშორებით... ამიტომაც დატოვე გულის ნახვიარი სახლი... მოზღვრებით... ნატოსთან შეხვედრამ ყველაფერი დაგვიწყა... მისთვის შენი დანახვა მოულოდნელი იყო და არა გასაკვირი... გადაგვყვია... გადაგკოცნა... ხელი დააჭიდა, აივანზე აიყვანა... მერე შენი ბარგი თეთრობ ამოიპოვნა... ლაფაროდან ბეჭია მეც გამოვიდა... შავებში ჩაცმული წელში მოხრილი ქალი... დანაოჭებული სახითა და ყავისფრად დალაქავებული ხელებით... თიხის ჭურჭლით ახლად მოწვეული რძე ამოიპოვნა... მოგესალმა... ტუბილი სიტყვები გითხრა... გულში სითბო და პატივისცემა ჩაგედვარა... ხის ორსართულიანი სახლი მალე ღობზე იდგა... ეზოში ბალახი ბიბინებდა... ეზოს გადაღმა ნახვი იყო ჩამწკრივებული... აივნიდან ვეებერთელა მთები მოჩანდა... სუფთა გრილი ჰაერი მსუყედ იღვჭებოდა და ბოლქვებად ჩადიოდა ფილტვებში... შეგცივდა... ნატომ თავის ოთახში შეგიყვანა, თავისიანი საწოლის გვერდით, ძველებური ზამბარებიანი საწოლისკენ მიგიითთა და აქ, ჩემ გვერდით იქნება შენი ადგილი - გითხრა... ორი დღე გადამბუღდა წვიმდა... ჰაერმა გავიწურა ელექტრი დაისხა... თბილი წინდები და ჯემპირი ჩიცვი... არ გიშველა... ეკლები მაინც ატანდა სხეულში... მოზუზულ წინილასავით დადიოდი ოთახებში... დედა ელომ მატყლის შალი მოგახტურა ბეჭებზე და, იგრძენი, გაიყვინა ეკლებს ნევეტური როგორ დაუდუნდა... ნატო არ იტყობდა სიცივეს... ბოტებით დადიოდა ეზოზე და ბატებზე და ინდაურებს ფეხების ქნევით აქშედა... ძროხას გავაზურხლებს უტყაპუნებდა... ცხენს ფაფარზე ვაყვებოდა... იცინოდა... იცინოდა... ბეჭია მეცა უკმაყოფილოდ აქნედა თავს და ცომა ბებურის გულ-ფოდინებით ზეღდა... დედა ელო თბილისში ნასასკულად ემზადებოდა... ნავიდა... მოსალამოვდა... დაღამდა... დანოლის წინ დიდი ნაცრისფერი პეპელა მოგაფრინდა სახეზე... იკვილე... ხელები

აიქინე და თავზე შალი გადაიფარე... ნატო კისკისებდა... მერე სინათლე ჩააქრო... თავი რომ გამოყავი, ახლა დამურა შემოფრინდა ოთახში და წრეზე დაიწყო ფრენა... სულ გადაირიე... უფრო მეტად აკვილდი... ბეჭია მეცა შემინებული შემოკაჯუნდა ხელჯობით... სინათლე აანთო... ნატოს პერანგი აიღო, აფრიალა და იმით გააფრინა სიბნელისკენ... ნატო ჩაბჭირებული გორავდა საწოლზე... შენ კი კინაზამ გული გავისკვია... ბეჭია მეცამეტე ფანჯრუნდა დახურა, სინათლე ჩააქრო და ოთახიდან გავიდა... მერე ლოგინში ჩაწეკით... საბანი ნახიურე... საკუთარ თავზე ბრაზობდი, კივილი რომ ატეხი... გარეთ ძაღლები ჰყვოდნენ... ცაზე მრგვალი ყვითელი მთვარე ეკიდა და ბევრი, ბევრი წვრილი ვარსკვლავი ბრჭყვიანობდა... ნატომ თქვა: - ხვალ მაგარი ამინდი იქნება, ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი... არასდროს ვინახავს ცა ახლოს ყოფილიყო... ასე გეგონა, ხელით შევწვდებო, და აივანზე ხელგანწვდილი ფეხის წვერებზე დგებოდი... - ხვალ თუ კარგად დაცხება, მდინარეზე წავიდეთო - კარგო, - დაეთანხმა... მერე ნატომ მოულოდნელი რამე გკითხა: - ბიჭს როდისმე თუ უკოცნია შენთვის?... არაო, ხმაძალდა კი არ თქვი, თავი უარყოფითის ნიშნად გააქინე სიზარულთ და გული უარყოფიდა... ასე ახლოს არავინ მოსულა შენს საიდუმლოსთან... ნატო პირველი იყო, რომელიც იდგა ამ საიდუმლოს კართან და გასაღებს გიტრიალებდა თვალნი... მთვარის შუქი შემოპარულიყო ოთახში და საწოლებს შორის, იატაკზე, მკრთალად ანათებდა... გარეთ ისევ ჰყვოდნენ ძაღლები... ერთხელ, საბავშვო ბაღში რომ დადიოდი, ბუთხუზა, ლოყვებდარანულმა ბიჭმა... რა უკოცა?... აღარ გახსოვს!... გაკოცა... მისი ტუჩები შენს ტუჩებს შეეხო და დაგენერწყვა... ღრიალით ჩამოაცეკვი... ხელისგულებით იწმენდი ნაკოცნარს... თითქმის იგლეჯდი ტუჩებს... ის ბუთხუზა ბიჭი შემინებული გიყურებდა... ვერ გავგო, რა დაამავა... მერე ჩაიფსა... იატაკზე გუბე დადგა... ახლა ის ატირდა... შენ უფრო მოუმატე ღრიალი... რომ ვერ დავაწყნარეს, დედას დაურეკეს... გახსოვს? დედა შემინებული მოვარდა... და ნაიყვანა... ერთი კვირა აღარ გიცოლა ბაღში... როცა დაბრუნდა, ყური მოკარი, ის ბიჭი ავად გამხდარიყო... მაღალი სიცხედა ჰქონია... აღად მოუყვანია... აღარასოდეს ვინახავს... აღარაფერი გსმენია მასზე... ნეტა ახლა სად არის?... ცოცხალი?... თუ ცოცხალია, ახლა თუ აკოცინებდი?... შენსა და ნატოს შორის ჩამონოლიდი დუმილი გაიწვია... ნატო მიხვდა, არ უპასუხებდი... თვითონ გითხრა: - ჩემთვის უკოცნიათ... მეც მიკოცნია... ძალიან მაგარი იყო... სასამომერო ურუანტელმა დაგვიარა... სირუშები რომ არ გავყვიდ, გაილიბ... ღიმილს მყდერი თანხმოვნები ამოყოლე... მალე ჩავექინა... ნატო დაგესიზმრა... თავზე გვირილებისად დაწნული გვირგვინი ედგა და ვიღაც ბიჭს კოცინდა... თვალში დახუჭული ჰქონდა... შენ იქვე იდექი... მიშტერებოდი... ნატომ შემოგხედა... გაგიღიმა... გითხრა: - ძანა მაგარიო!... და ისევ გააგრძელა კოცნა... დიხანს

გეძინა... როცა გაგველიდა, მზე ფანჯრის მინებს აბრჭყვიალებდა... შუადღისთვის მზემ მცხუნვარებას უმატა... უფრო მწველი გახდა... ჩამოცხა... მდინარეზე თხასვლა გადაწყვიტეთ... დედია გაიყოლეთ თან... შენზე უმცროსი იყო დედია... გაკნაჭული, სახეჭოროფლიანი გოგო იყო... გრძელი ნითური თმები ჰქონდა... მინდარში კინკილით მიხტოდა... აღმართში თხასავით არბოდა... ვინროებში შველივით მიქროდა... იცინოდა... კისკისებდა... ხარხარებდა... ცხოვრება უხაროდა... მერე ნაძვანარი გაიარეთ... ვეებერთელა ლოდებს შუა გაძვერთი და მდინარისკენ დაეშვიტო... მდინარეში ბავშვები ჭყუმპალაობდნენ... შუახნის ქალი ქვაზე იჯდა... ფარფლებიანი ქუდი ეხურა და ფეხები წყალში ჩაეყო... მოშორებით ბიჭები ისხდნენ... კარტს თამაშობდნენ... შიშველი ზურგები მზეზე უწყობლავად იდნენ... დედიამ კაბა გადაიძრო და სიცილით შეტყაპუნდა მდინარეში... ნატოც... შენ კაბის გახდა მოგერიდა... კაბა მოხლებამდე აინიე და წვივებამდე შეხვედი... დროდადრო გააპარებდი ბიჭებიც... დახრის ბიჭებიც დროდადრო გამოაპარებდნენ თქვენკენ თვალებს და რალაცაზე იციინდნენ... შენ გეგონა - შენ გიყურებდნენ... შენზე იცინოდნენ... ზურგი გეწვოდა... შიშველი ფეხები გედავებოდა... დახრისას მკერდზე იდებდი ხელს... მერე სამივე ნაპირზე ისხედით... მერე იმ ბიჭებიდან ორი ბიჭი მოგიახლოვდა... ერთი დედიას ღიმილით მიეფარა ლოცაზე... მეორემ ნატო გადაკოცნა... პირვარმა რაინდულად დაუკრა თავი ნატოს... შენთან რომ მოვიდა, ხელი გამოვიწვინა... მე დუდარა მქვიაო, - ვითხრა და შენი ხელი ხელში მოიტაცა... სინთილე მოგანვა სახეზე... არ დაბნეულხარ... მე - ლენკაო, - უთხარი და გაიღიმე... დუდარამ, თითქოს მეჯლისზე მინველი პატივსაცემი მანდილოსანი ყოფილიყო, თავი დახარა და შენი ხელის ზურგს ნაზად შეახო ტურქები... - ფრიალა სასიამოვნოაო, - ნაგურჩრულა... შენ ქვემოდან ახედე... გესიამოვნა... როგორც მახსოვს, მსუბუქმა თრთოლამაც დავიარა... თაფლისფერი თვალები, ხორბლისფერი კანი, ფართი მკერდი და გაშლილი მხრები ჰქონდა... კარგი შესახედაობის ბიჭი იყო დუდარა... ბიჭი?... შენთვის კაცად ჩაითვლებოდა... თხუთმეტწილთი მანინც იქნებოდა შენზე უფროსი... არა?... მე ასე მახსოვს... ლოგინში რომ ინეჭით, ნატომ ვითხრა: - ვახოს მე მოეწონვარ... მეც მომწონსო... ჩემზე ორი წლით უფროსია... თბილისში ცხოვრობსო... დუდარას ნათესავია და ზაფხულობით მასთან ჩამოდის ხოლმეო... - თუ შენთვისო?... - ფიქრში გაუსწორე სიტყვა... ამას ხმაძალა რას იტყვი... როგორ იტყვი... შენ მაშინ განიშნა გულმა, მდინარეზე ვახომ რომ თამამად გადაკოცნა ნატო... - ხვალ მარიამობა... დუდარასთან ვართ დაპატივებულნი... კარგად გაცილობო... ძილში ისევ ნატო დაგვიხიზნა... ახლაც ვილაცას კოცნიდა... ვილაცას - აღარ... ვახოს კოცნიდა... შენ ისევ ისე უყურებდი... მათ უკან დუდარა იდგა... შენ გიღიმიოდა... დილით ნატოს კისკისმა გაგავლიდა... ეზოში დადიოდა და წინილებს ნახევარქათამას ზღაპარს

უყვებოდა... გაიზმორე... ადექი... ბებია მეცას ქალები დაეცხო... ქალებში სანთლები ჩაერჭო... სანთლები ცისფრად ციმციმებდნენ... ბებია მეცა აივანზე იჯდა... ლობოს არჩევდა... მარიამობა მოვილოცა... შენც მიულოცე... საღამოს პირზე გამოიბრანჭეთ შენ და ნატო და დუდარას სახლისკენ გასწვიეთ... დედია თან აღარ გახლდა... მარტოვე ნახვედით... ორნი... სახლში რომ შეხვედი, პირველი რაც იგრძენი, სუნი იყო... დამწვარი ფოთლებისა თუ დამწვარი რეზინისა... თუ... ვერ გავარჩიე - რისი... ტურები მოგებოდა ზიზლით... დუდარა ღიმილით შემოგებაო... სუფორას ვახოს ვარდა, რამდენიმე შენთვის უცნობი გოგო და ბიჭი უსხდა... სვამდნენ... ხმაძალა ლაპარაკობდნენ... იცინოდნენ... თვალთუ ულაპლაპებდათ... ვახო სკამზე იყო გადაწოლილი... სივარტეს ეწვოდა... ზემოდან მის შეთხლებულ თმას რომ დახედე, ვაფიქრე - ეს მალე გამელოტდებაო... ნატო მიიხიშო... გვერდით მიიჯინა... ხელი გადახვია... აკოცა... შენ დუდარამ გავიცნო ვევერით... სუფორას ჩამოვარდა სკამის კიდეზე... დუდარამ არაყი ჩამოისხა... - შემოსწრებულ ლამაზმანებს გაუმჯობესო... ჭიჭა ასწია... ნარბეგვადაბმულმა ბიჭმა უშიზნოდა გაციინა... ვევერით მგდომმა გოგომ იდაყვი გაკაჭნა... ერთმანეთს შეხედეს... ახარხარდნენ... შენ წინ მჯდომი ბიჭი ამღვრული თვალებით მოგჩერებოდა მკერდზე... სხვა ბიჭიც მოგჩერებოდა მკერდზე, ოღონდ ის - გაკვირვებულმა თვალბოლო... შევიშვებე... ხელის მტყვანი აიფარე მკერდშიშველებულ სარაფანზე... პირველად მოხვიდა ასეთ საზოგადოებაში... მისვლა ინაწე... არაყი დაგისხეს... ხელი დაეფარე ჭიქას... არ დალოცო... - არაყი ჩემს სიცოცხლეში არ გამისინჯავსო... - ნაძალადევა გაიღიმე... ნატო ვახოს მიეუბნებოდა მხარზე... რალცას ეჩურჩულებოდა ყურში... ნატო ხან ვაციინებდა, ხან - აკისკისებოდა... არაყს პატარა ყულუბებით სვამდა... დუდარამ ლამაზი ბოთლი გამოიღო კარადიდან... გახსნა... წინ დავიდგა... ვითხრა: - ამას ნაღდად დალოც... ეს მაგრადა გავისწორებდა... მერე დიური ნაღების ლიქიორი... გოგობმა შური შეხედეს ბოთლს... - ვა, ბეილისიაო!... - მეც მიწალო!... - მეც მიწალო... - ატყებს კიკინი... ჭიქები გამოიძვრეს დუდარასკენ... - ეს ლენკასიაო... ლენკა თუ დაგრთავთ ნებას, დასივით... შენ, რასაკვირველია, დათანხმდი... - მიირთვით... თვალმინალობებმა დაინყეს ნრუპვა... შენც მოსვი... ტკბილ სითხე ჩავედვარა სხეულში... მოგვინა... მერე კიდევ მოსვი... კიდევ... და კიდევ... და კიდევ... ისევ დაგისხეს... ყელში რბილი და ტკბილი სითხე ჩავდიოდა... ქვედა თამამი გაგინდა... მზერა - ლალი... ხინკალიც შეჭამე... ქადაც... გრძელი მოკოლად მოსხმული ნამცხვარიც გაციცქენე... „სხვა“ ბიჭი ისევ მოგჩერებოდა მკერდზე... გოგობები ვილაცროზზე შეყვებოდნენ, ტყემლი რომ ნავიდა მაყვლის საკურფად და ბუჩქებში თავის ქმარს გადააწყდა თავისივე დაქალზე დამხობილი... შიშველი ტრაკი მოეწანდა... უსლ ჭინჭრით დაუსუსხავს ქმრის უკანალი... სიცილით ერთმანეთს ასკდებოდნენ გო-





DISRUPTED 'BABY DOLL'

გოგბი... ნატო არ იცინოდა... ვახოს მიხუტებული, ვნებანი თვალებით მისწერებოდა კედელზე ამოჩემებულ წერტილს... ლოყები გაგიხურდა... ფერები გაემკრატდა... ბუნდოვანება მოგემატა... მე-რე გოგო-ბიჭები წავიდნენ... დუდარად გააცალა... ნატო და ვახო კოცინდნენ ერთმანეთს... დუდარა ისევ მოგვიჯდა გვერდით... ყურში ჩაგჭურჩულა: - რა ლამაზი ხარ, ლენკა... - და ხელი ნახად მოვიტარა მუცელზე... ფეხზე ზამბარასავით ნამოხტი... დუდარაც ამოიმართა... მისი მკლავების სიძლიერე და ტუჩების სიმხურვალე ერთად იგრძენი... მე-რე აღარ ვახსოვს, სანლო ოთახში როგორ აღმოჩნდი... ის ვახსოვს, სანლოზე როგორ ეგვედ და ტანსაცმელს ვაგლეჯდა ვიღაც მხეცად ქვეული ადამიანი, ზრდილობიანი და წესიერი რომ გვერდა და, ერთ დროს, დუდარას რომ ეძახდნენ... დაბნეული, ჯერ სუსტად უძალიანდებოდა... მე-რე ისეთ ადგილებს რომ მისწვდა, მუდამ დაფარული უნდა გქონოდა, გამოფხიზლდი... თითქოს ძალა მოგეცა... აკივლიდი... პირზე დაგაფარა ხელი... ჯერ თმა დაგვინკნა... მე-რე მხრის ტკივილი იგრძობდა... მე-რე ბარძაყი ატკივდა... ტუჩები გელორნებოდა... ყე-ლი გედორბლებოდა... ყურის ბარბანს ვიგლეჯდა მომეტებული ქმენა... არყის ოხშივარი გიძნელებდა სუნითქვას... თავს იქნევდი... ფრჩხილებით კან-რავდი გამხეცებულ სხეულს... ის საიდუმლო, სა-თუთად რომ ინახავდი, ხორცმეტყვით ამოგავლი-ჯეს სულიდან... რა დახშული კარი... რის სკივრი და სარდაფი... შენი საიდუმლო უსული კნუტყვით ეგდო სისხლში ამოსვრილი და სინათლის შუქზე, აღისფრად ეღვარებდა... კი... კი... ასე იყო!... შო-რიდან მთვარეების სიმდერა მოგესმა... ახლოდან ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ... ოთახში ბნელიდა... გარ-რეთ მთვარე ენთო... ვარსკვლავებიც... შენ გარ-ბოდი... სარაფანმეხოხულო... მხარდაყულო... თე-ძობატკივებული... თავი გისკვებოდა... მუცელში ცხცხი ენთო... ერთადერთ სიხვეც ხმამაღლა იმეორებდი: - მოლალატი!.. მოლალატი!.. მოლალა-ტი!.. სახლში რომ შეიპარე, შენთვის გამოყოფილ ლოგინზე მიეგდე... სად წასულიყავი!... ვისთან წა-სულიყავი... მეორე ლოგინი ცარიელი იყო... გუ-ლისრევის შეგრძნობა დაგეუფლა... მთელი სხეუ-ლი ჭუჭყში ამოსვრილი გქონდა... ყარდა... სინი-ძურის სუნი ტრიალებდა ოთახში... ატრადი... ბავ-შეობა არ დაგვალეს... დაქალეა არ დაგასრუ-ლებინეს... ყველა და ყველაფერი გაშლდა... გე-ჯდებოდა... თავზე დაგათენდა... ჩაგკინა... შუა დღემდე გეძინა... მსუბუქმა შენჯღრევამ გამოგაღ-ვიძა... დაფთებული ნამოხტი... დეიდა ელო იყო... - ადექი, თბილისში უნდა წავიყვანო... გითხრა... მწუხრად დაგეუბრდა... - „ასე მალე როგორ გაი-გოო,“ - გაიყურე... - მამაშენი ძალიან ცუდადააო, - გითხრა... - რა დემართაო? - ისე იკითხე, თით-ქოს შენ კი არა, სხვა გოგომ იკითხა, რომლისთვისაც სულიერთი იყო, რა დემართებოდა მამაშენს... - რომ ჩავალ, ყველაფერს იქ ვაიგებო... მარტო ბებია მეცა დაემშვიდბო... ნატო არ გინახავს... არც გინდოდა... ფიქრის თავი არ გქონდა... მთავა-

რი იყო, არაფერი იცოდა დეიდა ელომ... ბებია მე-ცამ... მანქანაში უკანა სავარძელი ჩაჯექი... მან-ქანა დაიძრა... მიქროდა... შენი გონებიდან იდეე-ნებოდა ამწვეული თემები... ატეხილი ჭალები... მორჩალები მინარეები... მორაკრაკე რუები... აბლაგებული ძროხები... მოჭხინე ცხენების თქა-რათქური... ბავშვების ტყარცალი... ქალების კის-კისა... რაცების როხობი... და შენი დაშვებობა... ბავ-შეობა, კომედიის ომ დაწყებულ სახლში დასაფ-ლავე... ზედ ცხარედ დაღვრილი ცრემლი და ხსოე-ნის უჭკნობი ყვავილი დატოვე... ხვედებოდი, ცხოე-რების ბოლომდე ამ საფოფის მარტოვლი ჭირი-სულიყო უნდა ყოფილიყავი... მარტოს უნდა გეთ-რია ატყვიებული სული და გაბინძურებული სხეუ-ლი... თითქოს ქარმა მოიტანაო, უცნაურად ჭრული ლამაზი ჩიტის ვალობა ცალკეულ ბევრებად ჩა-ვებოდა... სიხარულის ნაპერკალი აგვინთა... სენა-დაძაბე... არ გაძლიერებულა ბევრები... ძალიან მო-გინდა, სახლში ჩქარა მისულიყავი... ფანჯარასთან დამდგარიყავი... კიდევ ერთხელ დასწრებოდი დი-დებულ კონცერტს... გონებას სჭირდებოდა... სულს სჭირდებოდა... სახლში რომ მიხვედი, ბევრი ადა-მიანი, მომკივანი დედა, შიშისა და დაპატარავებუ-ლი ნანო და მამის გაყინული ცხედარი დაგხვდა... მამა კუბოში ინვა... თავთან გრძელი სანთელი ენ-თო... გულზე ყვავილები ეფინა... გაკვირვებული დააცქერდი შენს კეთილ, მოსიყვარულე მამას... ცრემლი არ წამოგვლია... გავგნებოდი სახთან იდე-ქი და ვერ მიმხვდარიყავი რა მომხდარიყო... მე მო-გიყვები... ძია არჩილთან წავიდა მამა... ძია არჩილი ხომ ვახსოვს?... გემასხოვრება... ნახალოვკაში ცხოე-რობს... სახეზე ფართო ნაჭრილობები აქვს... ერ-თხელ, პატარები რომ იყავით შენ და ნანო, მამამ მიგიყვანათ... სხვადასხვა ჯიშის ძაღლები ჰყავ-და... ეზოში დარბოდნენ... თვეც ეთამაშეთ... იფე-რეთ... გახსოვს ხომ?... იმასთან წავიდა მამა... - ლენკას კოკერ სპანიელი უნდა... მარჩუქ ერთი ლეე-ვი... შევიპირდი... ბავშვს სიტყვა არ მინდა გავუტე-ხოო... - ხოო, ბავშვს თუ შეპირდი, უნდა მიუყვა-რო... ჭყულზე ვერ იტანებ ბავშვები... მე-რე გული უცივიდებოთ... ახალი დაბადებული ლეკვი მიუყ-ვანა... ნითური... ხელებში მორჩილად ინვა... სათა-მამოს ჰგავდა... გაზარებული დამეშვიდობა... გულ-ში ჩახუტებული მოჰყავდა... კულს ორნავ არჩე-და... მანქანასთან რომ მივიდა, ქუჩის კუთხიდან ყვირილისა და გინების ხმები მოესმა... მე-რე რო-გორც განვსტერულ ფილმებშია, იქაც ისე მოხდა... ორი ბიჭი გამოვარდა ქუჩის შესახვევიდან... ერთი მოტრიალდა... სროლა ატეხა და ისევ გაიქცა... მე-ორეც მოტრიალდა... ისროლა და ისიც გაიქცა... მამა მანქანას ზურგი მიჰყრდნობდა... ფეხებ-დაბორკილით იდგა... დაბნეული იყურებოდა... ეს გაიფიქრა: - თბილისია... ქუჩის შესახვევიდან ქაღალდში გახვეული რაღაც მომრგვალებულით მიმიღ ნივთი ისროლეს გაქცეულებისთვის... მამას შორიახლად დავარდა... ტყაცანი თეკეთა... მამამ ყრუ ტკივილი იგრძნო... მაგრამ სად, ამას ვერ მიხ-ვდა... ხმა არ ამოუღია... მანქანას მიყრდნობილი,

ნელ-ნელა ჩასრიალდა ზურგით... მიწაზე ჩაჯდა... თავი და მარჯვენა ხელი გვერდზე გადაუფარდა... საბზე გაოცება ეხატა... ლექვეს ჩარაფერი უგრძნია... არც დაუნქმუტუნია... არც კუდი გაუქნევია... მამის გულზე იყო მიხუტებული... თვალები დაეხუჭა... თავიდან წერილად მოხდიდა სისხლი... მამას ყალიბდნ... ლექვის თავიდან ჩარაფერი უგრძნია... უერთდებოდა... მკერდზე მოედინებოდა და მუცელთან ერთ დიდ წითელ ლაქად აჩნდებოდა... საშინელება იყო, ლენკა!.. საშინელება!.. ასე დავასრულე... არც ამბის მოყოლის დროს ნამოგსვლია ცრემლი... და არც შემდეგ... და არც შემდეგ... გაკვირდებოდი... ყურადღება გეფანტებოდა... თითქოს ყინვა გაგვადომდა ტანში... ფანჯარასთან მიხედო... გაიხედა... ბებერი ცაცხვი ამაყ ბერიკაცივით იდგა... ოდნავ არხევდა ტოტებს... უცნაურად ჭრელი ლამაზი ჩიტი არსად ჩანდა... მაშინ გითხარი - აღარ მოფრინდება... აღარსაოცეს დაჯდება ამ ცაცხვის ტოტზე-მეთქი... ასეც მოხდა... ძალიან უღიმამოდ გაიქცნენ წლები... საკუთარ თავში ჩაიკეტე... ცხოვრებას გაუტყვივდი... შენ და ნანოს როლები შეიცვალა... ახლა ის გალავდა... გახალისდა... ბევრი მეგობარი გაიჩინა... მათკენ მიიხედა... შენ მყუდრო მუდო გახდი... არავინ გინდოდა... სულ შენი ოთახისკენ იხედდი... იქ მე გვეუბნებოდი... მხოლოდ ჩემკენ მოგინედა გული... ხშირად გტკივდებოდა მხარი... ბარძაყი... მუცელში ცვეხლი გენთებოდა... ტირილი... ტირილი... პირველად სკოლაში სჯივდი თავის მოკვლა... გაკვირვებულ არ შეხვედი... დავიფანტი მარტო დარჩი... გეგმას აწყობდი... მერე ფანჯარა გამოაღე... აქვრო... მესამე სართულიდან გადახტომა დააპირე... ბედად კლასის დამრიგებელი გამოვიდა სასწავლებლიდან... დაგინახა... კვილი მორთო... შეყვინდი... ფეხი ველარ გადადგი ცარიელ სივრცეში... მასწავლებელმა ხელი მოგკიდა... ჩამოვიყვანა... ყალბად გაიცინე... - ეს ისე... ვიხუმრე... მასწავლებელმა ვიყურებდა ქალი... არ დაგიჯერა... - რა სახუმარო ეგ იყო!.. შენ რომ რამე მოგსვლიდა, ხომ დავიღუპებოდი... ორივე დაიღუპებოდი!.. სიკვდილზე ფიქრი მინც არ გეშვებოდა... ერთხანს, თითქოს, დამშვიდდი... კარგ ხანს არაფერი ვაგომხელია ჩემთვის... მერე ისევ შევიჩინა ეშმაკი... სახლში მარტო იყავი... დედას უჯრად გამოაღე... სხვადასხვა ფერისა და ზომის წამლები აშოლაგე... დიდი ჭიქა წყლით აავსე... ფანჯარიდან მოწყენილად გახედე ცაცხვის ხეს... მერე დაიწყე... უფრო სწორად, უნდა დაგეგმილი... კარზე ბრახუნი აყვდა... ერთ ადგილას გაუმუდო და ბრახუს აყურებდი... გინდოდა გაუმუდოულიყო... არ ჩუმდებოდა... - თავის მოკვლას არ მაცდინაო! - ბრაზით მითხარი და კარი გაღე... სადარბაზოში ჩოქოლი იმხროდა... კართან ბებრულხანა ელხიზავეტა იდგა... მეოთხიდან... - გოგო, წყალმა სახლი ჩამომირეცხა... ონკანის დაკეტვა მე უნდა გასწავლოთო!.. - ჯოხს აუკუნებდა ფლაქანზე... არაფერი ონკანი... მილი გასკვდომდა ჯინჭარაძეების ნათესავებს... ჩვენ გვერდით... იქიდან უონანდა წყალი... მფარველმა

ანგელოზმა გადაგარჩინა... ბევრჯერ გადაურჩენიხარ... სიტყვამ მოიტანა... გამახსენდა... სკოლა რომ დაამთავრე... მარიამობაზე... ეკლესიაში მიდიდი... ბევრ სანთლებს ანთებდი ღვთისმშობლის ხატის წინ... ლოცულობდი... „პარაკლისს“ უხდიდი გარდაცვლილ ბავშვობას... მერე, მარტო რომ დარჩი, ყოველი თვის ოცდაათში, სახლში დაიწყო მოხსენიება... სანთლებს იყიდი... სასმელს იყიდი... ხაჭაპური... ლობიანი... ნამცხვარი... რაღაც ასეთები ამოგქონდა მალაზიიდან... სუფრას გაშლიდი სამზარეულოში... სანთლებს დაანთებდი... შემიბატეხებდი... დავსდებოდი... დავუვადი... გავიხსენებდი გარდაცვლილ ბავშვობას... მანამდე... ჰო... მარტომამდე... გადიფიქრე თავის მოკვლა... დედა გცვლობდა... სახლშიც არ იხდებოდა... ოხვრით დადიოდა ოთახებში... ღამით ქვითინი გესმოდათ შენ და ნანოს... დღითი დღე ხმებოდა... პატარავდებოდა... იკუმშებოდა ქალი... მუსიკალური სასწავლებელი რომ დაამთავრე, იმ ზაფხულს გარდაიცვალა... ლოგინში ჩანვა და აღარც ამდგარა... აღარც უნდოდა ადგომა... დანებდა... ერთ კვირამი სანთელივით დაიღვენთა... გაქრა... დედის გარეგნობა ნანოს გამოჰყვა... შენ - მამის... შენ დედის ხასიათი დაგყვა... ნანოს არ იცი - ვისი... ნანოს სახლში აღარ ჩერდებოდა... ან იგინებდა... ან ღამეც არ მოდიოდა... მერე გათხოვე... კოკას დაჰყვა... შენ მარტო დარჩი... საბავშვო ბაღში დაიწყე მუშაობა... შენს თავს უთხარი: - ცოცხალი ვარ... ჭამა მიწაო!.. ასეა, ცხოვრება თავისას ითხოვს... შენ კი თვითონ გაირთულე ყველაფერში... რაც შენ დავამართა, ათასობით გოგონას დაფარეთ... არ იცი?... რასაკვირველია, ცუდია... საშინელება... სიცოცხლე გარკვეულად... უნდა გადაგქოლო!.. შენ საკმაოდ ბავშვს ამოჭმას აგრძელებ... მე რა შუაში ვარ... შენს თავს შენვე დაუპირისპირდი... დეულში გამოიხეი... ესროლე... დაჭერი... მომაკვდავი სარცელებზე დააგდე... მე გადარჩენას ვცდილობ... დამეებს ვუთხე... ჭრილობაზე სალბოებს ვადებ... დრო გადის... იარა არ შუშდება... შენ როგორც გკონია, არც ისეთი უშინ ხარ... ის სარკეები, რომელშიც შენ ჩაგხედავს და უშნოდ დაუნახიხარ, თვალთმაქციები არიან... მატყუარები... შურიანები... მათ ფსკერზე უამრავი ბოროტი ქალის ლანდა ჩამალული... ისინი გიმახინჯებენ ანარეკლს... არ გჯერა?... როგორ დაგაჯერო!.. მისმინე... მშვენიერი გოგო ხარ... მოხდენილი... მწყობრად დალაგებული ნაკეთები გაქვს... არც ცხვირი გაქვს გრძელი და არც ტუჩები მობრეცილი... მუსიკალურ სასწავლებელში რომ სწავლობდი, ახალი ბიჭი გადმოვიდა გოგო ხარ... მოხდენილი... რამდენიმე თვე იარა... მერე წავიდა... დაიკარგა... იმ ბიჭის არც სახელი დაგამახსოვდა და არც გარეგნობა... ქალური აღმოთი გრძობდი, ამდენ გოგოში, შენ ამოგარჩია... რაღაც ერთ მიზნად... შენ ვითავითვალვებოდა... ჩემად რომ შეათვალე... ჩვეულებრივი ბიჭი იყო... არაფრით გამოირჩეული... მაგრამ შენც რაღაც დაინახე მასში... სხვას ხელ არ დაუნახავს, ალბათ, ისეთი... უცვინარ რემონტისათვის დადიოდა...



მონყენილი... მზერადაკარგული... ალბათ მაგიტომაც ვერ გაბედა შენთან მოსვლა... შენი ჯგუფელი გოგოები ხედავდნენ ამას... გჭორავდნენ... ჩუმად ფუტუკუნებდნენ... ცხვირს გიბზუებდნენ... მალე დაკარგა შენმა გონებამ იმ ბიჭის სახელი და სახე... უსახელო და უსახო ადამიანად იქცა... დიდი ხნის შემდეგ ისევე შემოვიცურდა გონებაში... დამლაშობილი და-ინყო მოსვლა... ჩრდილად ქცეული... მავ კონტროლში მოქცეულ სივრცეს ვაგვეჯად... მთრთოლარე თითებით გეხებოდა... გავფრებოდა... შენ გატრუნული ინეტი... ჩუმად კენსოდი... იქნებ ის ბიჭიც შენზე ფიქრობდა... ფიქრობდა... ადამიანებმა არ იციან, ვისი წარმოსახვის ობიექტებით ხდებიან... აბა, ნანო რა!.. ხან ეს მომწონს... ხან - ისაო... ხან ამას ვაკოცე, ხან - იმასო... გულში ვერაფერი შეუნახავს... ენაზე კლიტე ვერ დაუღია... საკუთარ თავზე ჭორებით აავსო ქვეყანა...

ნანო სანამ წავიდოდა იმ დეგენერატთან ერთად, სახლში დაბატიყა. იმან ნამცხვრები და კონიაკი ამოიტანა. სასტუმრო ოთახში ისხდნენ, სვამდნენ. მე ჩემს ოთახში ვიყავი შეკეტილი. პრინციპულად არ გავდიოდი მათთან. ვერ ვიტან მავ ჩინოსანას... ერთხელ ვიღაც გოგოსთან გამოუღდია თავი ოპერის სიყვარულზე. ჯერ ვერ დიდ პუჩინი არეკა ერთმანეთში, მერე ჩიო ჩიო სანი ვერ გამოუთქვამს სწორად და „ჩინო ჩინო სანი“-ს ამბობდა. იმ გოგოს მისთვის რა უნდა ეთქვა! ბიჭისთვის კი მოუყოლია. დახოცილან სიცოცხლე. ჩინო ჩინო სანი შეუმოკლებიათ და ჩინოსანა შეურქმევიათ. ისე, ნოდარა ჰქვია. ჩვენი უბნელი იყო. საზიზღარი მზერა ჰქონდა. კი არ შეგხედავდა, რაღაცანივრად დამციხავად მოგაჩერდებოდა. ნარკოტიკებს ეპარებოდა. მერე მიეძვრა. სულ გაბრუნებული და თვალგზანთილებული დადიოდა. ხან მხარი ექვებოდა, ხან - მუხლად ხან - ცხვირი. ერთხანს მე გადაამეკიდა. სადარბაზოსთან დამედებოდა. ვითომ არაფერიყო - იდგა კართან ატუზული. სიგარეტს ეწეოდა. რომ დამინახავდა - ვა, ლენკა, გამარჯობა, რავა ხარო! - მომესალმებოდა, მომიკითხავდა, ლოყას ლოყაზე მომადებდა, ყურთან დამიწრუნებდა ტუჩებს და მერე ქათინაურს მოაყოლებდა: - როგორ გიხდება შარვალი, ტანს მაგრად გიყენებს... მაგარ ფორმაში ხარ, საყვარელი! გამიბამდა საუბარს. მე ჩემს ვაზაზე ვინეროდი. არ გამიშვებდა. რაღაც სისულელეებს მომიყვებოდა. მერე ხან კაფეში მეპატუებოდა და ხან - რესტორანში. მკლავზე მომიკიდებდა ხელს. მკერდში ჩამაცქერდებოდა. არც მივრიდებოდა. ვერაფრით დამიყოლებდა. ერთხელ მითხრა: - შენთან დიდი საომოვნებით გავაკეთებდი ბავშვსო! თვალები დავუბრიალე. გავიქეცი. სიცილით მომამახა: - არ გაბრაზდე, ვაგვეხმერეო! უტოფარი იყო. უზრდელი. მერე ნანოს დაადგა თვალი. რით მოხიბლა მავ დეგენერატმა, ვერაფრით მიხვდი. ნახა დაბალი ღობე და გააძიარა... ეჭვი მაქვს, მავან გაამორა კოკას. არავა, კოკა არ არის ცუდი ადამიანი. ერთი ეგაა, ფეხებზემკიდია ტიპია. სად მიდი-მოდიოდა ნანო, არ აინტერესებდა. ჰოდა,

მავ გულგრილობისთვის დაისაჯა - მისგან გამოცეული ნანო ახლა დებილი ჩინოსანას მკლავებში კოტრიალობს... კარზე ზარის ხმა გაისმა. მივიფურადე. გამაიფრეველ გურამას ბიჭი იყო, ბადრი. ჩინოსანას დაურეკავს მისთვის - ცივი ყავა და ნაყონი გამოართვი ჩემი სახელით მამამშენს და ნანოსთან ამოიტანეო. ნანომ მოტანილი ჩამოართვა ბადრის და აღარ გაუშვა. - შემოდი, რა უცხოხავი დებახარო. ოთახში შეუძღვა. ბადრი ჩვენზე უმცროსია. წესიერი ბიჭია. უბანში როცა შემხვდებ, ჯიბეებიდან ხელებს ამოიღებს ხოლმე და ღიმილით მესალმება. ძალიან მომწონს ევეთი წესიერი ბიჭები... ჩინოსანა როხროხით შემომეჭრა ოთახში, - მარტო რას ზიხარ, ნამოდი ჩვენთან, ვავერთოთო. ხელი მომიკიდა, ძალით გამიყვანა ოთახიდან. ნანო უკვე საფარძელში იჯდა და ცალი ფეხი საგარძლის სახელურზე ჩამოიდო. ქერში იყურებოდა, სიგარეტის კვამლს ბოლქვებზე უშვებდა და უაზროდ იღიმებოდა. ეტყობოდა, მავარი მივრედი იყო. ბადრი სუფრის განაპირას იჯდა. უხერხულად ჩასჩერებოდა ოქროსფერ ზოლიან თევზს. ჩინოსანამ სუფრის თავში დამსვა. კონიაკი ჩამომისხა. ყველაფერი - ნამცხვარი, ნაყინი და ყავა - ერთად დამიწვი წინ. ხმა არ ამომიღია. არც შემიხედავს. ცხვირჩამოშვებული ვიჯექი. ბადრისი მომერიდა, თორემ არ გავიდოდი. ბადრემ არაფერს ახლო ხელი. მხოლოდ დაილოცა, ცოტათი მოსეკონიაკი და ჭიქა ძალიან ფრთხილად დადო მაგიდაზე. ნანომ გიტარა აიღო და ჩემკენ გამოსწია, - დაუკარი რა, ერთი, შენ რომ იცი, გულშიმამწვდომიო. გიტარას ხელი აუფუკარი და გაბრაზებულმა შევხედე. - რას იბღვირები, მთვრალი ქალი არ განახავსო? - მკითხა თვალგზანთილებულმა და სულელივით გაიცინა. ბადრემ - მე ნავალ, რაღაც საქმე მაქვს - ბოდიში მოიხადა და ოთახიდან გავიდა. არავის გაუცვივებია. - დადიეო - ჩინოსანამ მითხრა. ყავის ჭიქას ჩასჩერებოდა დამციხავი თვალებით. - არ მოდიხარო, - ოთახიდან გამომახე. ფეხზე წამოვდექი. - ლენკ, მე და ჩინოსანა მივდივართ ამ სიღამილიდანო, - მომიქსმა ნანოს ხმა მივტრიალდი. ვაკვირებულმა შევხედე. - ხო, მივდივართ ამ დამაპალი ქვეყნიდან. ჭუჭყისგან სარკული გვეუბებოდა, - ჩინოსანამ დაამატა. სიგარეტს მოუკიდა და განელილ კვამლს თვალმოჭუტული ააცქერდა. - მე მივდივარ შორეულ ნაოსნობაში... ყველაფერს ერთადერთ და ვუტოვებ ჩემ მოსაგონად!.. ჩინოსანი ცა და მიწა მეძახის, - ზელო, ზელო მიქნეს! - მოდი, გულში ჩავიჭუტოო! - ყალბი თეატრალური პათოსით წარმოთქვა ნანომ. - როდის მიდიხართ-მეთქი, - დავინტერესდა. - ხვალო. მივხვდი, ეს ერთი დღის ნაფიცი და გადამწყვეტილი არ იყო. - მერე კოკა-მეთქი? - ჩემდაუნებურად ამოხმა. - რა კოკაო? - ვაოცებულმა მკითხა. - არ ეტყვი, რომ მიდიხარ-მეთქი? - უკან აღარ დავიხიე. - ლენკ, კოკა აღარ არსებობს. ეგ სანყალი დროის ქარიშხალმა გაიტაცა და მოგონებების კუნძულზე დაგვლო... - ვითომ ენამოსწრებული რამე თქვა. კისკისი ატეხა. ჩინოსანა გა-

მოცოცხლდა, გიტარას დაავლო ხელი, გადმოიტარაო, ხელედი ააბრახუნდა და თავის ქეჩილი აყრიოინდა: - იმ კუნძულზე არც წყალიააა... არც საქმელიი!.. არც მზე და, მით უმეტეს, არც სიყვარულიი!!! სანყალი კოკაა!.. საცოდავი კოკააა!.. იმ კუნძულზე მოკვდებააა!!! ამაზე მთლად გადაფიჩნდა ნანო. - ორივენი იდიოტები ხართ-მეთქი! - ვიყვირე და შენკენ გამოვიქეცი... გვიანობამდე მესმოდა მათი ხმა. მერე...

რად მერე!... წავიდნენ და წავიდნენ... უკვე თორმეტის ნახევარია... ადექი...

ავდექი. ფარდები გადავნიე. ფანჯარა გამოვავლე. შუა დღის ერთფეროვნება ხმაურით შემოიჭრა ოთახში. ლოგინის დაღაგება არ დამიწყია. ყავის დაღვა მინდოდა. სამზარეულოსკენ მიმავლი ფეხებით გავტყაპუნდი. სანამ სამზარეულოს კარს შევადებდი, დაბინდულ დერეფანში, უცნაურმა ციმციმმა მომჭრა თვალი. ერთ ადგილას გავმეშდი. შიშისგან ურუხანტელმა დაძვინა. სინათლე ავანთე. სარკეზე ლამაზი ოქროსფერი ასოებით გამოყვანილი სიტყვები ეწერა: „ღენკას, ყველაზე მშვენიერ გოგოს, ვულოცავ დაბადების დღეს!“ სამზარეულოს კარი ფრთხილად შევადე. შევიჭყიტე. მაგიდაზე დიდი მრგვალი ბუხეებიანი ტორტი იდო. ტორტი ჩარჭობილი ოცდახუთი სანთელი ენთო. იქვე ლამაზი ბოთლი იდო. ეწერა: Baileys. Irish cream. ხო, „ბეილისი“ იყო... გაგახსენდა?... გამახსენდა. ჩემდა გასაკვირად, არავითარი ტკივილი არ მიგრძნია. სამზარეულოს ფანჯრებს გავხედე - დაკეტლი იყო; შემოსასვლელი კარი შევაბონმე - ჩარაზული იყო. ისევ სამზარეულოში შევედი და სკამზე ჩამოვჯექი. დიდ ხანს ვიჯექი ჩაფიქრებული და აციმციმებულ სანთლებს მივჩერებოდი. ბოთლი გავისხენი... სასმელი ჭქაქში ჩამოვისხი... - დალიე-მეთქი... - გითხარი... ათრთოლებულ ხელში მოგაწოდე ჭქაქ... სანთლებისთვის თვალი არ მომიცილებია, ისე დავლიე. - შენი თავისთვის დაბოყვიდე... მინც მოგელოცა... რა ლოთოვით დაბოყვიდე... - გითხარი... - კიდევ ჩამომისხი-მეთქი... - გთხოვე. ჩამოვისხი... - ღენკა, დაბადების დღეს გლოცავ!.. მრავალ მზის ამოსვლას დასწრებოდე!.. ამ სანთლებით ეციმციმოს შენს თვალებს, შენს გულს, შენს ცხოვრებას-მეთქი!.. - დავლოცე საკუთარი თავი. სასმელი გადავკარი და გარემოში მიმოვიხედე. - ნეტა ვის უყვარხარ ასე ძალიან, ღენკა? - დიმიტრი გვითხრა და სიგარეტი მოგანდო. - ნუთუ მართლა უყვარხარ ვინმეს? - კითხვა დამიბრუნე და გაკვირვებულმა შემომხედე... ტორტს თითი მოვუსვი და ზედ შერჩენილი კრემი ენით გავლოცე. მერე ადექი... შო, მერე ავედექი. სამზარეულოდან გავედი. მთელი დღე სიგარეტს ვეწოდი და ოთახებში ვწრიალებდი. დროდადრო შედიოდი სამზარეულოში... სასმელს ისხამდი... წრუპავდი... სვამდი... წრუპავდი... არც გაკვირვებია, სანთლები ისევ ისე რომ ენთო... არ იწოდო... ციმციმებდა... ვგრძნობდი, გული აღარ მქონდა საგულეში. მის ადგილას დედამინიდან შეგროვებული ყველა ბენდირება ჩატყლიყო და

ერთად ფეთქავდა. რაღაცას ელოდი... არ ვიცი, რას ველოდი. ფანჯრიდან გავიხედე. სიკვდილის სარეცელზე მწლიარე ბერიკაცივით მომჩერებოდა ცაცხვი. ჩემი ბავშვობის საყვარელი ხე - მოწყენილი, გამხდარი თვალბამოლაბებული - უკანასკნელ დღეებს მშვიდად და მორჩილად იჯვლიდა. დიხანს იდექი ფანჯარასთან... რამდენჯერმე მოგწმინდე ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი... ბინდი მოადაგ ფანჯრებს... სამზარეულოში გავედი. ძირამდე დაყვანილი ბოთლი ავიღე და სასმელი ბოლომდე ჩავნუე ჭქაქში. მთვრალი ვიყავი. სანთლების ალს თვალი მოვუჭუტე. ათასმა სხივმა ერთიანად იფეთქა თვალების ბაიბეში. სამეფო მეჯლისად გადაიქცა ჩემი გონება. ბრჭყვიალა ნყვლეები დაფარფატუნდნენ გარემოში. ხელი მოგკიდე და საწოლ ოთახში შეგიყვანე... თითქმის არაფერი გეცვა, მაგრამ რაც გეცვა, ისიც გაიხადე... უწესრიგად მიყარი გარემო... საწოლზე დედიშობილა დანეჭი და ჩაბინდულ ჭქრს ააცქერდი... ვერაფერზე ვფიქრობდი, რადგან დედამინის ბედნიერება ერთგული ძალღვივით მილოცავდა სხეულს. მერე დაიწყო... სიზრვიეტი ნერტოლებად ანითო ცისფერი ნისლი... ნამოვიდა... ნამოვიდა... ერთმანეთს შეერწყა... გამთლიანდა... გადღდა... შემამდე რომ მოაღწია, ზენარავით დაგვიყინა შიშველ სხეულზე... შეხება იყო რბილი... ფაფუკი... ნაზი და სათუთო... შენ არ დავინახავს, მაგრამ იგრძენი, როგორ ამობურცა ცისფერი ნისლი და მამაკაცის სხეულის კონტურებით მოიხაზა... სისხლი ავიფეთქდა... სუნთქვა აგირქარდა... დედამინის ბედნიერება აროკდა... ამღერდა... თვალი რომ გავახილე, ცხადად დავინახე როგორ მოფრინდა უცნაურად ჭრელი ლამაზი ჩიტები და ფანჯრის რაფაზე დასკუპდა. ყველაფერი ჩაჩუმდა... გაირინდა... ლამაზმა ჩიტმა ფრთები შეიფრთხილა... თეთრი ნისკარტი გახსნა... გენიალური კონცერტი დაიწყო!.. ოთახი უნაზესი ბეგრებით აივსო. სული და ხორცი ჰარმონიულად აფრიალდა... მე არ ვიცი, რამდენ ხანს ვაგრძელებდი ეს ყველაფერი... როცა დასრულდა, მეგონა სუნთქვისა და სისხლისგან დანრეტილი ვიყავი. მაინც ნამოვადექი. სინათლე ავანთე. მინდოდა, ყველაფერი სინაილის შუქზე დამენახა. ვის ეძებდი!.. ოთახში შენს მეტი არავინ იყო... ზენარს დავხედე... სისხლის წვეთები ვარდისფრად დაინწკლულიყო ატლასის ქათათია ნაჭერზე... გარბნიული დავაცქერდი... მერე თითქოს ტელეფონმა დარეკა... თითქოს დიდხანს, ძალიან დიდხანს რეკავდა... მერე ვითომ აიღე... უპასუხე... თითქოს ნანოს ხმა ჩავიგებო:

- ღენკ, ხვალ თბილისში მოფრინავ... ჩინოსან დაიჭირეს!...

მერე თითქოს გავცინია... სინათლე ჩაქქე... ლოგინის ფეხთან ჩაჯექი... აქვითინდე... სხვა ღენკა შემოვიდა შენში...

მე გვერდით მოვიჯექი... მხარზე ჩამოვადე თავი... ვთქვი:


- ხვალ ორშაბათია... ოცი სექტემბერი... მისი სახლიდან გასვლის დღე...

ბლექ მორისონი

# მე არ ვარ ის, ვინც ხედავს

ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ცნობილი თანამედროვე ნორვეგიელი მწერლის, 2023 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის, იუნ ფოსეს (დაიბ. 1959 წ.) შვიდტომეულის - „სეპტოლოგია“ - პირველი და მეორე ტომები ერთ წიგნად (გამომცემლობა პოლინომიალი, მთარგმნელი: თამარ კვიციანიძე). ფოსეს ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალმხრივია. მის კალამს ეკუთვნის მრავალი რომანი, მოთხრობა და პიესა, ასევე - პოეტური თხზულებები და საბავშვო ნაწარმოებები. ვთავაზობთ ინგლისელი მწერლის, ბლექ მორისონის ესეს იუნ ფოსეს შემოქმედების შესახებ. ტექსტი 2023 წლის იანვარში გამოქვეყნდა London Review of Books-ში.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



იუნ ფოსე არ იყენებს წინადადებებს ან ამჟობინებს, არ დაასრულოს ისინი. როდესაც გადაშლით „სეპტოლოგიას“, წვრილი შრიფტისა და ვინრო მინდვრების დანახვისთანავე კითხვა შესაძლოა, სასიკვდილო განაჩენად მოგეჩვენოთ - მით უმეტეს, რომ წიგნი, რომელშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სიკვდილის თემა, რეაას გვერდზე მეტს მოიცავს. ფოსე არ იყენებს აბზაცებსა და წერტილებს. მან თავის სტილს „ნელი პროზა“ უწოდა. ნუთების - და ხშირად საათების - განმავლობაშიც განსაკუთრებული არაფერი ხდება: მთავარი პერსონაჟი, ასლუ, ზის და ვასცკერის ფიორდს, ფანჯრის მიღმა რომ

მოჩანს, ან ათვალიერებს სურათს, რომელიც ესაა დაასრულა (ორი ხაზი - ისფერი და ყავისფერი - რომლებიც ერთმანეთს შუაში კვეთს). ასლეს სათქმელი თითქმის არაფერი აქვს, მხოლოდ ის, რომ დალილობას გრძნობს ან ის, რომ თავი მოაბეზრა მეზობელმა გლენმა, ოსლეიკმა, რომელიც ასლეს ყოველდღე სტუმრობს.

ამ მეთოდს ფოსე „მისტიკურ რეალიზმს“ უწოდებს. ესაა „ჩვეულებრივი, ყოფითი ცხოვრების, ყოფის მისტიკა“, მაგრამ მისი ჩვეულებრიობის განცდა მალე ქრება, მნიშვნელოვანწილად, იმის გამო, რომ რომანში ჩნდება სხვა ასლუ, „იხსნია“, „იგი“,

და არა „მე“, თუმცა, ამ ორეულით შემოტანილი სირთულე დამბანვეელი არაა. ის, არსებითად, კიდევ ერთ შრეს ამბატებს თხრობას. უსიუფტობის ილუზია იფანტება და ჩვენს ყურადღებას იპყრობს შინაარსი (სიყვარული, მწუხარება, ნელოვნება და პერსონაჟთა იდენტობა). ნელი თხრობაც უქმდება: ამბავი იმდენად განმეორებადი და ციკლურია, რომ ჩვენი მზერა სწრაფად მიძრავს სტრიქონიდან სტრიქონზე, ისე, რომ არ გვეშინია, რაიმე გამოგვიჩვენოს, რადგან ყოველი ახალი დეტალი ან აღმოჩენა აუცილებლად დეტალურად იქნება აღწერილი. ეს უჩვეულობას ანიჭებს ფოსეს ტექსტს, რადგან ის, რაც მძიმედ გვეჩვენებოდა, სინამდვილეში ოლივიდობრივდება, ისე, თითქოს იცვამთ ფეხსაცმელს, მიღობართ და ტალახში კი არ ეფლობით, არამედ მისრიალებთ მასზე.

სექტოლოგია - ესაა შვიდი რომანი, რომლებიც მოიცავს შვიდ დღეს, შობის დღესასწაულამდე. თავდაპირველად ნაწარმოები გამოქვეყნდა სამ ტომად - „სხვა სახელი“ (პირველი და მეორე რომანები), „მე-სხვა ვარ“ (მესამე, მეოთხე და მეხუთე რომანები) და „ახალი სახელი“ (მეექვსე და მეშვიდე რომანები), მაგრამ შემდგომ ფიქტარლადმე გააერთიანა და ერთ ნიგნად გამოცა. როდესაც ასლე თავის სახლში არ ზის და არ სძინავს, ის მიემგზავრება მეზობელ ქალაქში, სადაც გალერეაში მისი ნახატების გამოფენილი. გზად ასლე ვაიკლის ადგილებს, რომლებიც ალუძრავს ბავშუობისა და სიყრმის მოცინებებს: ასხედდება, როგორ წავიდა სახლიდან, რათა დასახლებულიყო პანსიონში, საშუალო სკოლის გვერდით, მოხუცთა სახლის მახლობლად, სადაც იმყოფებოდა მისი ბებიას, მაგრამ შემდეგ სწავლა დაიწყო სამხატვრო სკოლაში და შეხვდა ალესს. მათი სიყვარული და ქორწინება განსხვავდება მეორე ასლეს ქორწინებისგან, რადგან ორეულის ცოლმა ტყვიანობის გამო სცადა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაეკრულიყნა. დროდადრო ორი ასლე ერთმანეთს ერწყმის და იმ შემთხვევებშიც, როდესაც ისინი ურთიერთგამიჯნულნი არიან, წარმოიშობა გასანევა-გამოასანევი კარბის ეფექტი, თითქოს თითოეული მათგანი ცხოვრობს იმგვარი ცხოვრებით, რომლითაც შეიძლება ეცხოვრა მეორეს, თუ არ ჩავთვლით შემთხვევით მოვლენებს.


ფოსე წერს ახალ ნორვეგიულ ენაზე, ნინოშკზე. ესაა ნორვეგიული ენის ერთ-ერთი ოლტერნატიურული ფორმა (მეორე - ბუქმოლია), რომელიც უმეტესწილად გავრცელებულია დასავლეთ ნორვეგიაში. ძნელია შევფასოთ დემიონ ზენზისეული თარგმანის სიზუსტე, მაგრამ ნიგნი ლადად, ძალდაუტანებლად იკითხება. როგორც ჩანს, სირლზი ფოსესთვის იყვია, რაც ანთავა ბელი იყო ვ.გ.მ. ზებალდისთვის. თარგმანი იმგვარია, რომ მალევე ეჩვევით უწერტილობას და თუ ჩაუყვირდებით, რა საშუალებებს იყენებს ფოსე ერთი ამზობიდან მეორეზე გადასასვლელად, აღმოვაჩინოთ საოცარ აღწერბატებებს, რომლებითაც ავტორი მყარ „და“-ს და „მაგრამ“-ს ანაცვლებს. ერთ გვერდზე დავითვაულე 12-ზე მეტი „ვიფრობ“ და (შესაძლოა, მოლი ბლუმის თინოლოგის ზეგავლენით), მრავალი „ჰო“. მაგალითად: „ჰო, შესაძლებელია, ჰო, შესაძლებელია,

ლია, ეს მანძილია, - ფიქრობს ასლე, - და ახლა უნდა გავიდეს და დაისხას ცოტადენი სასმელი“. ჯონის საბოლოოდა ანიჭება ნინადადებობის გაუქმება, ისევე, როგორც ახლახან - მაიკ მაკკორმაკს და ლუსი ელმანს, პირველ მათგანს რომანში „მზიური ჩონჩხი“, მეორეს კი რომანში „დექსი, ნიუბერბორტი“. მაგრამ ფოსე უმ ხერხს შედარებით დახვეწილად და საინტერესოდ იყენებს.

უფრო მნიშვნელოვან გადანაცვლებებს „სექტოლოგიაში“ - სამოცი წლის ასლეს გადასვლას დროში მის ბავშუობისდროინდელ „მე“-ზე ან ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისას, ჩვეულებრივ, წინ უძღვის სიტყვა „უხედავ“:

„იქნებ, რომ ოსლეკს ეფხოვო, სკამი ფანჯრის წინ დადგას-მეტიქი, ვფიქრობ, მაგრამ არა, ეს როგორ უნდა ვიფიქრო, ალესის სკამი იქ უნდა იდგეს, სადაც სულ იდგა, როგორ შეიძლება, სხვაგვარად ვიფიქრო-მეტიქი, ვფიქრობ და მივდივარ, სავარძელში ვვადებო და იმ ადგილს ვხედავ სოჯის ზედაში, რომელსაც ყოველთვის ვუყურებ ხოლმე, ვუყურებ ტალღებს და ვხედავ, ავტობუსში მჯდომ ასლეს, რომელიც ავიდან სტარნდასკენ მიმართება და ფიქრობს, რომ ნამდვილად კარგად სწავლობდა აკადემიურ საშუალო სკოლაში, და თუმცა ეს საჭიროზე მეტი ხნით ვაადამო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც დაელახარაკა მასწავლებელს“.

ასლე შფოთავს სკამის გამო, რადგან ეს გარდაცვლილი ცოლის, ალესის სკამია. ასლესა და ალესის სახელები ერთი და იმავე სახეობისგან შედგება, თუმცა ეს განსხვავებული ასოებითაა. ასლე ჯერ კიდევ მწარედ განიცდის ალესის გარდაცვალებას, თუმცა მისი სიკვდილის შემდეგ მრავალი ნელი გავიდა. ასლე-1 (რომლის თვალსაზრისითაც მოიხრობია „სექტოლოგის“ უმეტესი ნაწილი) ცხოვრობს პანსიონის სოფელში, დილიგიაში. ასლე-2 ცხოვრობს ბიორგენიში, რომელიც ცნობილია ბერგენის სახელმწიფოთ - ესაა სიდიდით მეორე ქალაქი ნორვეგიაში. ასლე-1 მხოლოდ ერთხელ იყო დაქორწინებული და თუმცა, შესაძლოა, ერთხანს კავშირი ჰქონოდა ქალთან, სახელად გუროსთან (რომელსაც აგრეთვე ჰყავს ორეული ოსლეკის დის სახით), ალესის სიკვდილის შემდეგ ქალები აღარ ადლებდებოდა; ასლე-2 ასევე უცოლია, მაგრამ მოასწორ ორჯერ დაქორწინება და განქორწინება: თავდაპირველად მისი ცოლი იყო ოლივი, შემდეგ კი - სივი. ასლე-1-ს შვილები არ ჰყავს; ასლე-2-ს სამი მოზრდილი შვილი ჰყავს. ასლე-1 ღრმად მორწმუნე ადამიანია; ასლე-2 ურწმუნოებისკენა მიდრეკილია. ასლე-1-ს ყოველთვის სურდა, ძალი ჰყოლოდა; ასლე-2-ს ჰყავს ძალი ბრავე, რომელსაც შეიფარებს ასლე-1. ეს უკანასკნელი ოდესღაც ლოთობდა, ახლა კი სასმელს არ ეკარება; ასლე-2 ალკოჰოლიკია. თავიდან სწორედ ამ მიზეზით ხვდება ასლე-1 მეორეს. ასლე-1 ერთი დღის განმავლობაში ორჯერ ჩადის ბერგენში იმ იმედით, რომ თავის ორეულს ლუდხანაში იპოვის, მაგრამ ქუჩაში პოოლბის თვლით დაფარულს, თითქმის უგონო მდგომარეობაში. ასლე-1 ფიქრობს, რომ დღვის ნებით დაბრუნდა ბერგენში (ასევე დღვის ნებით შეხვდა ასლე-2 ბერგენში ჩამოსვლისთანავე); სხვა შემთხვევაში, ასლე-2 გაი-



ყინებოდა და მოკვდებოდა. მიუხედავად ამისა, ასლე-1 კარგა ხანს არწმუნებდა ასლე-2-ს (რომელმაც ამასობაში საკმაოდ ბევრი დალია), ნაჰყოლოდა საავადმყოფოში, სადაც ის რომანის ბოლომდე რჩება.

ფოსეს სტილის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მწერალი ზოგიერთი საზოგადო სახელის პირველ ასოს მთავრულით წერს: კლინიკა, სოფლის სასტუმრო, ქუჩაბანდი, ნავმისადგომი, აკადემიური საშუალო სკოლა, სამხატვრო სკოლა, სამეურნეო მაღაზია, პლაჟი, დოკი, სანაპირო, მევიოლინე, ხაბაზი, მეფუნთუშის ცოლი, ბარმენი, დიასახლისი, ავტობუსის მძღოლი, დედა, მამა, და. ეს ხერხი თითქოს ანათესავებს შესაბამის ობიექტებს ერთმანეთთან, თითქოს შეგვიძლია ვი-

ყით ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერი ადამიანის გვერდით. შესაძლოა, ამავე ინსტინქტის კარნახით ფოსე თავის ორ მთავარ პერსონაჟს ერთსა და იმავე სახელს არქმევს, თითქოს ისინი ერთი და იმავე კლასის ტიპური წარმომადგენლები იყვნენ. განსხვავებათა მიუხედავად, ისინი ჰგვანან ერთმანეთს არა მხოლოდ ფიზიკურად - გრძელი თმა, შავი ხავერდის პიჯაკი, მხარზე გადაკიდული ყავისფერი ჩანთა („აუტანელია მათი მსგავსება“) - არამედ იმიტომაც, რომ ერთსა და იმავე სამხატვრო სკოლაში სწავლობდნენ და საარსებო სახსრებს ხატვით მოულობდნენ: ასლე-1-მა ბავშვობიდანვე გაითქვა სახელი და გალერეის მუხატრონე ბეიერი, რომელიც მის სურათებს საშობაოდ გამოყენდა ხოლმე ყოველ წელს, დარწმუნებულია, რომ „მოვა დღე, რო-



ცა ამ ნახატებს ნორვეგიელი ფერწერის - არც მეტი, არც ნაკლები - საუკეთესო ნიმუშებად აღიარებენ,“ და ასლევ ფიქრობს: „სულის სიღრმეში ვიცი, რომ ასეა“.

არ ვიცი, აყენებს თუ არა ფოს თავის თავს ასეთთავე კვარცხლბეკზე. მან თავისი თხზულებების გამოქვეყნება 1980-იანი წლებიდან დაიწყო და ნობელის პრემიაზე იქნა ნომინირებული. წერს პიესებს (რომლებსაც თარგმანად და დგამენ მრავალი ქვეყანაში), ლექსებს, ესეებსა და მხატვრულ პროზას. ნორვეგიის მთავრობის შეთავაზებით, ფოსე დასახლდა საპატიო რეზიდენციაში (რომელშიც შეუძლია მთელი სიცოცხლის განმავლობაში უსასყიდლოდ იცხოვროს), ოსლოში, მეფის სასახლის გვერდით. მაგრამ ფოსე გაითვალისწინებს სხვა ნორვეგიელი მწერლების, მათ შორის, პერ პეტერსონის, და სოლსტადისა და კარლ უეკ ენაუსგორის (რომელსაც 1980-იან წლებში სამწერლო ოსტატობას ასწავლიდა) პრეტენზიებსაც. ოდესღაც ფოსე მართლაც იყო გატაცებული ფერწერით, თუმცა ყველაზე უფრო მუსიკა უყვარდა („ლიტერატურაში როკიდან მოვედი. თითქმის შეუმჩვენვლად გადავიცვლე ვიტარიდან საბეჭდი მანქანისაკენ“), „სექსტოლოგიაში“ არის სცენა, სადაც ყმანგილი ასლევ ტოვებს ბენდს, რადგან ფიქრობს, რომ საკმარისად კარგად ვერ უტარავს ვიტარაზე.

ფოსეს (ისევე, როგორც ენაუსგორის) ნაწარმოებების კითხვისას ხშირად ნამოტირება კითხვა, თუ რა არის მხატვრული ლიტერატურა და რა - ავტობიოგრაფია, ნიგნში „ბავშვობისდროინდელი სცენები“ (რომელიც დიდ ბრიტანეთში 2018 წელს გამოქვეყნდა) ფოსე ამბობს, რომ მისი მიზანი იყო, გულწრფელად აღენერა თავისი ბავშვობა. ზოგჯერ ის იყენებს ნაცვალსახელს „მე“, სხვა შემთხვევებში კი ახსენებს თავის თავს მესამე პირში, როგორც ასლევს. ნიგნში გვხვდება მოტივები და ეპიზოდები, რომლებიც „სექსტოლოგიაშია“ გამოყენებული: მოუცემული ცოლ-ქმარი წვენიბთა და წაყინით უმასპინძლებდა პატარა და-ძმას; ასლევ ბიჭუნა თანაგრძნობა ავადმყოფი ბებიის მიმართ; გრძელი თმა, ფორდები, სიყვარული ვიტარისა და ძაღლისადმი. ორმოციდათვერდიან მოთხრობაში „და მერე ძალღი დამიბრუნდება“ - რომელშიც მთავარი პერსონაჟი კლავს მეზობელს იმის გამო, რომ იმან ძალღი მოუკლა, ფოსე შორდება ჩვეულ თემატიკას და უახლოვდება ე.წ. სკანდი-ნურის სტოსს. მაგრამ მისი თემა დახრწობის შემზარავი სცენები და არა მკვლევლობები.

„სექსტოლოგიაში“ ასლევ ფიქრები ფერწერის შესახებ საშუალებას გვაძლევს, ჩავწვდეთ მხატვრული ლიტერატურის ფოსესულ გაგებას („რაც შეეხება ლიტერატურასა და სახეით ხელოვნებას - ეს ერთი და იგივეა“), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის აღწერს, როგორ „ეტიკდება“ ხოლმე გონებაში სხვადასხვაგვარი სახეები და მხოლოდ ტილოზე მათი გადატანისას თავისუფლდება მათგან: „სურათი ისე უნდა დაეხატო, რომ ნავშალი ხატება, რომელიც არ მშორდება, და ამგვარად ვაძილებ, გაქრეს“. კიდევ უფრო საინტერესოა მისი წარმოდგენა ხელოვნების, როგორც „ნათელი სიბნელის“ შესა-

ხებ, რომლის წვდომაც შესაძლებელია, თუკი დიდხანს ჩააცქერდები დღის „ცარიელ არყოფნას“ და ჩაიძირები საკუთარ თავში:

„და რაც უფრო დიდხანს ვზივარ და ვუყურებ, სულ უფრო მეტი ვიძირობი იმაში, რასაც ცხელად და ალბათ, რაც უფრო დიდია, ვიდრე სიცოცხლე, თუმცა სიტყვებით სათანადოდ ვერ გადმოვცემ, რადგან იმ ნახატებიდან ერთგვარი სინათლე მოდის, ჰო, ერთგვარი ნათელი სიბნელე, უხილაკი შუქი, რომელიც უხმოდ ლაბარაკობს და უსიტყვოდ გვეუბნება სიმართლეს და როდესაც ამ სანახაობაში ვიძირობ, როცა ნახატს ამგვარად ვუყურებ, თითქოს მე კი არა, არამედ რაღაცაა, რაც ნახატს ჩემი თვლით ხედავს და მერე შეწყვეტილი ხატვის გასაგრძელებლად ყოველთვის ვიპოვებ ძალას და სხვა მხატვრულსაც ასევე ვაფასებ, ჰო, ის ნახატები, რომლებიც მე მიმონწის, ფიქრობ, უშუალოდ მხატვრის თვლით კი არ არის დანახული, არამედ სხვა რამეა, რაც უბრალოდ მხატვრის ხედვაში ვლინდება და ეს იღუპალი რაღაც ნახატში რჩება და უხმოდ მეტყველებს და ხანდახან ფუნჯის ერთი მიმსაც კმარა იმისათვის, რომ ნახატი ამგვარად ამეტყველდეს და ამ ყოველივე შეცნობა რთულია-მეთქი, ფიქრობს და ჩემს საყვარელ ტექსტებზეც იმავს ვიტყვოდი, ფიქრობ, არსებითი ის კი არ არის, რასაც ტექსტი პირდაპირ ამჟღავნებს, არა, სრულიად სხვაა, რაღაც, რაც სათქმელს ამბობს ტექსტში, ფრაზების მიღმა“.

ფოსეს თქმით, ის წერდა „სექსტოლოგიას“ ყოველდღე, 16-17 საათიდან დღის ცხრა საათამდე, და „როდესაც კარგად ვწერ, ძალზე ცხადად და მკაფიოდ ვგრძნობ, რომ ის, რაზეც ვწერ, უკვე ნათქვამია ვიღაცის მიერ... უბრალოდ, უნდა ჩავინერო ყველაფერი, სანამ დაქრებოდა“. მისი პროზის რიტმები გვაგონებს ლამის რიტმებს ან, როგორც ფოსე ამბობს, შეგრძნებებს, რომელთაც განიცდის თვწინაობისას, როდესაც ფიორდში ნავში ზის და ტალღები ნავს ირთებენ. მიზანი, ისევე, როგორც თეზაობისას, არაა, რომ გასცდეს „ცარიელი არარას“ საზღვრებს და რამე დაიჭიროს.

ასლევ შეუძლია ბევრი რამ გვაუწყოს ღმერთის შესახებ და „სექსტოლოგიის“ თითოეული თავი მთავრდება ლოცვით, ნაწილობრივ - ლათინურ ენაზე. ფოსე აპირებდა ნიგნი უფრო თეოლოგიური ხასიათის ყოფილიყო, მაგრამ ამოიღო მისი ტექსტიდან ისი (ან მეტი) რელიგიური ხასიათის ფრაგმენტი - ძირითადად, რეპლიკები ალესისა, რომლის შეგავლენით, ასლევ განიკურნა ალკოჰოლიზმისგან და კათოლიკურ რელიგიას ეზიარა (2012 წელს საჭირო გახდა ფოსეს ჰოსპიტალიზაცია. მწერალი ალკოჰოლიზმისგან განიკურნა და კათოლიკე გახდა). ტექსტში დარჩა ლოცვები და მათ ურწმუნო ან არაკათოლიკე მკითხველი აუცილებლად გამოტოვებს. რელიგიური ნარმოცვლადება, როგორც დრომოქმული რამ, რაც მისაღებია როგორც ფორმალური ხერხი, როდესაც მისი მოდულაციები ხშირხანს ტექსტში; მაგრამ ის გვაბნელებს, რადგან თხრობის მოტივები - რომ ცხოვრება მძიმე და უღიმღამოა - პრაქტიკულად არაფერს იძლევა რწმენის განსამტკიცებლად. „ნახატში სიბნელე ანათებს, - ფიქრობს

ასლე, - ღმერთს სწორედ მაშინ ვუახლოვდებით, როცა სასოწარკვეთილების წყვილია ვიპოვებთ". ეს აზრი ანუგეგმებს კაცს, რომელმაც დაკარგა ცოლი, მეგობარი სიგვე და საყვარელი და, მაგრამ, როგორც თვითონვე აღიარებს ოსლეიქთან კამათისას, ამ იდეას რაციონალური საზრისი არ აქვს: „რწმენის ვერ მოიპოვებ გონების მეშვეობით, რწმენა ღვთისური მადლია“.

მსჯელობები ღვთიური მადლის შესახებ განახევენ ფოსეს ბეკეტისგან, რომელსაც მას ხშირად ადარებენ, და სხვა მწერლებისგან, რომლებიც მას უყვარს (თრაკლი, კაცვა და ჰამსუნი). ფოსესთან არ შეიძლება ბეკეტის კომიკური სულისკეთებაც. თუმცა, მასხენდება ერთი შესანიშნავი კომიკური სცენა, როდესაც ასლეს მამა, მენვე, რომელსაც არ სურს, ცოლს მანქანა უყიდოს, საცდელი გასცინებისას მანქანას ისე ნელა და დაძაბულად ატარებს, რომ ასლე - იმხანად ჯერ კიდევ ბატარა ბიჭი - გაუსწრებს. ოუმორი შეიძლება აგრეთვე ციფრების მიმართ ასლეს შიშში და, ასევე, კლასში ხმამაღლა კითხვის უუნარობაში. მოწიფულობისას ის მელანქოლიური ხდება და მისი ზოგიერთი ბავშვობისდროინდელი განცდა შემზარავია. ნიგმიზ არის გრძელი ნინასწარმეტყველური ეპიზოდი, როდესაც ასლე და მისი უმცროსი და, ალიდა, სახლიდან მიდიან და შემზარავი მოხუცი ცოლ-ქმარი მათ ღომიანით უმასხინდებდა. შემდეგ ბავშვები ხედავენ მათი ასაკის ბიჭს, რომელიც ნავიდან გადმოვარდება და კვდება. მოგვიანებით, ერთ დღიას, ალიდაც კვდება. ასლე ერთი მგლოვი კაცის მხრივ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება, რომლის შესახებაც მას აფრთხილებდნენ. ეს საკმარისია, რომ ადამიანმა ხელი აიღოს რწმენაზე და სასოწარკვეთილებას მიეცეს, და ასლესაც ასე ემართება, მაგრამ მალე ხელოვნებას და ასლეს შიშს პოულობს ნუგეშს.

ალესი ალესად (Ales) რჩება „სექსუოლოგიაში“, მაგრამ რომანში „ალისი ცეცხლში“ („Aliss at the Fire“), რომელიც ასევე უფრო სტილითაა დაწერილი, ამ სახელის მქონე პერსონაჟს ახალი სახელი აქვს: ნორვეგიული

სახელიწოდება „Det er Ales“ ინგლისურად ითარგმნება, როგორც „That’s Ales“. დემიონ სირლზ არ სურდა, რომ ინგლისურენოვან ლუდიტორიას ფიქტურ, თითქოს ეს იყო ნიგმი ლუდის შესახებ. ამიტომაც უნდა დაერქვა პერსონაჟს Aliss-ი. მოქმედება მიმდინარეობს 2002 წელს, და, ასევე, 1979 წლის ნოემბერში, იმ ავღრიან დღეს, როდესაც სიგნეს ქმარი, ასლე, გაუგებარი მიზეზის გამო, ნიშბებიანი ნავით სადღაც გაემურა და აღარ დაბრუნდა. აქ წარსული კიდევ უფრო მეტად თანაარსებობს აწმყოსთან, ვიდრე „სექსუოლოგიაში“, სადაც ასლეს დაწარმობასთან ერთად საუბარია 1897 წელს მისი შვიდი წლის სესხის დაბრუნების შესახებ. ამ ბიჭულას ბებია არის სათაურში მოხსენიებული Aliss-ი. თვით ფოსემ აღიარა, რომ შვიდი წლის ასაკში კინაღამ ემსხვერპლა უბედურ შემთხვევას, ხოლო „ბავშვობისდროინდელ სცენებში“ აღწერს, როგორ დაეცა და სისხლი თქირი-ალით როგორ მოსდიოდა ხელიდან, სანამ საავადმყოფოში წაიყვანდნენ („სიკვდილი მელის, თუმცა მხოლოდ შვიდი წლისა ვარ“).


რომანში „ალისი ცეცხლში“ არაერთხელ მოხსენიება დროითი ჩარჩოები - 1897, 1979, 2002 წლები, ხოლო „სექსუოლოგია“ დათარიღებული არაა. ასლე მანქანას ატარებს, მაგრამ თუ არ გავითვალისწინებთ ამ და სხვა წერილმან დეტალებს, რომანში აღწერილი ისტორია შეიძლება ნებისმიერ დროს მომხდარიყო. სტიქიური გამოდგენის სოციალური ურს. ნაწარმოებში არ გვხვდება მეტაფორებიც: თუ არ ჩავთვლით „მანათობლე წყვილიაღ“, ფოსეს ეს აქ სამშენისებს მოკლებული ენაა - სადა, სასაუბრო, რომელიც ბორძიკით ცდილობს ქუმპირიტებისა და გაგებისკენ გზის გაკვლევას და დარწმუნებული არაა, რომ ამას მოახერხებს. შეიძლება ამ ხერხს ცნობიერების ნაკადი ვუნდოთ, მაგრამ ტექსტი ძალზე არამოდერნისტულია, მხოლოდ ორჯერ აღწევს თავებრუნებულ ვეფქსს: პირველად, როდესაც ალკოჰოლიკი ასლე თვითრი ცხელებისგან კანკალებს და მეორედ, როდესაც არამსმელი ასლე იძინებს. აქ რომანში შემოიჭრება ეროტიკული მოტივები; სხვა ეპიზოდებში საუბარია სექსუალური ეჭვიანობის შესახებ, მაგრამ თვით სექსი რომანში პრაქტიკულად არ მონაწილეობს.

ორი ასლეც ცხოვრობს სხვადასხვაგვარად მთავრდება, რომელთაგან პირველი ტრაგიკული და პროზნოზირებადია. მეორე უფრო ორაზროვანია, მაგრამ იმდითაა შეფერილი. მრავალი წლის განმავლობაში ოსლეიკი სთავაზობდა ასლესგან, შობის ასაკი მისი დის, გუროს სახლში გაეტარებინა. ასლე ყოველთვის უარით პასუხობდა და ოსლეიკს ყოველწელს აძლევდა თავის ერთ-ერთ სურათს, გუროსთვის განკუთვნილი საშობაო საჩუქრის სახით. ამჯერად, მძიმე კვირის ზეგავლენით ან იმის გამო, რომ ასლე ბოლოს და ბოლოს აცნობიერებს, რამდენად გულმოდგინედ ეხმარებოდა მას ოსლეიკი, ასლე მიჰყვება მას გუროსთან. გუროს სახლში ისინი გრძნობენ ცხერის შემწვარი ნეკნების სურნელს და ხედავენ კედლებზე დაკიდებულ ნახატებს. სტუმრებისთვის განკუთვნილ საძინებელ ოთახში გურო მიდის ასლესთან და შორისში ეფერება. ასლე ხელს ჰკრავს ქალს („მე და ჩემი ცოლი ჯერ კიდევ დაქორწინებული ვართ, - ვუუბნები მე, არ შეიძლება, მკედრის ქმარი იყო, მასუბობს გურო“). როდესაც არც ისე განაწყენებული გურო ოთახიდან გადის, ასლე საწოლზე წეება და ფიქრობს, როგორ გადაეხსნათა ერთმანეთს მისი და მეორე ასლეს ცხოვრება. ახლა ის მარცვლავს კრიალოსანს - ესაა ნიშნება შვიდი რომანიდან თითოეულის უცვლელ ფინალზე, მაგრამ ოდნავ განსხვავებით: სანამ ასლე ლოცულობს, „ლურჯი სინაღლის ბუშტი მხვეუბა შუბლზე და ფეოქდება, და მე განუწყვეტლივ ვიმეორებ: Ora pro nobis peccatoribus nunc et in hora როგორც სიკვდილის მომანახვებელი ნიშანი, ეს არანაკლებ სველიანია, ვიდრე მწვანე შუქი „დიდი გეტსისი“ დასასრულს, თუმცა, დამერწმუნეთ, რომ ფოსესთვის ესაა ტრიუმფის მომენტი. გიგანტური რომანი დასრულდა და მართლმორწმუნე კათოლიკე მიმართება თავის შემოქმედთან შესახვედრად

დიკ დეივისი<sup>1</sup>

# „ბიძაჩემი ნაპოლეონი“ იუმორი, თარგმანი და კულტურათა შეთანხმება<sup>2</sup>

ინგლისურიდან თარგმნა თეა შურღაიამ



არსებობს ერთი ძველი ფრანგული გამონათქვამი თარგმანის შესახებ: „თარგმანი საყვარელივითაა: თუ ლამაზია, ერთგული არ არის და, თუ ერთგულია, ლამაზი არ არის“. ეს გონებაბაზვილური ჭეშმარიტება იქნებ სქესთა ურთიერთობის საკითხში სახელმძღვანელოდ ვერ გამოდგეს, მაგრამ თარგმანთან, განსაკუთრებით, მხატვრულ თარგმანთან მიმართებით, ხშირად მართლდება. და მაინც, ვინც მხატვრულ თარგმანში ცდის ბედს, ეს საკმეიანობა მას, შესაძლოა, ისეთ აზირებად ექცეს, რომელსაც ძნელად თუ გადაეჩვენება.

ვალიარებ, რომ თარგმანდამოკიდებული ადამიანი

ვარ. 1980-იანების დასაწყისში, როდესაც ლიტერატურის თარგმნას მივყავი ხელი, მეგონა, თავს გაავართმევი, ან არადა, თავს დაგანებებდი. მაგრამ... ჩემი ამბავი ცნობილი, სევედიანი ისტორიაა კაცისა, რომელიც ყოველ ჯერზე, როცა იძულებულია, ფარ-ხმალი დაყაროს, აღმოაჩენს, რომ მას უფრო ხანგრძლივი და მკაცრი გამოცდა სჭირდება.

„ბიძაჩემი ნაპოლეონის“ თარგმნით ჩემთვის ახალი ეტაპი დაიწყო. ერთი, რომ ეს იყო პროზა, მე კი იქამდე სპარსულიდან მხოლოდ პოეზია მქონდა თარგმნილი; მეორე - ეს იყო თანამედროვე, 1969 წელს დანერგილი

<sup>1</sup> დიკ დეივისი (1945) - ინგლისელი პოეტი, ცნობილი მთარგმნელი და ოპაიოს უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორია. რვა წელი გაატარა ირანში, ასწავლიდა თეირანის უნივერსიტეტში. ჰყავს ირანელი მეუღლე. ამჟამად ცხოვრობს აშშ-ში, კალიფორნიაში. ინგლისურად თარგმნილი აქვს სპარსული კლასიკური ლიტერატურის გამორჩეული ძეგლები: ათარის „ფრინველთა საუბარი“, ფირდოუსის „შაჰნამე“, ფაზრ ედ-დინ გორგანის „ვისი და რამინი“, ჰაფეზისა და სხვა შირაზული პოეტების ლექსები. მასვე ეკუთვნის ირაჯ ფეზემქუზადის რომანის „ბიძაჩემი ნაპოლეონი“ ინგლისური თარგმანი. მიღებული აქვს არაერთი ლიტერატურული და აკადემიური ჯილდო.

<sup>2</sup> 1990-იანების დასაწყისში დენისონის უნივერსიტეტში (ოპაიო) ნაკითხული ლექციის ეს მასალა ავტორმა დიდსულოვნად გადამოშტა, როგორც „ბიძაჩემი ნაპოლეონის“ მთარგმნელსა და მის კოლეგას. მასთან შეთანხმებით, ეს ტექსტი, რომელიც აქამდე არასად გამოქვეყნებულა, ინგლისური დედნიდან ითარგმნა და პირველად იბეჭდება (მთარგმ.).

ტექსტი<sup>3</sup>, მე კი შუა საუკუნეების ლიტერატურის თარგმნას ვიყავი მიჩვეული; მესამე - ეს იყო იუმორისტული ნაწარმოები, მე კი მანამდე უპირატესად სერიოზულ და მძიმე - ეპიკურ, მისტიკურ ან მნიშვნელოვან დიდაქტიკურ ტექსტებზე მოვინჯე კალამი. შუა საუკუნეების სპარსულ პოეზიაში, რომელიც ინგლისურად ვთარგმნე, მართლაც იყო ორივედ სახალისო შემთხვევა. განსაკუთრებით მექორეფასება უარის პოეტის, რამიდის, ერთი ლექსი. ერთ-ერთმა უკრისწულმა სამეფო კარიდან, სადაც რამიდი მსახურობდა, ჰკითხა მეორე პოეტს - ამა ყს, რა აზრისა იყო რამიდის ლექსებზე. ამა ყმა უპასუხა, რიგაინია, მაგრამ უმარილოთ, ანუ საკმაოდ უხეროოა. ამა ყის უხალისო ქებით შეზავებული ბრალდების პასუხად რამიდი დაწერა ლექსი, რომლის ჩემ-ული თარგმანი ასეთია:

You say my verse lacks salt - perhaps its true,  
My verse is sweet as sugar-cane and honey  
And salt should not be added to these two.  
Look, pimp - salt's good for beans and turnip stew,  
The kind of muck served up as verse by you.<sup>4</sup>

თუმცა ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათი იყო: მე იუმორისტული ლიტერატურის ასპარეზზე დიდად არ გავრჯიღვარ, რადგან ეს ამოცანა უმადური და ძნელე მერყენოდა. თუკი ტრაგედია და ეპოსი შეიძლება, უნივერსალური სახე ჰქონდეს, კომედია ხშირად იშვიათივე კულტურის მიერ არის დაღდასმული. ცხადია, რაც უფრო დაღდასმულია ტექსტი კულტურის თვალსაზრისით, მით უფრო ძნელია მისი სხვა კულტურაში, სხვა შესაბამისულში ამტყვევლება.

ამ შორე, შექსპირის დრამები განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითებია: მისი ტრაგედიები იდგებიან ყველგან და ურიცხვ ენაზე; გაუძლებს ნებისმიერ ინსცენირებას, რაც არ უნდა ექსცენტრიკული ან მოსაწყენი იყოს. მეორე მხრივ, მის კომედიებს სჭირდება ვარსკვლავური მსახიობები, შესანიშნავი მუშაობა სცენაზე, რათა ოდნავ მაინც თავმჯაქვევი აღმოჩნდეს. რაც ელისაბედურ ეპოქაში ტრაგიკული ჩანდა, ჩვენთვისაც ტრაგიკულია. რაზეც მათ ეციინებოდა, ჩვენ მხოლოდ აბა-იქ თუ გაგვეღიძება. არსებობს მისი ტრაგედიების წარმატებული იტალიური და რუსული ეკრანაზაციები, მაშინ, როცა კომედიები, თუკი საერთოდ გადაღებულა, გადაღებულა მხოლოდ ინგლისურ ენაზე. შექსპირის კომედიებში კულტურული დამლის ერთი ასპექტი ძალზე მკაფიო - აქ იუმორი უმალ ვერბალურია, ვიდრე სიტუაციური. ამის საპირისპიროდ, შექსპირის პიესებში ტრაგიკული ელემენტი უპირატესად სიტუაციურია: გადმოცემი შექსპირის პიესის სიუჟეტი და ცხადი შეხედება, რომ საქმე ტრაგედიასთან გაქვთ. ხოლო, თუკი ყველაზე ცნობილი კომედიების სიუჟეტს მოჰყვები, თავისთავად სასაცილო არ იქნება. ყველაზე ცნობილი-მეთქი,

ვთქვი, რადგან დანარჩენ, ნაკლებ პოპულარულთაგან, ზოგიერთის კომედიურობა იმდენადეა დამოკიდებული სიტუაციაზე, რამდენდაც ენაზე. საკმარისია აღიწინოს, რომ სწორედ ასეთი ადმირანდნი სიცოცხლოსუნარიანნი, როცა სხვა მედიაში გადაინაცვლეს: „შეცდობათა კომედია“<sup>5</sup> - „სირაკუზელ ბიჭებში“<sup>6</sup>, „ჭირველის მორეფლება“<sup>7</sup> - „მაკოცე, ქეთიში“<sup>8</sup>, „უნიძორელის მხიარულბა ქალებმა“<sup>9</sup> - ვერდის უკანასკნელ ოპერ „ფალსტაფში“. შექსპირის ეს შედარებით მეორეხარისხოვანი კომედიები, რომლებშიც ძირითადად ეფექტი აბსურდულ სიტუაციებსა და სტერეოტიპულ კომიკურ პერსონაჟებს ეფუძნება, კარგად დამორჩილა მუსიკალურ გადამუშავებას, მაგრამ ისეთი დიდებული კომედიებს, როგორც იცნობა: „მეთორმეტე ლამე“ და „როგორც გენებო“, სადაც ეფექტები ენის სიმდიდრის წყალობით იქმნება, კომპოზიტორებს შორის უმეტერი არ გამოუჩნდა. ერთადერთი გამონაკლისი მაგონდება, რამელიც მხოლოდ ადასტურებს ნებს - ბენჯამინ ბრიტენის ოპერა, რომელიც „ზაფხულის ღამის სიზმრის“ მიხედვით შეიქმნა, მხოლოდ იმიტომ არის ოსტატობის არაჩვეულებრივი გამოვლინება, რომ, 1695 წლიდან, ანუ ჰენრი პერსელის გარდაცვალებიდან მოყოლებული, ბრიტენი ინგლისური პოეზიის ყველაზე უფრო მგრძობიარე მუსიკალური გარდამქმელი იყო. ის გახლდათ ერთადერთი მუსიკოსი, ვისაც შესწევდა უნარი, სიტუაციაზე მეტად, ენას დაჰყრდნობდა.

კომედია, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთი პიროვნების სხვა პიროვნება მიღება, იაფფასიანი ფარსი, სტერეოტიპული პერსონაჟები (ავტორი ბებრუხანაკაცები, მკვებნარ, მაგრამ მშობარა ჯარისკაცები, ირვენიუები, ძველმოდური მშობლები, რომლებიც დაბრუნლებებს ქმნიან), ანუ სიტუაციის კომიკურობა, - საყოველთაოდ გაგებია და დაფასების გაცილებით მეტ შანსს აქვს. ამდენად, იგი სხვა ენასა და მედიასაშუალებაზე უფრო იოლად ითარგმნება, ვიდრე კომედია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, რომელიმე ენას ან მის ეფექტებს ეყრდნობა. იმისათვის, რომ „როგორც გენებო“-ის ხუმრობების უმეტესობა გაიგოთ, საკმაოდ კარგად უნდა ფლობდეთ ელისაბედის ეპოქის ინგლისური მაგრამ ავტორი ბებრუხანა ფალსტაფის ქუჭყანი თეორიულს გადორში ჩაჯარდნა მაშინვე ისეთივე სიცოცხა და მხიარულებას ინევს, როგორც როსინის ოპერებში შექმნილი ფარსული სიტუაციები.

რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს ირაფ ფეხემქაშაის სატირულ რომანთან „ბიძაჩემი ნაპოლეონი“, რომელშიც აღწერილია 1930-40-იან წლებში თიერანში მცხოვრები უსადაზოკა ოჯახი, არისტოკრატიზმზე რომ დებს თავს? თუ სიმართლე გენებათ, ამ კითხვას არაერთი პასუხი მოუძებნება.

ეს არის ყველაზე პოპულარული კომედიური რომა:

3 „ბიძაჩემი ნაპოლეონი“ წიგნად 1973 წელს გამოიცა, მანამდე ნაკვეთებად იბეჭდებოდა ყოველკვირულ ჟურნალ „ფორდოსიში“.

4 ოპიედ ას-საიდ რამიდისა და ამირ ამა ყის პაექრობის ეს ამბავი მოთხრობილია ნეზამი არუზი სამარყანდის (მე-12 ს.) „ოთხ საუბარში“, კერძოდ, მეორე ნაწილში „ლექსის ხელოვნების არსისა და მელექსეთა ოსტატობის შესახებ“. დღეივისის თარგმანი ორიგინალის შესანიშნავი ორეულია. დედანბი:

„ლექსები ჩემი უმარილობით დიანოუნე. იქნებ ასეა. ჩემი ლექსი შაქარია და გოლეული. ორიდან არც ერთს არ უხდება მარილის მოყრა. შენი სიტყვა თალგამია და ოდენ ბარდა. მარილი, შე ოღრაპო, შენ მოგიხდება“.

5 ჩირანდ როჯერსის მიუზიკლი, ლორენც ჰარტის ტექსტზე, რომელიც პირველად 1938 წელს დაიდგა ბროდვეიზე.

6 კოლ ქეთიის მიუზიკლი (1948).

ნი, რაც კი ოდესმე დაწერილა ირანში. 1970-იანი წლების დასაწყისში, წიგნის გამოქვეყნების შემდეგ, მის საფუძველზე 17 ეპიზოდური სერიალი გადაიღეს, რომელიც, თავის მხრივ, ყველაზე პოპულარულ სერიალად იქცა, რაც კი ოდესმე უჩვენებია ირანის ტელევიზიას. ოდნავ თუ აზვიადებდნენ, როცა ამბობდნენ, მისი ტრანსლინგებისას თიერანში სიცოცხლე კვდებოდაო - ყველა შინ იყო და „ბიძაჩემ ნაპოლეონს“ უყურებდა. მაშინ თე-ირანში ვცხოვრობდი და მაგონებდა, რომ ჩემი ცოლის ოჯახში ორობდე სერიის ფრაგმენტები ვნახე. ნათესა-ებს დიდი აღფრთოვანება ვერ შეეპყვებოდა იმის გამო, რომ სერიალს უყურებდი. მიზეზი გაეარკვიე - სიუჟეტის იუმორის დიდი ნაწილი ინგლისელების მიმართ მთავარი პერსონაჟის აკვიანტებულ სიძულვილებზე იყო აგებული; მის მტკიცებაზე, რომ ყველაფერში, რაც ირანში ხდებოდა, ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის ფარულ ხელი აშკარა იყო. ჩემი ცოლის ოჯახის ზოგიერთი წევრი მაინც, სავარაუდოდ, თავადვე დარწმუნებული გახლდათ ანაში. სულ მიკვირდა, ასე არანახულად პოპულარული ნაწარმოები რატომ არ იყო თარგმნილი ინგლისურ არ რომელიმე სხვა ენაზე. 1979 წელს, სწორედ ისლამური რევოლუციის წინ, როდესაც ირანი დაეტოვებოდა ბოლოს და ბოლოს „ბიძაჩემი ნაპოლეონს“ წაკითხვა მოუხერხებ, მაღლები გაავსებდნენ, რატომ არ მოაუწყენდა მას მთარგმნელი. იუმორი აქ იმდენად ფეხდნებოდა ენასა და ლინგვისტურ რეგისტრებს, მისი სხვა ენაზე გადატანა ისე, რომ ახალ ენაზე გულისგამაძვირებელი საკითხავი არ ყოფილიყო და ორიგინალის ერთგულედაც შეენარჩუნებინა, შეუძლებელი ამ თითქმის შეუძლებელი ჩანდა. ერთი სიტყვით, როგორც ის ფრანგული გამოანთქვაში ამბობს, რითაც დღევანდელი ჩემი საუბარი დავიწყე, თან ლამაზი ყოფილიყო, თანაც - ერთგული. რომანი, ვარკვეულ დონეზე, ყოველ შემთხვევაში, მისი ყველაზე სასაცილო მომენტები უთარგმნელი ჩანდა, იმდენად საზრდოობდა დაბალი ფენებისთვის დამახასიათებელი დიალექტური მეტყველებით, სიტყვა-თა თამაშით, სარკასტული მინიშნებით კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაზე, ჩახლართული ქარაგმებით, სპარსული მეტყველების ეტიკეტითა და თავაზიანი საუბრის ფორმულებით.

მაგრამ, მეორე მხრივ, ფარსულ ვითარებას აქვს უნარი, ფარსადვე გამოიყურებოდეს, როგორ კულტურულ შესამოსელშიც არ უნდა იყოს გამოხვეული. ეს წიგნი კი სასვე იყო ფარსით. მეტიც, მასში მშვენიერი კომედიური სტერეოტიპები აღმოვაჩინე - აბსურდული, გაბუნძილი, სასაცილო და უკიდვანოდ ჩერჩქტი ტიპები, როგორებიც როსინის ოპერაში ან იმ კომედიურ რომანებშია, ინგლისურად რომ წარმატებით ითარგმნა. მაგალითად, იაროსლავ ჰამშეის „გულადი ფარისკაცი შეიკი“ - ამ თომას მაინის „ვანატორული ვეჯის კრულის აღსარება“. რომანი სექსითაც სასვე იყო - არა იმდენად სექსუალური სცენებით, რომლებიც იქ საერთოდ არ არის, რამდენადაც სექსით - ერთგვარი ყმაფილური შეყვრობილობით - მისი დამაბრკოლებელი გარემოებებითა და ცდუნების შესაძლებლობით. ყველა კულტურაში, რომელთანაც შეხება მქონია და, ალბათ, უზანტის ყველა კულტურაშიც ასეა, სექსუალური სიამოვნება და დაბრუნება, რომელსაც საზოგადოება აღმართავს მისი მიღწევის გზაზე, სახალხო კომედიისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. რომანის კითხვის პროცესში ვფიქრობდი ხოლმე, როგორი სასაცილო იქნებოდა ეს ინგლისურად ან ნებისმიერ სხვა ენაზე. ამავე დროს, და-ვიხანე, როგორი მოუხელეთებელი, სხარტ, კულტურუ-

ლი მინიშნებებით გაჯერებული იყო ამ რომანის თავისებური ენა, განსაკუთრებით, დიალოგი - ასეთი თიქ ძალიან ბევრია; და მე მართლაც ვერ ვხვდებოდი, როგორ უნდა გადმოტანილიყო ეს გაჯერებულობა.

მაგრამ რომანს თავს ვერ დავეხერხებ. უფრო სწორად, ის არ დამანებებდა თავს. როცა ჩემ მიერ თარგმნილი შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის შედარებით კარგი რეალიზაციით შეგულისხმებულმა გამოცემებმა მკითხა, ხომ არ დავინტერესდებოდი თანამედროვე რომანის თარგმნით, და, თუ დავინტერესდებოდი, რომელს ვარჩევდი, მაშინდა გავკადნიერდი და ვცადე, „დაი-ჯან ნაპოლეონ“ ინგლისურად „My Uncle Napoleon“-ად გადმომეტანა. უკვე სათაურმა დამახანა-ვა, წინ რა ვასაჭირო მელიოდა. „დაი“ დედის ძმას ნიშნავს, „ნაპოლეონ“ - ცხადია, ნაპოლეონს. მაგრამ ინგლისურში არ არსებობს „ჯან“-ის შესატყვისი სიტყვა, რომელიც ამ კონტექსტში ბუნებრივად გაიფიქრებდა. სიტყვისიტყვით ის „ასულ“ ნიშნავს და სასაუბრო ენაში სააღერსოდ გამოიყენება. ასე რომ, შეიძლებოდა მისი „ძირფას“-ად გადმოტანა. და მეც დავიწყე თარგმნა სა-მუშაო სათაურით „ძირფასი ბიძია ნაპოლეონი“ (Dear Uncle Napoleon). მაგრამ ეს ისე ჟღერს, თითქოს რომანი ვინმესთვის მინორილი ვრცელი წერილი ან ეპისტოლეა ლიტერი რომანი იყოს. ის კი ასეთი არ არის. სათაურში გამოყენებული ეს სიტყვა ნათესაურ პატივისცემას უფრო გადმოსცემს, ვიდრე თანახმობა დამოკიდებულებას. „ჯან“-თან დაკავშირებული სიტყვებით გადაუჭრელი ჩანდა, ამიტომ შევჩერე „ბიძაჩემ ნაპოლეონზე“ („My Uncle Napoleon“) - ვარგულად აღსკობად ახლო, საკმოდ გამართლებულ, თუმცა არა სრულად ერთგულ ვარიანტზე. ეს უთავალივი ლინგვისტური პრობლემის მხოლოდ დასაწყისი გახლდათ.

რალაც თვალსაზრისით, ეს რომანი თავად ენება ერთგვარ თარგმანს, კულტურულ გადმოღებას და მასობრივ გაუგებრობებს, რომელიც ამას შეიძლება მოჰყვეს. რა თქმა უნდა, „თარგმანში“, სიტყვისიტყვით, „გადმოტანას“ ვგულისხმობ. აქ ნაპოლეონის პიროვნების, უფრო ზუსტად, ნაპოლეონის შესახებ არსებული ლეგენდის სპარსულ კულტურულ კონტექსტში გადმოტანა მოხდა და შემდეგ, აუტორის ნყალობით, ისეთი ფანტასტიკური და აბსურდული გზებით განვითარდა, საფრანგეთის ისტორიისთვის რომ უცნობია.

რომანში მოქმედებს 1930-იანი წლების ბოლოს და 1940-იანების დასაწყისში ვითარება. სათაურში ნახსენები ნაპოლეონი ჟანდარმერიის ვადადგარი ოფიცერი, რომელიც ახალგაზრდაში ირანის სამხრეთში ამბოხებელი ყანალების მცირე ჯგუფებთან ხანმოკლე შეტაკებებში მონაწილეობდა. მის ბაქიბუქა წარმოსახვაში ეს შეტაკებები იქცა ძლევაგმოსოდ ბრძოლებად, რომლებიც საგრძნობლად ეხვევა ნაპოლეონის მთავარ გამარჯვებებს. ბიძია ნაპოლეონმა არა მხოლოდ შესისწავლა ნაპოლეონის ცხოვრება, არამედ ის თავის ცხოვრებებშიც ინველად ვაიხადა. მისი განქორწინებისთვის ნიშნულად ნაპოლეონის გაყრა იქცა. მან თავი დაიწინაშა, რომ იმ ყანალების უკან, რომლებსაც ბრძოდა, რეალურად ბრიტანეთის იმპერია იდგა. ახლა იგი საკუთარ ვატერლოოსა და ინგლისელების საბოლოო შეხანაოებას ეწეოს.

ბიძია ნაპოლეონის წარმოსახვას მისივე მსახური, მამყასემი, აქეზებს, რომელიც ანტიკიტებს (თანაც სრულიად უსაფუძვლოდ), რომ ბიძია ნაპოლეონის სამხედრო შერკინებებს პირადად ესწრებოდა, კვერს უკრავს ბატონის ნებისმიერ დაჯიბუქსა თუ მტკნარ სიცურეს და

კიდევ უფრო დაუფერებელი გაზვიადებებით „ამყარებს“ მათ. მამუკასემიცი და რწმუნებული ინგლისელების გაუ-  
ნელელებელ სიძულვილში თავისი ბატონის მიმართ.

ბიძია ნაპოლეონი თეორანში, მემკვიდრეობით მი-  
ღებულ სახლების კომპლექსში მცხოვრები დიდი ოჯა-  
ხის თავკაცი. ერთ-ერთ სახლში მისი დღს ოჯახის ცხოვ-  
რებს. და თავისზე დაბალი წარმომადგენლის კაცზე  
გაბოხდა. მის ქმარს, ბიძია ნაპოლეონისგან დაბალი  
გვარიშვილობის გამო დაბრწყვეტულს, სულით ხორ-  
ცამდე სძულს საკუთარი ცოლისძმა და ხელსაყრელ  
შემთხვევას არ უშვებს, რათა ბებერი სულელის ნაპო-  
ლეონობაზე პრეტენზიები გაამხასხაროს. რომანის უსა-  
ხელო მითხრობელი ბიძია ნაპოლეონის დისწული, თი-  
ნოეჯკერი ბიჭია, რომელსაც თავისი 14 წლის ბიძაშვილი  
ლილიო უყვარს. ამ განუყრელი შეყვარებულების მშობ-  
ლების დაუძინებელი მტრობა - ხან აშკარა, ხან კი, ოჯა-  
ხის ყალბი ერთიანობის გამო, შენედა - მთავარი  
დაბრკოლებაა, რომელიც მათ სენივარულს გზაზე ელო-  
ბება.

რომანში კომედიური პერსონაჟებისა და სიტუა-  
ციების მთელი წყებაა. ნაპოლეონში იოლი ამოსაცნო-  
ბია რომაული და მექსიკური კომედიების დიდებული  
დღეიონერი - ჯარისკაცი, რომელიც დაუსრულებლად  
იგონებს წარმოსახვით სამხედრო გმირობებს, სადაც  
თავს მუდამ საუკეთესო სახით წარმოადგენს. ბიძია  
ნაპოლეონს კიდევ ერთი, ცნობილი კომედიური რო-  
ლის ეკისრება - შეყვარებული ახალგაზრდ ქალშივი-  
ლის მამა-ტირანი, მამა, რომელიც მკაცრად ეწინააღ-  
მდეგება ქალშვილის რჩეულს. ბიძია ნაპოლეონის ურ-  
თერთოება მსახურთან, მამუკასემთან, ასევე, არ არის  
მწელი ამოსაცნობი - იგი დონ კიხოტეა - დიდგვაროვან-  
ნი მეოცნებე, რომელსაც თავისზე უფრო დიდი გმირე-  
ბის შესახებ წიგნების კითხვამ ტყინი აუღვივია; მას  
ახლავს უფრო მინიერი და მორჩილი მსახური. მამუკა-  
სემი, მართალია, საწყო პანასახები, ვიცოცხლებთ უკეთ  
ერკვევა ყოველდღიურობაში, მაგრამ, მისგან განსხვავ-  
ებით, შეიძლება ითქვას, უფრო მიდრეკილია აბსურ-  
დული სამხედრო ფანტაზიებისადმი, ვიდრე ბებრუხა-  
ნა, რომელსაც ემსახურება. ბიძია ნაპოლეონსა და მის  
სიძეს შორის არსებული კლასობრივი მტრობაც და ამ  
უკანასკნელის შურისძიების წყურვილიც კომედიის  
ერთ-ერთი შტამია.

ამ ორი ნათესაური ოჯახის გარემოცვაში უამრავი  
კომედიური პერსონაჟი მოგხვდებათ თვალში. აქ არის  
გონებასუსტი გოგონა, რომელიც დაოსრულებდა. ოჯა-  
ხის სახლის შესაწარმუნებლად, ეს გოგონა ნებისმიერი  
გზით უნდა გაათხოვოს. მისთვის გამოქმენილი საქმრო  
კიდევ უფრო დაბალი სოციალური ფენიდან აღმონდ-  
და, ვიდრე მთხრობლის მამაა. ამ მხიარული გაიძვერასა  
და მასავით მხიარული ამორალური დის შემოსვლა ბი-  
ძია ნაპოლეონის კუდაბიჯა და პრეტენზიულ ოჯახში  
წინათარება გვირანა იაფფასიან ფარსად აქცევს. აქვეა  
ახილო, მოძალადე ცოლი, რომელიც თავის ვი-ლოვე-  
ლას ქმარს იბრყვებს; ერთ ღამეს, იმავე განზრახვით,  
რაც ბობიტს<sup>7</sup> ჰქონდა, სამზარეულოს დანას საწოლში  
თან შეიკოლებს. ხელმოცარული ლოველასის ლტოლ-  
ვის ობიექტუ უზნის ყასბის ახალგაზრდა, ღამაზი ცოლი  
აღმონდება. რომანის ღამის ყველა მამაკაცი პერსო-  
ნაჟი ცდილობს, ადრე თუ გვიან, ეს მომხიბვლელი ქალი  
ლოგიონის ჩაინიწნოს. თავად ყასბი ისეთია, როგორც

ასეთ რომანში იყო მოსალოდნელი - თავგანდაპირულ  
გოლიათი, სეირონებანი და სასტიკად ეჭვიანი. აქვეა  
მთხრობლის მთავარი მეტოქე სიყვარულში - ფური-  
ისიცი მისი ბიძაშვილი, არქტიპული ბოთე, სკოლაში ბე-  
ჯითი და ცხოვრებაში ბრყვი, რომელიც მუდამ ცდი-  
ლობს, რომ პრობლემა შექმნას და აზრზე არ არის, რა  
ხდება ამ ვრობი:

მეორე რიგის პერსონაჟთა შორის უმთავრესია  
მთხრობლის ბიძა, ასადლა მირზა. ფაქტიზროვად, მას  
მიჰყავს რომანი და, უდავლო, სწორედ ის გახლავთ ირან-  
ში რომანის არნახული წარმატების ერთ-ერთი მთავარი  
მიზეზი. ასადლა კეთილი, ჭკვიანი, ჰუმანური, სრუ-  
ლიად ამორალური ცინიკოსია. სამომავლის კაცია, რო-  
მელიც ჭიანჭველასაც არ დაადგამს ფეხს, ანუ სენტი-  
მენტალური კომედიის პოპულარული კლიშე - მეძვი-  
რეთროს ყულით - მამრობითი ვარიანტია. საგარეო საქ-  
მეთა სამინისტროში მუშაობს და დახვეწილ კოსმოპო-  
ლიტად წარმოგივდება. „საბარაში“ უცხო სიტყვების,  
განსაკუთრებით ფრანზის, კომენტ, მომენტ“ გამოყენე-  
ბა უყვარს, რითაც მოუნოდებს სხვებს, მეჩრდენდ და  
დაფიქრდენდ მანამ, სანამ ნაბიჯს გადადგამენ. იგი წარ-  
მატებით აცდუნებს ზემოსიხეობელი ყასბის ცოლს და  
ფიქრობს, რომ ცდუნება, ზოგადად, სექსი ამქვე-  
ნად სწეულებათა უმეტესობის მკურნალია. ვინაიდან ამ  
საზოგადოებაში არ არის მიღებული სექსის პირდაპირ  
სხელება, ასადლა ეგვიზიზმად „სან ფრანცისკოს“ იყე-  
ნებს. როგორც გულწრფელი ცინიკოსი, რომელსაც გარს  
ენამჭვერი თვალმატეციმ ახვევია, ის ყველას შოკში  
აგდებს, თუმცა ყველას ფარულ აღტაცებას იწვევს, ყე-  
ლა შურს მისი.

მთხრობელი, მეოცნებე ქაბუკი, თავისი უიმედო სიყ-  
ვარულის ამბავს ასადლა მირზას გაანდობს, რომე-  
ლიც ურჩევს, რომ განსაკურნებლად „სან ფრანცისკო-  
ში ჩაირბინოს“; ცინიკოსობისა და იმის მიუხედავად,  
რომ ბიჭის სიმორცხვე აღიზიანებს, თავისი ფთის ქვეშ  
შეიფარებს და გულწრფელად ცდილობს, დაეხმაროს  
მას.

რომანში სხვა უამრავი კომედიური პერსონაჟი  
სიტუაციაა, რომელთა რიცხვი ერთი-ორად იზრდება,  
როდესაც ბრიტანელები ირანში შეიჭრებიან - რაც 1941  
წელს მართლაც მოხდა. ეს ისტორიული ფაქტია. ბიძია  
ნაპოლეონი რწმუნდება, რომ ამ ქმედების მთავარი მი-  
ზანი პირადად მისი მოხელეთებაა.

ალბათ, მოგახერხებ, ზოგად წარმოგენა შემექმნა  
თქვენთვის იმის თაობაზე, რომ დასავლეთი აუდიტო-  
რისთვის კომედიური მასალის დიდი ნაწილი მთლიან  
ნობაში გასაგებია. რაზან ყველაწილორ ასე მშვენიერ-  
დაა, რომანის ან მისი უდიდესი ნაწილის თარგმანას თითო-  
ქის რაღა უნდა ედგას წინ?<sup>8</sup> ყოველ შემთხვევაში, სო-  
ტუციები და გმირები ისეთ ელემენტებდა იკითხებ,  
რომელთა სხვა კულტურაში დიდი დანაკლისის, გადას-  
ხეაფერების ან ახალ აუდიტორიაში გაუგებრობის გა-  
მონვევის გარეშე გადატანა სასეხებით შესაძლებელია.

თუმცა ჩემი რეკომედა იმის თაობაზე, რომ ბრიტანე-  
ლებმა 1941 წელს ირანი მართლაც დაიპყრეს და ეს მხო-  
ლოდ ამ რომანში მოცემული ფიქტია არ გახლავთ, უკვე  
მინიშნებაა პოტენციურ პრობლემაზე. ყველა ირანულ  
ნა ციკს, მაგრამ თითო-ორთა დასავლელს თუ მოეზ-  
სენება, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანე-  
ლებმა ირანი დაიკავეს. ეს ფაქტი ჩემთვისაც უცნობა

7 იგულისხმება ლორენა და ჯონ ბობიტების განმარტებული ამბავი, რომელიც 1993 წ. მოხდა. ღამით ცოლმა მძინარე  
ქმარს სამზარეულოს დანით სასქესო ორგანო მოაჭრა.



იყო, სანამ ერთხანს ირანში არ ვიცხოვრე. კიდევ უფრო ნაკლებმა დასავლელმა მკითხველმა იცის, რომ ბრიტანელებმა პირველი მსოფლიო ომის დროსაც მოახდინეს ირანის ოკუპაცია; რომ 1907 წელს ბრიტანეთმა და რუსეთმა ერთმანეთთან გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის ძირითადი არსიც ირანის გავლენის სამ სფეროდ გაყოფა იყო: ჩრდილოეთი - რუსეთს, სამხრეთი - ბრიტანეთს, ხოლო შუა ნაწილისთვის ირანელებს შეეძლოთ, „თავისი“ ეწოდებინათ. მხატვრული ლიტერატურის დასავლელი მკითხველი, ალბათ, არც იმას უწყობდა, რომ ამ ხელშეკრულებამ წერტილი დაუსვა ბრიტანეთ-რუსეთის საუკუნოვან კინკლაობას ირანზე კონტროლის დაწესებისთვის; რომ მეცხრამეტე საუკუნეში ირანი ორივე ამ სახელმწიფოს ებრძოდა, მათმა იქ ყოფნამ და მეტოქეობამ საგრძნობლად იმოქმედა ქვეყნის შიდა პოლიტიკაზე და თითქმის ყველა ირანელი ალაშფოთა, ვისაც იოტისოდენა პატრიოტიზმი ან საზოგადოებრივი ცნობიერება ჰქონდა შერჩენილი.

ამ ისტორიის გათვალისწინებით, რომელიც ირანის მთელი განათლებული საზოგადოებისთვის დეტალურად თუ არა, ზოგადად მაინც ცნობილია, ბიძია ნაპოლეონის აკვიატება ბრიტანელებთან დაკავშირებით, მათთან ბრძოლაში ვითომ გამოჩენილი გმირობები მხოლოდ იდიოსინკრანიაა როდია. ის უფრო ღრმა შინაარსს იძენს - მას სხვებზე იზიარებენ. ბრიტანელების მიმართ მისი უშრეტე ეჭვიანობა მოტივირებულია რეალური ისტორიული მიზეზებით და გაზიარებულია ბევრი მისი თანამემამულის მიერ. ბიძია ნაპოლეონის სურვილი, ფარული, შეუბრალებელი კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლად გამოჩნდეს, უკვე აღარ არის უბრალოდ აბსურდული, ის უკვე ხალხური წარმოსახვის ხასიათს იღებს, იმ კოლექტიური სურვილის ასრულებას ემსგავსება, რომელიც უცხოური ექსპლუატაციის ბნელ დროებაში კაცს თავის გამწვანების საშუალებას აძლევს. ბრიტანელების სიძულველი მისი ახირება არ არის; ინტერვენციაზე მისი რეაქცია შემოიღობა უბრა-

ლო აკვირდება არ არის; არც მისი რწმენა, რომ სიძის მდგომარი ინდივიდი ბრიტანელების ჯაშუშია, უბრალო სულელური პარანოია არ არის.

მაგრამ, რასაკვირველია, თუნდაც უბრალო პარანოია იყოს, ის მაინც პარანოიაა, მიუხედავად იმისა, რომ მას საფუძვლად ისტორიული სინამდვილე უდევს; ბიძია ნაპოლეონის ეჭვები აბსურდულია; სხვას რომ თავი დაეხანებოთ, მისი გმირობები წმინდა წყლის ფანტაზიაა. თუმცა, როგორც კი ამ წიგნის სოციალური და ისტორიული კონტექსტის გაეცნობიერებას იწყებ, აშკარა ხდება, რამდენად ძნელი შესამჩნევია ეს პარანოია, აბსურდულობა და ფანტაზიები. ეს არ გახლავთ უსაფუძვლო, მხოლოდ ერთი კაცის შემოხალი მსოფლადქმის შედეგი, როგორც საქმეში ჩაუხედავ არაირანელ მკითხველს ეჩვენება. ეს ყველაფერი მართლა მიღებულია, ფესვგადგმულია, ნამდვილი ისტორიული ვითარებებიდან იღებს სათავეს. ფაქტობრივად, ამ აკვირებული აზრების ტრაგიკომიკური შედეგები იმდენად ფეხმოკიდებულია, იმდენად საყვედლოა, რომ ირავ ფეხშეშხადმას საჯაროდ განაცხადა: რომანის გამოქვეყნების შემდეგ მას თურმე ხშირად მიმართავდნენ დადამინები, რომლებიც ეკითხებოდნენ, ასე ახლოს საიდან იცნობდით მამაჩემს, ბაბუაჩემს ან ბიძაჩემსო - იმდენად იყვნენ დარწმუნებულები, რომ მათი ნათესავი ბიძია ნაპოლეონის პროტექტორი უნდა ყოფილიყო. ბიძია ნაპოლეონი მართლაც უშურველად დახატული კომიკური კარიკატურაა. თუმცა, თუკი დასავლელი მკითხველის თვალში ის მთლიანად გამოგონილია, ბევრი ირანელისთვის ნაცნობი ფენომენია ოდნავ გაზვიადებულია. ბევრ ოჯახს ჰყვია და ჯერაც ჰყავს თავისი ბიძია ნაპოლეონი - ადამიანი, რომელიც დაუსრულებლად უტირალებს შეთქმულების თეორიებს დასავლეთის დომინირების თაობაზე; ვინც საკუთარ თავს იმ ერთადერთ ადამიანად მიიჩნევს, რომელსაც რეალურად ესმის დასავლური მუხანათობის მეფის მასშტაბი და სიღრმე, ბრიტანეთის ნაცვლად დასავლეთის თქმას ვამჯობინებ, რადგან, რა თქმა უნდა, აშშ-მა ამჟამად დიდწილად ჩაანაცვლა ბრიტანეთი, როგორც სახიფათო და დემონიზებული უცხოური ძალა, რომელიც ძირს უთხრის ყველაფერს, რითაც ირანი აღფრთოვანებას იწყებს. თუმცა უფროს თაობაში კიდევ მოიძებნებიან ადამიანები, ვინც ჯერაც დარწმუნებულია, რომ ყველაფრის - ისლამური რევოლუციის, ირან-ერაყის ომის თუ ყურეში „უდაბნოს ქარიშხლის“ ეგიდით აშშ-ს შეჭრის - უკან ბრიტანელები დგანან.

გადაუტარებლად შეიძლება ითქვას, რომ რომანის ავტორისთვის ეს ასპექტი ყველაზე მნიშვნელოვანია, თუნდაც ის დასავლელ მკითხველთა შემტყობისთვის შემუშავებული დარჩეს. ფეხშეშხადი რეცხვას მიმონერება და სატელეფონო საუბრებში ხაზს უსვამდა, რომ რომანი სპეციალურად დანერა, რათა ეს პარანოია გაე-მასხარაგებინა; ცდილიყო, თავისი თანამემამულეები გაეცინებინა საზოგადოებაში ფესვგადგმული შეთქმულების თეორიების გამო, დაერწმუნებინა ისინი, უკუ-ეგოთ ეჭვები დასავლეთის ფარულ ხელზე. მაგრამ ასეთი ძლიერ, დამკვიდრებულ ფოლკლორს სიცოცხლისუნარიანობა ახასიათებს, ასე იოლად არ დათმობს საზოგადოებაში გაბატონებულ შოკისთვის. ბიძია ნაპოლეონის შემთხვევა ირანში დიდად არ განსხვავდება არჩი ბანქერის<sup>8</sup> შემთხვევისგან აშშ-ში. როგორც გამო-

კითხვამ გამოავლინა, აუდიტორიის დიდი ნაწილი მის რასისტულ, სექსისტურ და, ზოგადად, უმნიშვარ ტრადებს უნდა თავის მოსაზრებებთან აიგივებდა, ვიდრე სასაცილოდ მიიჩნევდა მას. ასევე, ბევრი ირანელი გულში ფიქრობდა, რომ ბიძია ნაპოლეონი მართალი იყო - ყველაფრის უკან მართლაც ბრიტანელები იდგნენ. ამ უცნაური შეპყრობილობის გამაღვიანებელი და სიურრეალისტური გამოცდილება მეც მაქვს. ჩემს ირანელ სტუდენტებს ოპიათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ესტუმრა მამა, რომელიც მარწმუნებდა, დანამდვილებით ვიცი, რომანი ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურმა დაწერა, შემდეგ ფეხშეშხადს გულუხვად გადაუხადა, რათა მას თავი აეჭირა და გაესაღებინაო. ის ფაქტი, რომ მე, ინგლისელი, რომანს ვთარგმნიდი, თვალნათლივ ადასტურებდა - ყველაფერი ინგლისელების ფარულ ეგემო იყო. მათ სურდათ, დაერწმუნებინათ ირანელები, არ დაეჯერებინათ ის, რაც საყოველთაოდ ცნობილი სიმართლე იყო - დასავლეთი, კერძოდ, ბრიტანელები, რეალურად ფარული ხერხებით აკონტროლებდნენ ირანის ბედს!

არა, ბატონებო, ფეხშეშხადის ბიძია ნაპოლეონი უბრალოდ ფიქტია როდია, არც მკვდარი გახლავთ - ის ნამდვილია, ცოცხალია, საღ-სალამათი და ახლაც კი, როცა ჩვენ ვსაუბრობთ, დასავლეთის ვერაგულ მოღალატეობაზე წუხს.



რომანის ეს ასპექტები - თუ როგორ ეფუძნება იგი მთელ რიგ სპეციფიკურ სოციალურ და ისტორიულ გარემოებებს, თუ როგორ ჩაიფიქრა ის ავტორმა ერთი კულტურის შიგნით გაბატონებული შეთქმულების თეორიების სატირად - გახლავთ ის, რასაც თავად თარგმანი ვერ გადმოსცემს. ერთადერთი გამოსავალი არსებობს - წინასიტყვაობაში მკითხველს უნდა მივწოდო კულტურული ფონი და კონტექსტი, შიგადაშინ კი, ტექსტს შედარებით მსუბუქი შენიშვნები დაერთოს. ასეც მოვიქციე.

მაგრამ რჩება ენობრივი პრობლემა, რომელიც თავში ვასხენე, ანუ ის ფაქტი, რომ რომანი მეტწილად დამოკიდებულია არა სიტყვაციის კომიკურობაზე, არამედ ენობრივ ნიუანსებზე.

ზოგ ენობრივ ნიუანსს კულტურა განაპირობებს. ასეთია, მაგალითად, წესი, რომლის თანახმად, საუბარში, მით უფრო, შერეულ საზოგადოებაში, სექსის სხეულებს მხოლოდ ჩახლართული, ძნელად მოსახლთებელი პარაფრაზირებით შეიძლება. ეს წესი აშკარა რომანში, მაგრამ, ამასთან, ზოგიერთი პერსონაჟი, მაგალითად, სიამეთა მოყვარული კეთილშობილი სახიფათო მირზა, რომელიც ზემოთ ვახსენე, ატრიბუტებს მას. ზოგჯერ უბრალოდ სიტყვასიტყვით თარგმნით ადვილად ვარაუბარ მიიღწევა, მაშინაც კი, თუკი ვიღებთ ისეთ ფრაზას, რომელიც ინგლისურად მისიურად ვერ ამოიცნობა. მაგალითად, ასაღოლა მირზა, მას მეტე, რაც დამაკვიდრებს, რომ სან ფრანცისკო სექსუალურ აქტს აღნიშნავს, კიდევ უფრო შორს მიდის და მამაკაცის სასქესო ორგანოს „სან ფრანცისკოს ცნობილ კომს“ უწოდებს. სპარსულად და ინგლისურადაც საგვებით ნათელია, თუ რა იგულისხმება. კიდევ ერთი ტრადიციული ნაწილობრივ კულტურასთან, ნაწილობრივ - ენასთან ხოლო ნაწილობრივ იმასთან კავშირში, თუ როგორ აღიქმება კომედის უხარი ირანში. ეს გახლავთ უკიდურესად რთული, ჩუქურთმითიანი და გონებაშეხილურ

8 არჩი (არჩიზად) ბანქერი - 1970-იანი წლების ამერიკული ტელესერიალის „ყველაზე ოჯახში“ (All in the Family) პერსონაჟი.





ირაჯ პეზეშკზადი  
ბიძაჩემი ნაპოლეონი

თარგმანი  
დიკ დეივისი

წყველა-კრულვა პერსონაჟების კამათის დროს. ასეთი რამ კი რომანში ერთობ ხშირია. ზოგჯერ კვლავ სიტყვა-სიტყვითი თარგმანით გახეულ ფონს, მაგრამ ძალიან ხშირად სპარსული ლანძღვის სიტყვასიტყვითი ინგლისური თარგმანი აბდაუბდა გამოდის - ისეთი გამოთქმები, როგორებიცაა: „მამადამწვარი“<sup>9</sup> და „მკედრის განმზანველსაც ნაულისარ“ ინგლისურში დიდი შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. აქ მთარგმნელი იძულებულია, ისეთი ფრაზა გამოიძებნოს, რომელიც ბუნებრივადც ფლერს და სპარსულსაც რალაცნაირად აირეკლავს. მაგალითად, მე „მკედრის განმზანველი“ „მესაფლავეით“ ჩავანაცვლე, რადგან პირველს ინგლისურში დიდი კულტურული გამოძახილი არ ექნებოდა. ასევე „ნაულისარ“ ინგლისურში სუსტი გამოდის, ამიტომ მთელ ფრაზას ასეთი სახე მივეცი: „იმედია, მესაფლავეები ძალიან მალე მოგწვდებიან“ (I hope the grave-diggers get their hands on you in double-quick time). ეს არაა ბუნებრივი ინგლისური წყველა, მაგრამ ძარღვიან წყველასავით კი ფლერს. იგი გადმოსცემს მოქმელის რისხვასა და სასიონარკეთილს, ყოველ შემთხვევაში, ეხმიანება სპარსულ ფრაზას, ისევე, როგორც მის შინაარსს - ამ ფრაზის ადრესატის სიკვდილის სურვილის გამეტებით გამოხატვას.

თუმცა ყველაზე დიდი პრობლემა იყო სოციალური ფენებისა და ტემპერამენტის გადმოცემა ლინგვისტიკურ რეგისტრის მეშვეობით. რომანისტიებისთვის, რა თქმა უნდა, ეს ჩვეულებრივი ხერხია, მით უფრო, იუმორისტულ რომანებში. მაგალითად მოიყვან ალაბედზე არჩეულ დიალოგს დიკენსის „პიკიკის კლუბის ჩანა-

წერებიდან“:

„Mr. Weller,“ said Mrs. Craddock. . . „here’s a letter for you“.

„Wery odd that“, said Sam. „I’m afereed there must be somethin’ in the matter, for I don’t recollect any gen’l’m’n in my circle of acquaintance as is capable of writing one“.

Perhaps something uncommon has taken place,“ observed Mrs. Craddock.“

„- მისტერ უელერ, - მიმართ მისის კრედოკმა... აგერ, წერილია თქვენს სახელზე.“

-საოცარი! - თქვა სემმა, - ვაითო რამე უბედურება მოხდა, თორემ ჩემს ნაცნობ ჯენტლმენებს შორის არ მეგულებოდა არც ერთი, რომელსაც წერილის დაწერა შეეძლოს.


- იქნებ უჩვეულო რამ მოხდა, - შენიშნა მისის კრედოკმა.<sup>10</sup>

მისის კრედოკი სტანდარტული ინგლისურით ლაპარაკობს და ამით ვხვდებით, რომ საშუალო ფენის მიეკუთვნება. სემ უელერი სიტყვებს არასწორად გამოთქვამს და გრამატიკაშიც მოიყოჭლებს. ვასაგებია, რომ უფრო დაბალი ფენიდანაა. მაგრამ, ამავე დროს, იგი იყენებს საშუალო ფენისათვის დამახასიათებელ მაღალფარდოვან ფრაზას „ჩემი ნაცნობის წრე“<sup>11</sup>, თუმცა გრამატიკულ შეცდომას უშვებს. მაშინვე ვხვდებით, რომ ის დაბალი ფენიდანაა, მაგრამ არისტოკრატიულობისკენ მიისწრაფვის; საშუალო ფენაში ტრიალებს და, შეძლებისდაგვარად, მათ მეტყველებს პბაძავს.

9 ლანძღვა ერთგვარი - გარენარი, უკეთური

10 მერი იანკოშვილისა და ნათელა კეშელავას ქართულ თარგმანს ეფიონებ გამოცემიდან: ჩ. დიკენსი, „პიკიკის კლუბის ჩანაწერი“, წ. 2, თავი 37, პალიტრა L, 2014 (მთარგმ.).

11 დამონებული ქართულ თარგმანში ეს ნიუანსი არ ასახულა (მთარგმნ.).



„ბიძაჩემი ნაპოლეონის“ ავტორი ფეხშეშადი დიდოსტატია მსგავსი ლინგვისტიკური ნიუანსებისა, რომელიც მაშინვე განსაზღვრავს პროფენების არა მარტო კლასობრივ კუთვნილებას, არამედ მის ხასიათს, თუ როგორ აღიქვამს ის საკუთარ თავს დანარჩენ საზოგადოებასთან მიმართებაში. აი, მაგალითად, აზიხ ას-სალთანე, ანშხი ცოლი, რომელიც წელან ვასსენე. მოჭარბებული პრეტენზიული მანერებით, იგი საკუთარ თავს დახვეწილ, კულტურულ პიროვნებად მიიჩნევს, მაგრამ მეტყველებს მის ბიძაურ ენას, ბილნ კონტებსას, საზოგადოებაში მოქცევის ელემენტარული ნესების უცოდინარობას ყოველთვის ვასცემს. ასეთი მეტყველების თარგმნის სირთულე ისაა, რომ გიხდება კონკრეტული ადგილის კონკრეტული კლასის შეთავაზება. მაგალითად, არ არსებობს უნივერსალური დახვეწილი ინგლისური მეტყველება, ისევე, როგორც არ არსებობს უნივერსალური მდებარე ინგლისური - შეიძლება იყოს ბოსტონის დახვეწილი და ბრინქსის დაბალი ფენების, ან ნაითბრიჯის დახვეწილი და მდებარე კონკი<sup>2</sup>, მაგრამ ორივე დახვეწილი მეტყველება ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც დანარჩენი ორი მდებარე მეტყველებიდან. აზიხ ას-სალთანეს მეტყველება, ვიქვათ, ნაითბრიჯისა და კონკი ნახავად რომ აქციო, იმას ნიშნავს, მთლიანად არასწორი კულტურული რეგისტრი მინიჭო მას. აქ ისეთი ხერხი უნდა გამოიყენო, რომ ეს ხმა ტოვებდეს კონკრეტული ფენის ან ფენათა ნახავის შთაბეჭდილებას, ოღონდ ისე, არ მოუსაბამო კულტურულ გარემოსთან ზედმეტად არ ასოცირდეს. არცთუ იოლი ხერხია.

„დაი-ჯან ნაპოლეონის“ თარგმნისას ყველაზე დიდ პრობლემას ჩემთვის ბიძია ნაპოლეონის მსახურის, მაჰსასემის, მეტყველების გადმოცემა იყო. მაჰსასემი თხებით ტრეფაშემდე მდებარია, ანასთან, სოფლის დაბალი ფენიდან. ის ყუმის მახლობლად მდებარე სოფელ ყანსაბადიდან ახალთად, რომლითაც ძლიერ ამავყო. განსხვავება მის და იმ ოჯახის მეტყველების ფორმულებს შორის, სადაც მსახურობს, მძაფრია და მკაფიო, როგორც უნდა ამოიცნობოდე თარგმანში. მაგრამ მისი მეტყველება უბრალოდ გლეხის მეტყველებაა როდესაც მას ახასიათებს თავისებური იდიომატური გამომკონებლობა, მოქნილობა და ხიბლი - მის სიტყვებს ასე იოლად ვერ გადათარგმნი უკიდურესად უხეშო, უკიდურესად ლემპუნური, გაურკვეველი ეკვივალენტებით. თავი არ დამიზოგავს, რომ მისთვის ისეთი ხმა მიმეცა, რომელიც ამოიცნობოდე მდებარე, გლეხური მეტყველებისათვის, კვიმტობითად და თავისებურებითაც. ეს არ იყო ადვილი. თარგმნის პროცესში, ფაქტობრივად, როგორ მიუბრუნედი დასაწყისს და მაჰსასემის მთელი მეტყველება გადავკეციე. თავდაპირველად მეტისმეტად დავუახლოვე კონკრეტული სოფლის მდებარე აქცენტსა და ჩრდილოეთ ინგლისში მდებარე ისტ რაი-დინ-ოფ-იორკშირის დიალექტს, რომელთან ერთადაც გავიზარდე. ამან ძალიან გამართო, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაჰსასემი იორკშირული გლეხუჭა არ არის. იმ ამერიკელებმაც, რომელთან შავი თარგმანი ვაჩვენე, მითხრეს, ოთხი სიტყვადან მხოლოდ ერთი ეგვსმისო. მერე ვცადე, მაჰსასემი საერთოდ უთივისტმო გამომეყვანა, ორითვისაც სხვადასხვა რეგიონისა და ატლანტიკის რიყე მხარის ლექსიკა და ფრაზეოლოგია გამოვიყენე. ესეც ისეთივე კატასტროფა გამოდგა - მაჰსასემი გამოგონილ დიალექტზე ალაპარაკდა, რომელ-

საც არავინ დაიჯერებდა. ბოლოს და ბოლოს, ისეც დავუბრუნედი ბრიტანეთის ჩრდილოეთის სოფლურ მეტყველებას, რომელიც მაინამდე გამოვიყენე, მაგრამ საგრძობლად შევარბილე, კერძოდ, გამოვხშირე თვალმისაცემი დიალექტური ლექსიკა. ის ახლაც ხელოვნურად ჟღერს, ამერიკელებისთვის კი, როგორც ნიობრეს, უსიამოვნო ბრძანული ინგლისურივით ისმის, მაგრამ, ამკარად სოფლური, ამკარად დაბალი ფენის მეტყველებაა - გასაგებია და თანმიმდევრულიც.

რომანში მაჰსასემი არც ერთადერთი პერსონაჟი მშრომელი კლასიდან და არც ერთადერთი მსახური თარგმნისას გაავაცნობიერე ერთი რამ, რაც მაინამდე აზრად არ მომსვლია: ინგლისურ რომანებში სოციალურად აღმატებულის მისამართით მუშათა კლასის მეტყველება ხშირად მტრულაა, რაც იმას ნიშნავს, რომ კლასობრივ კუთვნილება ერთდროულ უქემობითა და ლინგვისტიკური აგრესიით ამოიცნობა. ეს განსაკუთრებით მეოცე საუკუნის რომანებს ეხება. სპარსულში კი მშრომელთა კლასის მეტყველება ხშირად მონიშნავს იმ და უაღრესად პატივცემულის გამომხატველი; თუ როგორ გადმოვტანა ეს ნიუანსი ისე, რომ ან პირველობად არ გამოიჩინოყო - რაც, ჩვეულებრივ, „ბიძაჩემ ნაპოლეონში“ არ ხდება, ან ამაზრუნება - ესეც პრობლემას წარმოადგენდა. ფაქტობრივად, საჭირო იყო რაღაც, პატივისა და მსახურის ურთიერთობის ამსახველი მეტყველების მსგავსი, როგორც დიკენსის რომანებშია, მაგალითად, ისეთი, როგორიც რამდენიმე წუთის წინ დავიმონმე - სემ უელერისა და მისი კრედიტის მეტყველება. მარტივად რომ ვთქვათ, ინგლისურ რომანები ამჟამად იშვიათად არიან ვინმეს მსახურები, არც თავად ქროპონ მსახურები. პატივისა და მსახურის საკომუნიკაციო ბუნებრივი ენა ინგლისურიდან გამაქრალა. მთარგმნელმა ის ხელახლა უნდა გამოიგონოს. ასეთი გამოგონება უმაღლეს არქაულად და/ან საიდუმლოდ ჟღერს. ეს კი ისეთი პრობლემაა, რომელსაც თავი უნდა აარიდო.

თქვენი ყურადღება შევაჩერე იმ სირთულეებზე, რაც „დაი-ჯან ნაპოლეონის“ თარგმნას თან სდევდა, რადგან ისინი რეალური იყო; რადგან ვიცი, როდესაც ადამიანების უმეტესობა რომანის თარგმანს კითხულობს, ისინი არასოდეს დაფიქრდებიან, თუ რამდენ შეთანხმება, კომპრომისი და უსაზღვრო პაქტია აუცილებელი მის ინგლისურ ენაზე გადატანისას. თუმცა არ მინდა, ასეთ ნეტავობო ნოტაზე დავასრულო. როგორ თავიდანვე ვიქციე, მე თარგმანადმოკიდებული კაცი ვარ არ მეგულება ისეთი რამ, რასაც პოემის ან რომანის სირთულეების გამოვლენის, მერე კი მათი ინგლისური ეკვივალენტებით გადმოცემის პროცესს ვამეჭობებენ. როდესაც „ბიძაჩემ ნაპოლეონს“ ვთარგმნიდი, ხშირად დამმართია - ვიჯექი კომპიუტერის წინ სიცილისგან დაოსებული და გაგონებების თავი არ მქონდა. არასოდეს ისე არ მიხალისი იმ საქმის კეთებისას, რომელსაც ფულს მიხდიდნენ, როგორც ამ რომანის თარგმნისას. მაგრამ მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელს იცის, რომ მისი ძალისხმევა რეალურად ბოლომდე ვერ რასაიდეს ამართლებს იმედს. სამოლოო ჯაშში, მხატვრული თარგმანი პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატებაა; და, როგორც სიყვარულშია, ყველაზე წარმატებული აქაც კომპრომისის პრაქტიკულ ალღოსთან შეხვედრული, სხვისი ინდივიდუალობის ღრმა, ლამის მისტიკური პატივისცემა გამოადგება ხოლმე.

12 ლონდონური დიალექტი, ლონდონის დაბალი ფენების მეტყველება.

**გურამ ჯურხაძე**

# „ფიქციები“ ამბები ამბებზე



1938 წლის შობა დღეს ხორხე ლუის ბორხესს უმძიმესი ინციდენტი შეემთხვა - კიბეზე დაცემის შემდეგ, სეფსისით დაავადებულმა მწერალმა მთელი თვე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გაატარა. საკუთარ გონებრივ შესაძლებლობებსა და მომავალში დაეჭვებულმა, გადანყვიტა საკუთარი კრეატიულობა გამოეცადა და რაღაც ახალი შეექმნა. ასე დაიბადა პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი ნიმუში - „პიერ მენარი, დონ კიხიტეს ავტორი“. ამ მოთხრობით კმაყოფილი ბორხესი კიდევ უფრო ამბიციურ იდეას შეეჭიდა და შექმნა „ტლონი, უქბარი, ორბის ტერაციუსი“ - ამბავი ახალი, მისტიკური სამყაროს აღმოჩენაზე. ორივე ეს მოთხრობა ბორხესმა გამოაქვეყნა ვიქტორია ოკამპოს ლიტერატურულ ჟურნალში „Sur“. ბორხესი ამ დროს ბიბლიოთეკაში, პატარა თანამდებობასა და პატარა ხელფასზე მუშაობდა. სწორედ ამ ბიბლიოთეკაში წერდა ის იმ მოთხრობებს, რომლებიც 1941 წელს გაერთიანდნენ კრებულში - „ბალი, სადაც ბილიკები იყრებიან“. კრებულს მოგვიანებით დაემატა მეორე ნაწილი - „გამონაგონები“, რომელიც ექვსი მოთხრობისგან შედგებოდა. 1944 წელს ამ ორი ნაწილის გაერთიანებით შეიქმნა კრებული - „ფიქციები“ - ბორხესის მაგნუმ ოპუსი. ესპანური ენიდან ქარ-

თულ ენაზე „ფიქციები“ სულ ცოტა ხნის წინ ითარგმნა და გამოიცა „სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ. ამ თარგმანისთვის დოლო ყვავილაშვილმა „საბას“ პრემიაც დაიმსახურა.

„ფიქციებმა“ ბორხესს საყოველთაო აღიარება გვიან მოუტანა. 1941 წელს მის კრებულს არგენტინის პრესტიჟული ლიტერატურული ჟილდო არ გადასცეს, რამაც „Sur“-ის რედაქტორის, ვიქტორია ოკამპოს ბრავი გამოიწვია. მან ჟურნალის 1942 წლის ივლისის ნომერი ბორხესის შემოქმედებას და მისი ცნობადობის გაზრდის მცდელობებს დაუთმო. ბორხესის შემოქმედება აღიარებული იყო შიდა, ინტელექტუალურ წრეებში, თუმცა საერთაშორისო აღიარებას მან 60-იან წლებში, prix international-ის ჯილდოს მიღების შემდეგ მიაღწია. დღეს „ფიქციები“ მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობათა ერთგვარ ხილად მიიჩნევა. ბორხესის გავლენაზე უსაუბრიათ ისეთ მწერლებს, როგორებიც არიან: უმბერტო ეკო, იტალიო კალვინო, გაბრიელ გარსია მარკესი და სხვა.

ხორხე ლუის ბორხესის შემოქმედება უსასრულობასთან მუდმივი ჭიდილი, უსასრულო ჭეშმარიტებების, უწესრიგო წესრიგის პოვნის მცდელობებია. მისი „ფიქციები“ კი ამ გზაზე შექმნილი



ამბების კრებულია. ამბების, რომლებიც თავის მხრივ ამბების ყოვლისშემძლეობაზე მოგვითხრობენ. ბორხესს ღრმად სწამს, რომ ამბავი რეალობაზე აღმატებული მოცემულობაა. პიერ მენარი, ჰერბერტ ჟუენი, ჰერბერტ ვი, ცუი პენი, იარი პირ ჰლადეკი... „ფიქციები...“ პერსონაჟები არსებულ რეალობას გამოენ, მეტიც, დაცინვითაც კი უყურებენ მას. მათ იციან ის, რაც ჩვენ არ ვიცით. მათ იციან, რომ უკვდავება ჩუმი და შეუმჩნეველია. ისიც იციან, რომ ადამიანში ბუდობს ღვთაებრივი ძალა - შექმნას ახალი სამყარო, შექმნას ნათელი, დღე, მზე, მთვარე, ღამე და ვარსკვლავები. სწორედ ამ ძალაუფლებას იყენებს ბორხესი თავის კრებულში. მასაც, თავისი პერსონაჟების მგავსად, სურდა უკვდავების პოვნა. ბორხესი, გარკვეული თვალსაზრისით, თავადვე არის „ფიქციების“ მორიგი პერსონაჟი.


ადამიანის ღვთაებრივმა ნიჭმა - სამყაროს შექმნის შესაძლებლობამ - ბორხესი სრულიად გაიტაცა და აღაფრთოვანა. ის წერდა მოთხრობებს გაზეთების გვერდებზე ფსევდონიმებით, წერდა მოთხრობებს გამოგონილი ბიბლიოგრაფიებით, გამოგონილი ადამიანების კალმით. ბორხესი არ წერდა იმისთვის, რომ წაეკითხათ. ბორხესის შემოქმედება მკითხველს არასდროს მიიღებს, მას არასდროს აღიარებს. ბორხესის სამყარო უკიდურესად პირადულია. „მკითხველი ვადაშენებული ჯიშიაო“ - ხშირად იმეორებდა ჰერბერტ ჟუენი - ბორხესის მეგობარი. ჰერბერტ ჟუენი, ბორხესის მსგავსად, ვაზეთის ბოლო გვერდების მწერალი იყო - ორი მოჭადრაკის შეხვედრა ამ კრებულში კი შემთხვევითი სულაც არაა. დემიურგი, რომელიც საკუთარი სამყაროს ფიზიკის კანონებს თავადვე საზღვრავს: „სიმეტრია, თამაშის საკუთარი წესები, მოწყენილობა...“ ჟუენისთვის სრულიად გაუგებარია ღმერთი, რომელიც ადამიანს უთანხმებს სამყაროს მონყოლის პირობებს. დემიურგი ქმნის სამყაროს, რომელშიც ყველაფერი მის ხელშია და არ გრძნობს არანაირ პასუხისმგებლობას სხვა ადამიანის მიმართ. შექმნის ძალაუფლება ზედმეტად ძვირფასი საჩუქარია იმისთვის, რომ ის სხვებისთვის გავფლანგოთ. ჟუენისა და ბორხესის ამბების უსარწმუნოების საიდუმლო მათი მალული ხასიათია. დაეკვირდეთ ჟუენის სულიერი ნათესავის, ჯიმ ჯარმუშის შემოქმედებას და ფიქვ „პატერსონს“ - პატერსონის ცხოვრება პირადი პოეზიაა. მისი ლექსები ნაკუნუნად იქცევა, თუმცა მისი ცხოვრება, მისი ამბავი, რომელსაც არცერთი მოწმე არ ჰყავს, მარადიული ხდება. ბორხესისული უკვდავება უკიდურესად პირადულია, ისევე, როგორც ჯარმუშისსული. უკვდავი არ არის აქილეესი, რომლის სახელიც ყველას ახსოვს. უკვდავი ჰომეროსია, რომლის სახელიც ბორხესისულ სამყაროში ყველას დაეინყებოდა აქვს.

„ფიქციებში“ მოთხრობილ ამბებში ხშირად ვხვდებით მწერლების გამოუქვეყნებელ ან ვერ-

გაგებისთვის განწირულ ნაშრომებს. პიერ მენარი, ჟუენი, ცუი პენი და იარი პირ ჰლადეკი წერენ ამბებს, რომლებსაც ვერასდროს ვერავინ გაიგებს ან წაიკითხავს. უკიდურესად სუბიექტური, თითქმის ნაოსტურიც კია ეს იდეა - წიგნის წერა მკითხველის გარეშე, თუმცა ბორხესისთვის, როგორც უკვდავება, ასევე, ჭეშმარიტებაც, მაქსიმალურად პირადულია. ერთადერთი, რაც მართლაც ჩვენი, ჩვენივე ამბებია - ის, რაშიც ვერავინ შეგვეცილება. ჟუენისთვის მკითხველი მტერია, რომელიც მისი ამბის, ქმნილების, მისი რეალობის მითვისებას ცდილობს. პიერ მენარისთვის კი პირიქით - მწერალი, სერვანტესია მოცილე.

ორივე შემთხვევაში, ამბავი მხოლოდ ერთი ადამიანისთვის ატარებს მნიშვნელობას. ბორხესს ძალიან მოსწონდა ჰერაკლიტეს მდინარის ახალგაზრდის გაგრცელება ნიგნებსა და ადამიანებზე. თავის ლექციაში პოეზიის შესახებ, ის ამბობს, რომ „წიგნის ყოველი გადაკითხვა, ყოველი გახსენება ვადაკითხულისა, ახალ ტექსტს ქმნის“. ყველა წიგნი სხვადასხვა წიგნია ყველა მისი მკითხველისთვის და მეტიც, ყველა მკითხველისთვის ერთი წიგნი თავის თავში სხვადასხვა რაოდენობის წიგნებს მოიცავს. ჩვენც ვგავართ ჰერაკლიტეს მდინარეს და თავად ტექსტიც. მეც შემოდლა ვიყო „პიერ მენარი, დონ კიხოტეს ავტორის“ ავტორი. მოთხრობის ნაკითხვისას ტექსტს თითქოს აბსურდულად ვუყურებთ, თუმცა ბორხესისული ენიკლოპედიური ნარატივობით სავსე ტექსტს სრული სერიოზულობით აღსავსე მზერას გვიბრუნებს. თავდაპირველად, სრულ უაზრობად გვეჩვენება სექტანდარიანი რომანის სიტყვასიტყვით ვადაწერის იდეა. ადამიანთა დიდ ნაწილს არ შეგვიძლია საკუთარ თავში შექმნილის აღმოჩენა. არ შეეძლო პიერ მენარსაც, რომლის არქივის საკმაოდ გრძელი სიის უდიდესი ნაწილიც თარგმნით ან სხვათა ნამუშევრებზე კომენტარებით შემთავრდება, ხოლო მისი ერთადერთი სხვასთან კავშირის არმქონე წერილი, ერთი პაიკის ხარჯზე ჭადრაკის თამაშის გაუმჯობესების შესაძლებლობაზე, მან თავადვე უარყო. პიერ მენარისა და ჟუენის მსგავს ადამიანებს შეიძლება მოკვდავებმა რეალობას აცდენილი ვუნოდოთ და მართალიც ვიქნებით. ისინი მუდმივ ბრძოლაში არიან იმ რეალობასთან, რომელიც მათ გარშემო არსებობს და რომელიც მუდამ უმეორებს მათ, რომ ისინი მხოლოდ პაიკები არიან. რატომ მანცადამანც დონ კიხოტე? დონ კიხოტეს მსგავსად, პიერ მენარის შემოლოდაა შერაცხილი. პიერ მენარი მართლაც საკუთარი გამოცდილებით პოულობს კიხოტეს, რომელმაც თვალსაწიერიდან გააქრო ყველა და ყველაფერი, გარდა გიგანტებისა, რომლებიც სხვებს ქარის ნისქვილებად ეჩვენებათ.

მოთხრობა, „ფარულ სასწაულში“ დაუსრულვებელი ტრაგედიის ავტორ იარი პირ ჰლადეკისთვის ღმერთი დროს აჩერებს, რათა მან პიეის დასრუ-



ლება შეძლოს საკუთარ გონებაში. რით გამოირჩევა ჰლადიკი სხვებისგან? ჰლადიკის მთავარი მიგნება ისაა, რომ ის საკუთარ დანიშნულებას იაზრებს, მისთვის ბოძებულ ყველაზე დიდ ჯილდოს - შექმნის შესაძლებლობას ეფუძლება. ჰლადიკი მინი-დემიურგია, ისევე, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე პერსონაჟი. ის ქმნის ამბავს ან სამყაროს - მე-19 საუკუნის მიწურულის პრადში, ქმნის ადამიანებს - ბარონ დე რუმერ-შტადტს და იაროსლავ კუბინს... ისინი არსებობენ და ჰლადიკს მათ წინაშე შექმნელის ღვთაებრივი პასუხისმგებლობა გააჩნია. ღმერთმა ადამიანი საკუთარ ხატად შექმნა და მას საკუთარი ყველაზე დიდი ძალა - შექმნის უნარი უბოძა. „თუკი მე მართლაც ვარსებობ - მხოლოდ ისე ვარსებობ, როგორც „მტრების“ ავტორი. დრამის დასრულება რომ შევძლო, ჩემი არსებობის გამართლება იქნება და შენიც“ - ეუბნება ღმერთს ჰლადიკი.

ჰლადიკს სურს დაასრულოს თავისი ჰიესა არა იმიტომ, რომ მისგან რამეს მიიღებს, არამედ იმისთვის, რომ რუბენშადადტი და კუბინი არ დაალატოს. ჰლადიკი იგებს, თუ რას ნიშნავს, იყო შექმნელი. ისევე, როგორც „წრიული ნანგრევების“ მთავარი გმირი - დემიურგი, რომელსაც ძალიან მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, სიზმარში შექმნას ადამიანი. „ამ ჯადოსნურ ჩანაფიქრს მოეცვა ერთიანად, სულით ხორცამდე, მისი არსება.“ დემიურგი ქმნის, არა იმიტომ რომ მას ასე სურს, არამედ იმიტომ, რომ მას სხვაგვარად არ შეუძლია. ის თითქოს შექმნის ღვთაებრივი ძალის გამტარია, მარადიული რეალობიდან - ამბების მინი-რეალობამდე. ტოლსტოი ამბობდა, რომ ვეღარ მართავდა ანა კარენინას ქმედებებს, ანა კარენინას უკვე მოეხერხებინა სიზმრისეული სამყაროდან გამოღწევა და გაცოცხლება. მწერალი ან ადამიანი-შემქმნელი სხვებივით, გაუგებრად

ენაფება საკუთარ ნაწერს. „ფიქციების“ ანბანი რომ მოვიშველიოთ - ტლონის მოსახლეობისთვის „ყველა ნაწარმოები ერთი, დროის მიღობური და ანონიმური ავტორის შემოქმედებაა.“ ადამიანის მიერ შექმნილი ყველა ამბავი ლეტაბერივი გონის მიერაა შექმნილი. ჰლაიდეკსა და კუბინს შორის ისეთი მამაშელოური დამოკიდებულება იმალება, როგორც ღმერთს ჰქონდა ადამისადმი. შექმნა ამბავი, ეს იგივეა, შექმნა სამყარო. „ყველა ბედნიერებაა შორის, უდიდესია გამოგონების სიაშივნება“, რადგან, ეს სიამოვნება ყველაზე მეტად ღვთაებრივი სიამოვნებაა ადამიანისათვის.

ჰლაიდეკის ეს ნაწარმოები შედევრია თუ მაკულატურა, ამას არც ჰლაიდეკის თვითონ აქვს მნიშვნელობა და არც ღმერთისთვის. ბორხესის წესებისთვის უცხოა საერთოდ შედევრის ცნება. „დიდება ვერ ჩაწვდომის ერთ-ერთი ფორმაა, ალბათ ყველაზე უარესი ფორმა.“ - ამბობდა პიერ მენარი. ამბავის შექმნა უმიზეზო პროცესია, მის მიზანს თუ შინაარსს ავტორიც კი ვერ იაზრებს. სხვისი მოყოლილი ამბის შეფასება კარგად ან ცუდად, ადამიანური უმნიშვნის სასაცილო გამოვლინებაა. ბორხესის მარადიულობის სიმბოლოსთვის - ბაბილონის ბიბლიოთეკისთვის, ყველა წიგნი, ყველა ამბავი, თანასწორია. მარადისობისათვის „ოდისეა“ იმდენად ღირებულია, რამდენადაც „მტრები“ ან „წითელი კოშკის სიზმარი“. ასევე, ღმერთი არ განასხვავებს ჰლაიდეკს და დოსტოვესკის, როცა სიკვდილის ნინ რომანის დასრულებისთვის დროის დამატებაზე მიდგება საქმე. „მენარი გვაქეზებს, ოდისეას ისე შევხედოთ, თითქოს ის ენეიდას შედევრე იყოს დაწერილი.“

რეალობა, რომელშიც ჩვენი ვცხოვრობთ, ერთერთი შტოა იმ უსასრულო ბაღის, რომლის ბილიკებიც ცუი პენის ქეიშის ნიგნში იგრბიან. ლაბირინთის ცენტრი, რომლისკენაც ბორხესი მივძიდვის, კრებულის პირველი ნაწილის ბოლო მოთხრობაში ვლინდება - ცუი პენის ლაბირინთი, რომელიც ყველა რეალობასა და დროზე აღმატებულად წარმოადგება. ბორხესის მიერ რეალობაზე მიყენებული მთავარი დარტყმა ცუი პენის ნიგნა - ჩვენი რეალობა არაფერია, თუ არა შემთხვევითობების უსასრულო წყების დევდვი. შემთხვევითობაა ის, რომ არსებობს რიჩარდ მედეწნი, ალბერტი, იუ ცუნი, ბორხესი... შემთხვევითობაა ის, რომ ალბერტი და იუ ცუნი მეგობრები არიან და ისიც, რომ მტრები არიან... არსებობს დროთა უთვალავი სიძრავლე, ამ უთვალავ დროთა ერთმანეთისგან განშტოებული, შემხვედრი და პარალელურად მდინარე, მზარდი და თავბრუსდამხვევი უზარმაზარი ქსელი“. ბორხესი მუდმივად ცდილობს უარყოს ბილიკის ტოტები, დროის ქაღალთა განშტოებები. ის კომპერნიკისეულ მისიაზეა, დაამტკიცოს, რომ ჩვენი რეალობა არაა ყველაფრის ცენტრში, არსებობს მასზე მაღლა მდგომი რაღაც, რასაც შემთხვევითობა ვე-

რაფერს დააკლებს. ასეთია, როგორც ზემოთ ვახსენეთ, სუბიექტური, ჩუმი უკვდავება, გაუგებრობა, პიერ მენარობა, ჰლაიდეკის „მტრები“... და ასეთია დროისა და საკუთრებების მიღმა არსებობააც, რომელსაც პირობითად ბაღის ცენტრი ვუნოდოთ. იუ ცუნი კლავს ალბერტს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. ალბერტი კვდება, მაგრამ ის ცოცხლის სხვა განშტოებებში. სიკვდილ-სიკვდილის საკითხი შემთხვევითობაა და ის არ შეიძლება „ცენტრს“ განსაზღვრავდეს. განშტოებულ ბილიკთა ბაღის ცენტრში რაღაც ბევრად უფრო მარადიულია, ვიდრე სიკვდილ-სიკვდილზე.

ამ მარადიული ცენტრის განმარტება, ძიება თუ ამოხსნა არის ის, რასაც ბორხესის პერსონაჟები მუდმივად ცდილობენ. „ბაბილონის ლაბირია“ ღმერთის ძიების ბაბილონური ამბავია: „როგორც ყველა ბაბილონელი, მეც ვყოფილვარ პროკონსული. როგორც ყველა ბაბილონელი, ვყოფილვარ მონაც“. ბაბილონელეტი გოდოსს იმისთვის აშენებდა, რომ შემთხვევითობის არსს ჩასწავლეს. „ბაბილონის ლაბირიის“ პერსონაჟები უსასრულო დროში მოხვედრილი ადამიანები არიან, რომელთაც ილუზია აქვთ, რომ ლატარიას ლოგაკას დაუქვემდებარებენ. მაგრამ მათურბოლა შემთხვევითობების დინების ლოგაკა. შემთხვევითობა ადამიანის ყველაზე დიდი და გაუგებარი მტერია, რადგან მისი შეცნობა არ შეუძლია. „არანაკლებ ბილნი არაფერია, გარდა შემთხვევითობების უსასრულო მონაცვლეობაი“. შემთხვევითობა ნიშნავს სამყაროს წესრიგში ჩანვდომის შეუძლებლობას, რაც ბაბილონელთათვის მკრეხელურ აზრადაც კი მიიჩნევა. თუმცა, არავინ არაფერი იცის. ათასგვარი ვარაუდი არსებობს, რომელთა დამტკიცებაც არავის შეუძლია. წარუმატებლად მთავრდება შემთხვევითობებზე დფუჭნებული, ბილიკის ერთ-ერთი განშტოების განმარტების მცდელობა, მხოლოდ თეორიება არსებობს. ბორხესი მოგვიწოდებს, რომ განავსავსოთ ერთმანეთისგან შემთხვევითობებზე დამოკიდებული ცვლადები შემთხვევითობისგან დამოუკიდებელი ცვლადებისგან.

ფიქციების პერსონაჟები ხშირად არიან ამ ბაბილონურ მისიაზე - მიაგნენ ღმერთს, მარადიულობას, უსასრულობას... ღმერთის სახელს ეძებენ მოთხრობა „სიკვდილი და კომპასის“ პერსონაჟი ლიონროტი - დევექტივი, რომელიც სიმბოლოების დახმარებით ცდილობს მკველლობათა სერების გახსნას. ლიონროტი უარს ამბობს იმ მოსაწყენ რეალობაზე, რომელსაც მას პარტნიორ სთავაზობს, ის რაღაც უფრო დიდს ეძებს. ის ეძებს იმ ესთეტიკურ სიმეტრიებს, რომლებზეც იქამდე ვერბერტ ქუენის საუბრობდა. რიცხვი მისი მუდმივი განმეორება ლიონროტს აქეზებს, რომ იმოქმედოს, როგორც დემიურგმა, რომელიც სიკვდილს კომპასთან დააკავშირებს, არასრულყოფილებას სრულყოფას, ღვთის 99 სახელს მყოფ-

სეს დაამატებს...

ადამიანი ღმერთს მიმსგავსებული დემიურგია, თუმცა იქამდე მაინც ბევრი უკლია. დააკვირდით ფილმებს, წიგნებს, ხელოვნების სხვა ნიმუშებს... ყველაფერი სიმბოლოებითა და სიმეტრიებითაა საესე. ეს ადამიანური ფენომენია. ადამიანები ვახარისხებთ მოვლენებს მნიშვნელოვნად და შემთხვევითად. და ამას მაშინაც ვაკეთებთ, როცა შექმნას ვინცებთ - ჩვენ მიცადრეკილნი ვართ სიმბოლოებისა და სიმეტრიებისკენ. ეს უაზრო, უმიზეზო, მშინდად ესთეტიკური მოთხოვნილება ადამიანს ვააჩნია და არა ღმერთს. ობიექტურ სამყაროში არ არსებობს სიმბოლოები, არ არსებობს სიმეტრია, არ არსებობს წესრიგი. არ არსებობს წიგნი შინაარსის გარეშე, თუმცა არსებობს უშინაარსო ცხოვრება. არასდროს კვდებოდა მთავარი გმირი ნივანს შუაში, თუმცა, ცხოვრებაში ეს ხდება. როცა ადამიანი დემიურგობს, ის ვერ გაურბის თავის უდიდეს მოთხოვნილებას - მინიმუმამდე დაიყვანოს შემთხვევითობა, და მაქსიმუმამდე აიყვანოს სიმბოლოები. „უსარგებლოა იმის მტკიცება, თითქოს რეალობაშიც სუფევდეს წესრიგი. დიახ, შეიძლება ასეც არის, მაგრამ იგი ხომ დვთაებრივი წესების შესაბამისად მოქმედებს?“, - ამოცანაა, ანუ, შესაბამისად, არადადამიანური კანონებისა, რომელთაც ჩვენ ვერასოდეს ჩავწვდებით. ტლონი თუნდაც ლაბირინთი იყოს, იგი ადამიანების მიერ შექმნილი ლაბირინთია, იმ მიზნით შექმნილი, რათა თავად გამოიფრონ ადამიანებმა“.

ადამიანის მიერ შექმნილი სამყარო, ამბავი, წესრიგის დამყარების ყველაზე მძლავრი ფორმაა. სწორედ ამ სიმეტრიული წესრიგის დელოგისკენაა მიდრეკილი „სიკვდილი და კომპასის“ გმირი ლიონროტიც. მოთხრობა საესეა რიცხვი 3-ით, რომელიც განუწყვეტლივ ითხოვს მოთხერ ასოს დამატებას, ღმერთის სახელის საპოვნელად. თუმცა ამოთხერ ასო შეუცნობელია, რადგან ღმერთი ადამიანებთან სიმბოლოების მეშვეობით არ ურთიერთობს. ლიონროტი ებმება სიმბოლოთა ლაბირინთში, საფანჯში, რომელიც მას „ფიცების“ ყველაზე მზაკვარმა დემიურგმა, რედ შარლახმა დაუფო. ღმერთის სახელის ძიება ლიონროტისთვის სიკვდილით მთავრდება, მაგრამ სიკვდილზე უარყარის ის იმედაცხრება, რომელიც ლიონროტს საყვარლის საიდუმლოს ამოხსნაში მარცხმა დაუტოვა: „შეაფრყოლა და როგორღაც მოიწყინა. ეს მოწყენა რაღაც უსახლო იყო, განყენებული“. ბაბილონელთა შესავად, ლიონროტიც რჩება საყვარელში, რომელსაც წესრიგის არარსებობა იწვევს. სიკვდილისა და კომპასის დაკავშირებით მან მხოლოდ ადამიანი-დემიურგი - შარლახი იპოვა, ღმერთი კი - ვერა.

ღვთის ძიებაშია „იუდას სამი ვერსის“ მთავარი პერსონაჟი, თეოლოგი ნილს რუნებერგიც. თუმცა განსხვავებით ბაბილონელებისა და ლი-

ონროტისგან, რუნებერგი გარკვეულწილად წარმატებას აღწევს. „იუდას სამი ვერსია“ ბორხესის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მნიშვნელოვანი მოთხრობაა, რომელიც ავტორი წმინდა წერილის - ლვთაებრივი ამბის გამოიფრავს ცდილობს. ზემოთ ვახსენეთ, რომ ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო ადამიანის შექმნილისგან განსხვავდება იმით, რომ მასში სიმეტრია და წესრიგი არ არსებობს. თუმცა რა ხდება მაშინ, როცა ამბავს თავად ღმერთი ჰყვება? ამბის მოყოლილ ღმერთი ადამიანებამდე დადის. ამბის კანონებს ისიც კი ემორჩილება. ნილს რუნებერგი წმინდა წერილის ადამიანური სტრუქტურისთვის აუცილებელია არსებობდეს კარგი და ცუდი, ნათელი და ბნელი. ვერავინ ვერ წარმოიდგენდა, რომ ღმერთი, სრულყოფილი არსება, იუდაში დაიმბოლოდა. ვერავინ, გარდა ნილს რუნებერგისა. ადამიანურ ამბის გაგებას კიდევ ერთი მახასიათებელი - მოთხრობის ბრმა ნდობა ვააჩნია. არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა არის მოთხრობის მიზანი, თუ როგორაა მოთხრობილი. ამბავს ისე ვიცავთ, როგორც მოთხრობას სურს, რომ გავიგოთ. თუმცა, რუნებერგი აქაც გამოწაკლისა.

ღმერთმაც კი გამოცადა ამბის მაცდური სუპერძალა - ახალი სინამდვილის შექმნა და მოყვა ამბავი, რომელიც საკუთარი თავი დამალა. ზოგჯერ ღმერთიც ჰპაძავს ადამიანს. გავიხსენოთ, რომ ამბავი ადამიანთა საშინაო მოედანია და არა ღმერთის. ამიტომ ნუ გავიკვირდებთ, რომ ღმერთი ერთადერთი არაა, ვინც თხრობაში დამალვის სრიცხს მიმართა. ამბავი ადამიანის ყველაზე ძლიერი იარაღია. მოთხრობა „ხმლის ფორმა“ ვინსენტ მუნზენა, რომელიც სიმხდალეს, უსახელობას და მთვარის ფორმის იარას ამბით ებმძვის. ამბით, რომელშიც მისი წარსული იცვლება. მუნი იმდენად უარყოფს საკუთარ წარსულს მე-ს, რომ მას სხვა პერსონაჟად აქცევს. მუნი ხდება საკუთარი ამბის ერთ-ერთი პერსონაჟი. მაგრამ რომელი? საკუთარ ამბებში ყველა პერსონაჟი თავად ვართ ან შეგვიძლია ვიყოთ. „შე-საძლოა მართალია შოპენვაუერი, როცა ამბობს, მე სხვა, ნებისმიერი ადამიანი ვარო. რაღაც გავებით, შექსპირიც ის საცოდავი ჯონ ვინსენტ მუნი იყო“. გავიხსენოთ ბალის ცენტრში არსებული შემთხვევითობების დაცდილი ჭკუმაირიტების. პოვინს ბორხესისეული „მისია“. შემთხვევითია თუ არა ჩვენი იდენტობა, რომელთა-ნაც ამდენად მჭიდრო კავშირს ვგრძნობთ? რა-



ტომ ვარსკობო თბილისში, 2023 წელს და არა ბუენოს აირესში 1944 წელს? რატომ ვარ ისეთი, როგორიც ვარ, და არა სხვანიანი? და რა ჩრება მაშინ, როცა ყველაფერისგან ვცლით ჩვენს არსებობას? რა იმალება მოღალატისა და გმირის საკითხის უკან? ამ შემთხვევითობის განშტოებების შეერთების წერტილში იმალება ბორხესისეულ-შოპენმაუერისებრი პასუხი, რომ ჩვენ, ყველა სხვა, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება ვიყოთ. ადამიანის იდენტობა არამყარი საფუძველია, რომლის ძიებაც ბაბილონის ლატარიის წესების დადგენას ჰგავს. ერთ დღეს მოღალატე, მეორე დღეს გმირია. გავისენოთ ბორხესის „სხვა“ და მისი საყვარელი ჰერაკლიტეს მდინარის მეტაფორა. დროში გაფანტულ „მეებს“ არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთოდ და ეს დრო სულაც არაა აუცილებელი წლებს გულისხმობდეს. ადამიანის იდენტობის ყველაზე მყარი საფუძველიც კი, ბორხესისთვის არაფერს წარმოადგენს. ცენტრში ეს იდეაა - მე არაფერი ვარ, მაშასადამე, მე ყველაფერი ვარ.

რუნებრეგი პოულობს ღმერთს და ამის გამო ის სიგიჟით, სიკვდილით თუ ჯოჯოხეთით ისჯება. ადამიანს შეუძლია მიბადოს ღმერთს, მაგრამ მისი წარმავალი სხული ვერ გაუძლებს ღვთაებრივ ძალას. გავისენოთ ირენეო ფუნესი - ადამიანი-უსასრულოა. ფუნესი ცხენიდან გადმოვარდნის შემდეგ საჩუქრად იღებს ყველაფერს, რამუდამოდ ასოცირება ახსოვლტურად ყველაფერს, რასაც დაინახავს, შეიგრძნობს, აღიქვამს... ფუნესი ამ კრებულის ცენტრია, დემიურგი, რომელმაც იპოვა ღმერთი და ისიც გვიანხა, თუ რატომმა მისი სახელი დამალული ადამიანებისთვის.

პიერ მენარზე საუბრისას ვახსენეთ, რომ ადამიანები ხშირად იფიქრებენ ღვთაებრივ, შექმნის ძალას, რადგან ასე ცხოვრება უფრო მარტივია. ადამიანის სხეული არსისტი და შეზღუდულია მარადისობის მიმართ. მხოლოდ იშვიათნი ბედავენ ამ შეზღუდვებს გადააბიჯონ, თუმცა ისინი ან საშუალო გაუგებრობაში იკარგებიან, ან ღმერთის მსაჯულის მსხვერპლნი ხდებიან. უსასრულო მეხსიერების ადამიანისთვის დედამიანზე ცხოვრება რთულია, რადგან ჩვენი ენა და ცნობიერება სასრულობის მარნუხებშია მოქცეული. ადამიანმა იცის, რომ ის მოკვდავია. ამიტომ გამოიმუშავა დაფიქრების ფილტრები, რომელთა საშუალებითაც საკუთარი მოკლე ცხოვრების გამარტივებას ცდილობს. დაფიქრების ფილტრები გვიცავს უსასრულობისგან, ფუნესის გონება კი უსასრულოა, მას არ სჭირდება დაფიქრება და გამარტივება. მთხრობელი ფუნესთან ისე იქცევა, როგორც ღმერთთან, რომელიც ჩვენს ყოველ ფიქრს და მორაობას იმახსოვრებს, და ეს შიში მას აშეშებს. ფუნესის გონება ბაბილონის ბიბლიოთეკაა, რომელიც ყველა წამს და ყველა დეტალს აქვავებს და უსასრულობის ექვსკუთხა ვალერეებში ინახავს.

ფუნესის მთავარი ადამიანურ სირთულეს ენა წარმოადგენს. კავშირი მორყეულია მის ალტერ საგნებსა და ენას შორის. ენა ადამიანთა მორიგი სისუსტეა, რომელიც თითქმის ყოველთვის აცდენაში იმ გრძნობებთან, რასაც განვიცდით. მაგრამ დაფიქრების ფილტრების საშუალებით ამა-საც ვევალებით. ენის დახმარებით მარტივდება ჩვენი ცხოვრება და, ამავდროულად, სუსტდება ჩვენი გრძნობები. ადამიანური სისუსტეა ის, რომ დედამიანელებს, ტლონელებსგან განსხვავებით, არ გვაქვს ენა, რომელიც აღწერს „შეგრძნობას, რომ მდინარის ტალღებსაც და ძილსაც ერთდროულად ხარ დამორჩილებული“. უსასრულო გონის მქონე ტლონელებისთვის და ფუნესისთვის გაუგებარია ჩვენი მარტივობები და გამარტივებები. მეტაფორა სხვა არაფერია, თუ არა რეალობასთან ბრძოლაში ესთეტიკური დამარცხება. ფუნესს დედამიანურ ენებს შორის გადაშენებული ლათინურის იმედი აქვს საკუთარი ცნობიერების გადმოსათარგმნად, თუმცა ისიც უშედეგოა. ტლონის ენა ერთადერთია, რომელიც ფუნესს ამაში ოდნავ მაინც დაეხმარებოდა. „ვეცადე ამეხსნა ... როდესაც შინს ვამბობთ, მსმენელს ვავებინებთ, რომ ეს რიცხვი სამი ასეულის, ექვსი ათეულისა და ხუთი ერთეულისგან შედგება... ფუნესმა ვერ გაიგო რას ვუუბნებოდა, ან, შეიძლება, ვაკვბა არც უნდოდა.“ - ფუნესისთვის ჰერბერტ ქუეინის მსგავსად, ქრება მეორე ადამიანი. მისთვის ენა კომუნიკაციურ ფუნქციას კარგავს და უბრალოდ ფიზიკურ სამყაროსთან ჭიდილის საშუალება ხდება. ახალი, პირადი ენის გამოვლენა ისაა, რასაც „ფიქციების“ სხვა პერსონაჟებიც ირიბად მიმართავენ. ფუნესი კი ყველა მათგანის ამაღლებული, გაუსასრულოებელი ვერსიაა.

„ფიქციებზე“ საუბარი მინდა კრებულის პირველი მოთხრობით, „ტლონი, უქბარი, ორბის ტერციუსი“ დავასრულო. ბორხესი დედამიანელი ჰერბერტ ემის (რომელიც, რუნებრეგის მსგავსად ანევირიზმა გაუსკდა) დახმარებით აღმოაჩენს პლანეტა ტლონს. ეს ადამიანთა ყველაზე იდეალური წარმოდგენების ერთობლიობაა: ენა, რომელიც საკუთარ გრძნობებსა და სამყაროსთან დაგვაკავშირებს, დროის აღქმა, რომელიც ცხოვრებას უფრო მარტივს გახდის... ტლონი ადამიანთა იდეალისტური წარმოდგენების ნაერთია. კაცობრიობის პასუხი კითხვას „როგორი იქნებოდა უსასრულო გონის მქონე ადამიანი“. ტლონი ამბიციური მტიკიცებულება იმისა, რომ ადამიანსაც შეუძლია სამყაროს შექმნა, სამყაროსი, რომელიც ჩვენსავე ბევრად უფრო მონესროგებული და სრულყოფილია. „ტლონის წესრიგი მოჭადრაკეთა ჩანაფიქრია და არა ანეკლოზთა“. ტლონის შემქმნელები ღმერთს უმტიკიცებენ, რომ მოკვდავებსაც ხელენიფებთ სამყაროს შექმნა. ჩვენ ამბებით ვცდილობთ დავემსგავსოთ და ვაჯობოთ ღმერთს.








ლიტერე  
ინვენტე



ქართული  
ბიბლიოთეკა



# ლიტერე

სიახლის ბიბლიოთეკა მათთვის, ვისაც  
ლიტერატურის სფეროში სიახლეები უყვარს.  
მსოფლიო ლიტერატურის რჩეულ  
ნარმომადგენელთა რჩეული წიგნები  
პირველად ქართულ ენაზე!



პალიტრა L  
კომპანია

[www.palitra.ge](http://www.palitra.ge)


[facebook.com/Palitra.L.Publishing](https://facebook.com/Palitra.L.Publishing)



წიგნის სანაბავად  
დაასკანერეთ QR კოდი

# სანტა ესპერანსა


საიუზილეო, ლიმიტირებული გამოცემა



სანტა ესპერანსა, იგივე იოანეს კუნძულები, შავ ზღვაში, საქართველოს ნაპირთან ამოზრდილი სახელმწიფოა - სამი კუნძული, რომელთა არსებობაც ტურისტებმა უფრო იციან, ვიდრე პოლიტიკოსებმა.

ამის მიუხედავად, ეს რთული, ეთნოგრაფიითა და მრავალკულტურულობით საეხე სახელმწიფოა, რომელსაც უკან ჭრელი ისტორიული წარსული უძევს, წინ კი ამოუცნობი ბედი.

ნაწარმოები ჩანთაში ჩადებული 36 რეგულისა და ინსტრუქციისაგან შედგება და მიუხედავად იმისა, რომ მათი ცალკე წიგნაკებად წაკითხვაც შეგიძლიათ, თუ ავტორის მითითებებს მიჰყვებით, სხვადასხვა თანამიმდევრობით დაწყობის შემთხვევაში 4 გრძელ ან 9 მოკლე ამბავს მიიღებთ.



SANTA-CITY

სულაკაურის  
გამომცემლობა